## კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა


სსსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation



შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd



ორშაბათი
12 მაისი,
2003 წელი
№122
(4501)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.


### თვალსაწიერი

## რამდენიც გინდა იძახო „ჰალვა, ჰალვა“, პირში ჰალვის გემოს ვერ იგრძნობ

ძველ თბილისელებს შეიძლება ახსოვდეთ ქალაქური ლექსის სიტყვები: „გუშინ ღამე სროლა იყო ხოჯევანქის უბანში“...

არადა, ძალაუნებურად ამოგიტივტივდება თავში, როცა ყოველდღე გესმის მსგავსი „რაზბორკების“ ამბავი.

გასული კვირა მაინც ხომ რეკორდული იყო!

ჯერ შიგ პარლამენტში ატყდა სროლა. მართალია არა ტყვიის, არამედ საფერფლეების, ლარნაკების, მაგრამ სისხლი კი უხვად დაიღვარა და...

აქ სასაცილო ის არის, რომ ოპოზიცია... გმობს ძალადობას და.. წამდაუწუმ მუშტებზე იყურება (ეს მუშტებზე ყურება მხოლოდ გაერთიანებულ დემოკრატებს არ ეხებათ, სხვებსაც).

მაგალითად, ელენე თევდორაძე ჩვეული მჭევრმეტყველებით განსჯის, რაც მოხდა, მიუღებელია, მაგრამ ღირსების შელახვაც დიდად მძიმე რამ არის, სასწორზე რომ დავდოთ, გააწონასწორებენ ერთმანეთსო. ამრიგად, ჩვენი ბრძენი კანონმდებელი ქალბატონი ცალი ხელით ცრემლს იწმენდს თანაფრაქციელების მიერ პარლამენტში დადგმული უხამსი სპექტაკლისთვის, მეორეთი კი ტაშს უკრავს მათს შემართებულობას.

ნიუანსი: იგი, საქვეყნოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დამცველი და ყველას მამიდა, აღშფოთებულია, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს მაღალჩინოსანმა თავისი კაბინეტში ადვოკატი სცემა, ასეთ კაცს როგორ შეიძლება სიცოცხლე ვანდოთო.

რა თქმა უნდა, სწორია ქალბატონი ელენე, მაგრამ იმ ხალხს როგორღა ვანდოთ ჩვენი კანონმდებლობის შექმნა, ვინც უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში ქუჩურ გარჩევებს და მუშტი-კრივს მართავს?

ადამიანის ღირსების შელახვა დანაშაულია, ასეთი ქმედების გამართლება არამც და არამც არ შეიძლება და მართალი იყო ელენე თევდორაძე, როცა გმობდა იმ ცნობილ თავის-ტეხვაში დაზარალებულის ასეთ ცოდვას, მაგრამ სიმართლისდამცველობა პარტიულ ნიადაგზე არ უნდა იდგეს. როცა მავანთ ნუგზარ საჯაია თვითმკვლელობამდე მიიყვანეს მასმედიის მომარჯვებით, რატომ არ ისმოდა ქალბატონ ელენეს ცეცხლოვანი გამოსვლები უბედური კაცის ღირსების დასაცავად?

ერთ-ერთი დემოკრატი ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს: „მათგან ფიზიკურ ანგარიშსწორებას არ გამოვრიცხავ. ვიღაცას ვითომ გაქურდავენ და სცემენ, ვიღაცა უცებ ავარიაში მოყვება და ა. შ. თითქოს არსებობს სიაც, ვისზეც ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს... ვიცით, რომ ფულიც გადახდილია... პროვოკაცია მზადდება ჟურნალისტებზეც“.

ასეთი ვარაუდის ალბათობა ყოველთვისაა და სულაც არ არის აუცილებელი, იგი რომელიმე მხარის (ხელისუფლების თუ ოპოზიციის) მძიმე არტილერიას მივათვალოთ, მაგრამ რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ლამის დადასტურებულ ფაქტადაა წარმოდგენილი, რატომ არ შეიძლება თავისუფალი აზროვნების კაცმა ეს სულაც თვით ოპოზიციის ხელთ არსებულ იარაღად მიითვალოს?

ამას თუნდაც ასეთი აზრობრივი წიაღსვლა მათქმევინებს: „ვინმე ჟურნალისტს საშინელებას დააწერინებენ და მერე იტყვიან, „დემოკრატები ჟურნალისტებსაც სცემენო“. რა გამოდის? ჟურნალისტს, რომელიც დემოკრატების საწინააღმდეგოდ თუნდაც, „საშინელებას“ დაწერს, ალბათ მართლა დემოკრატები სცემენ, თორემ სხვა შემთხვევაში რატომ იტყვიან, „დემოკრატები ჟურნალისტებს სცემენო?“

ისე, ამ სცენარით: „ვიღაცას ვითომ გაქურდავენ და სცემენ“, ჩვენმა რედაქციამ უკვე მიიღო პირველი დარტყმა.

იხ. მე-2 გვ.

### სულიერება

## ჭეშმარიტების პირველი მაცნე

**საქართველოს** ეკლესიის შარავანდედს მრავალი წმინდანის ნათელი მოსავს. ერთნი სიტყვით, მეორენი ხელოვნებით, სხვანი კი სისხლთა დათხევით განამტკიცებდნენ საფუძველს ჭეშმარიტებისა, რომელმაც ჩვენი ერის კულტურული სახე შექმნა. რადგან მხოლოდ სულიერი, ანუ წარუვალი ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ფასეულობანი განაპირობებენ ერის ღირსებას, ამიტომ ქართველნიც, სხვა ქრისტიან ერთა შორის, უფლის დიდი წყალობით პატივდებულნი არიან — საზეპურო, ანუ ღმრთის რჩეულ ერად იწოდებოდნენ.

ყოველი მოღვაწისთვის ძალის მიმცემი მართალი სარწმუნოებაა. იგია დასაბამი უფლის ნათელის ხედვისა, რადგან განათლების საწინდარი ქრისტიანული მოძღვრებაა და მისი შესწავლის გარეშე, ანუ ღმრთის მიერ კაცთათვის გამოცხადებული სწავლების შეუთვისებლად, უფალი იესო ქრისტეს



გაღებული მსხვერპლისა და მისი უსაზღვრო სიყვარულის განცდა შეუძლებელია. აი, სწორედ ამ სწავლების ნათელი მოიტანა პირველად საქართველოში იესო ქრისტეს მიერ მოციქულობისთვის პირველად მოხმობილმა (მოწოდებულმა) წმინდა ანდრიამ, რომლის ზედწოდებაც — პირველწოდებული — აქედან მომდინარეობს.

სახარებებში გადმოცემული ცნობების თანახმად, მოციქული ანდრია წარმოშობით ბეთსაიდიდან იყო და თავის ძმასთან, მოციქულ პეტრესთან ერთად კაპერნაუმში ცხოვრობდა. ისინი მეთევზეები იყვნენ, მაგრამ ძველი აღთქმის სჯული კეთილად ეპყრათ და მაცხოვრის მოსვლას სასოებით მოელოდნენ. ნიკიტა პაფლაგონიელის (IX ს.) თხზულებაში „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი“, რომელიც წმიდა ექვთიმე მთაწმინდელს (+1038 წ.) ბერძნულიდან უთარგმნია, ანდრია მოციქულის განათლებაზე ვკითხულობთ: „ვითარცა იგი ხელოვნებით სიღრმეთა ზღუისათა აღმოიკვლევდა, ეგრეთვე სიღრმესა მას საღმრთოთა წერილთასა გულისხმისყოფით გამოიკვლევდა“. იგი თავიდან წმიდა იოანე ნათლისმცემლის ერთ-ერთი მოწაფე იყო, მაგრამ შეიცნო რა იესო ქრისტეში ხორცით შემოსილი სიტყვა ღმრთისა, თორმეტ მოციქულთაგან მისი პირველი მოწაფე გახდა და მაცხოვრის მრავალი ქადაგების მოსმენისა და სასწაულის ხილვის შემდეგ მისი ამაღლების მოწმეც შეიქნა.

იხ. მე-2 გვ.

### კადრი



ხეობა. ჯემალ კასრაძის ფოტო.

### გუშინ

## გაიხსნა ექვთიმე თაყაიშვილის სამლოცველო ბინა-მუზეუმი

**გუშინ, ვაშლოვნის ქუჩის №6-ში გაიხსნა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი-თაყაიშვილის მემორიალური სამლოცველო ბინა-მუზეუმი. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, საზოგადოების წარმომადგენლები.**

***მასალას ამ მოვლენის შესახებ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.***

### კანონმდებლები

## ათანხმებენ კანონპროექტს

ახალ „საარჩევნო კოდექსზე“ მომუშავე პარლამენტის შემთანხმებელმა ჯგუფმა ცვლილებების 85 პროცენტზე შეთანხმებას მიაღწია.

ამის შესახებ დღეს „ინტერ-პრესს“ დამოუკიდებელმა დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა.

მისი თქმით, უკვე შეთანხმებული ცვლილებების თანახმად, უკმაყოფილო მხარეს ამომრჩეველთა სიების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლოში ბაჟის გადახდა აღარ დასჭირდება.



გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, თუ სახელმწიფო საარჩევნო პროცესის დასაფინანსებლად ცსკ-სთვის გადასარიცხ თანხებს დროულად ვერ მოიძიებს, იგი ვალდებულია, კომერციული ბანკიდან კრედიტი აიღოს.

ინტერ-პრესი.

### ინტერპანორამა

**<u>სადამ ჰუსეინის</u> გვარდიელებს ერაყის ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგომის ნებას დართავენ. ოღონდ, რესპუბლიკური გვარდია და ერაყის არმიის ყოფილ რეჟიმთან ახლოს მდგომი სხვა ქვედანაყოფები გაუქმდება. ერაყის ახალი არმია რიცხობრივად დიდი არ იქნება, მაგრამ მას უნარი ექნება დაიცვას ერაყი ნებისმიერი საგარეო საშიშროებისგან.**



**<u>ტონი ბლერმა</u> შეინარჩუნა პირველი ადგილი ბრიტანელების ყველაზე საყვარელი თანამემამულეების სიაში. თუმცა ტონი ბლერის პირადი რეიტინგი მაღალია, მაგრამ არსებითად ჩამორჩება იმ მონაცემებს, რომელიც დაფიქსირებული იყო ხელისუფლებაში 1997 წლის მაისში ლეიბორისტული პარტიის მოსვლის შემდეგ.**



## გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თვალსაწიერი

# რამდენიც გინდა იძახო „ჰალვა, ჰალვა“, პირში ჰალვის გემოს ვერ იგრძნობ

(პირველი გვერდიდან)

ათიოდ დღის წინათ თავს დაესხნენ „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელმწიფო მშენებლობის რედაქციის უფროს რედაქტორს და სარედაქციო კოლეგიის წევრს, ცნობილ ჟურნალისტს ბონდო გულიაშვილს, რომელიც მწვავე საკითხებს არ გაურბის და ხშირად წერს პოლიტიკის კრიმინალიზაციასა და კრიმინალის პოლიტიზაციაზე. უმძიმეს ფიზიკურ ტრავმებს ახლდა ერთობ მარტივი და უბადრუკი გაძარცვა. „მძარცველები“ ჯერჯერობით მიკვლეული არ არიან და, ალბათ, ვერც მიაკვლევენ, რადგან იქ არ ეძებენ, სადაც მათი მიგნებაა საგულებელი.

ასე და ამგვარად, დღევანდელ „დემოკრატიულ საქართველოში“, როგორც ხშირად გვიყვარს თქმა, ერთმანეთს მჭიდროდ გადაენასკვა პოლიტიკა და ფიზიკური ანგარიშსწორება. უფრო სწორედ, ფიზიკური ანგარიშსწორება პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად და „დამცავ საშუალებად“ იქცა.

ისე რომ, როგორც ვატყობ, კიდევ ხშირად გაგვახსენდება „გუშინ ღამე სროლა იყო ხოჯევანქის უბანში“.

მით უფრო, რომ ორიოდ დღის წინათ, მართლა სროლა და თავპირის მტვრევა იყო ყოფილი „იმელის“ შენობაში, სადაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელი ომარ გოგია ქუჩიდან შესულმა „მთხოვნელებმა“ გვემეს. ისე, გვემულსაც გამოუღია ხელი, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა „სამ მე ვესროლე, სამ — იმან, მესამით დავასრულია“.

მართალია, „მკერდზე ნასროლმა ტყვიამა (არავის არ) გაუნაძოძა გულია“, მაგრამ ბატონ ომარ გოგიას კი მრავლად მოხვდა, მგონი სულაც სკამი დაალეწეს თავზე. რატომ და რისთვის, ეს სხვა საკითხია, ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს (რაზეც, პირადად მე, დიდზე დიდი ეჭვი მებადება).

ანგარიშსწორების შედეგი იყო „მორკინალის“ მფლობელ ჯონი გიგანის წინააღმდეგ ხუთშაბათს განხორციელებული ტერორისტული აქტი, როცა მას მანქანა აუფეთქეს. მადლობა ღმერთს, ყველაფერი უმსხვერპლოდ დასრულდა.

სამაგიეროდ, შემზარავი ტრაგედია დატრიალდა სამაჩაბლოში (თამარაშენში), სადაც მინდიაშვილები — მამა და სამი ვაჟი დაცხრილეს. საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო ძალების სარდლის გაწვევის საკითხს აყენებს, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. მაგრამ ეს რომ კმაროდეს, რა გვიჭირს. ამ რეგიონის ქართული სოფლების დაცვა სერიოზული საზრუნავია და ქვეყნის ხელისუფლებამ სერიოზულადაც უნდა იფიქროს ამაზე.

საერთოდ კი, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო პირქუში, განუჭვრეტადი და საშიში ხდება პოლიტიკური ატმოსფერო. ახალი მემარჯვენეების ლიდერის დავით გამყრელიძის ვარაუდი, ხელისუფლება დესტაბილიზაციას ააგორებს, საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს და არჩევნებს ან გადაიტანს ან „თოფს ქვეშ“ ჩაატარებსო, ათას კითხვას აღძრავს. უწინარეს ყოვლისა იმას, რომ გაურკვეველია, რატომ იქმს ამას ხელისუფლება, რომელიც ყოველდღიურად იკრებს ძალებს საარჩევნოდ. მეორე: აშკარად შეიმჩნევა, ოპოზიცია სერიოზულად არის შეშფოთებული სახელისუფლებო ბლოკის მზარდი ძლიერებით და კიდევ იმით, რომ ვერა და ვერ ახერხებს თავისი რიგების გაერთიანებას, ჯერჯერობით მაინც. კი, ხვალ შეიძლება გაერთიანება მართლაც მოხდეს, მაგრამ რამდენად სრული იქნება ერთიანი დროშის ქვეშ დარაზმვა, კიდევ საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, ნაკლებ სავარაუდოა ლეიბორისტების იქ შესვლა, ასევე ძალზე პრობლემური და ძნელად წარმოსადგენია „აღორძინებისა“ და ნაციონალების გვერდიგვერდ დგომა.

ესეც არ იყოს, თვით დროშა, რომლის ქვეშაც უნდა მოჯარდნენ ოპოზიციის ძალები, ერთობ უფერულია, უფრო სწორად, ერთობ ბუნდოვანი ფერისაა. „წინ, ხელისუფლების წინააღმდეგ!“ — ამის მეტს, ფაქტობრივად, იგი არაფერს ეუბნება „მასებს“. მოგვიწოდებს, არჩევნების გზით დავამხოთ არსებული ხელისუფლება და მის ნაცვლად მოვიყვანოთ ოპოზიცია, რომელიც ქვეყანას წაიყვანს ნათელი მომავლისკენო. მაგრამ ამ პროგრამა-მაქსიმუმში იმდენი რამ არის გაურკვეველი და საჭოჭმანო, რომ ძალზე საეჭვოა, ქუდზე კაცი გამოიყვანოს. რაც მთავარია, ვერ უპასუხებს უმთავრეს კითხვას: როგორ?

ძალაუნებურად გაგახსენდება ცნობილი აღმოსავლური ანდაზა: „რამდენიც გინდა იძახო „ჰალვა, ჰალვა“, პირში ჰალვის გემოს ვერ იგრძნობ“.

ალეკო ასლანიშვილი.

კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მესამე სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი ზურამ ბზვანელი.**



## ქვეყნისთვის

— ჯერ კიდევ გრძელდება აღდგომის შემდგომი ორკვირეული — სადღესასწაულო დღეები, მაგრამ ქვეყანაში არაერთი არასასიამოვნო ფაქტი მოხდა — ჯერ თამარაშენის ტრაგედია, რომელმაც, შესაძლოა, მეტად დაძაბოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ისედაც არასახარბიელო ფონი, ვინაიდან, ნებისმიერი ადამიანის მკვლელობა, მით უფრო, ასეთი საზარელი, სასტიკად მოქმედებს ხალხის ფსიქიკაზე. არანაკლებ შემაძრწუნებელი იყო ხუთშაბათს დილით ჯონი გიგანის მანქანის აფეთქება თბილისის ცენტრში. სამწუხაროდ, პარლამენტშიც გრძელდება სამარცხვინო ქმედებათა სერია — ძალისმიერი, შეურაცხმყოფელი მეთოდებით ანგარიშსწორება.

და მაინც, გაზაფხული ჭეშმარიტად დადგა, მზიანი ამინდები მეტ ხალისს გვმატებს...

## ჩემთვის პირადად

— პირადად ჩემთვის და ჩვენი სასწავლებლის მთელი კოლექტივისთვის უმნიშვნელოვანესი იყო 9 მაისი — ამ დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა სასწავლებლის დაარსებიდან 80 წლისთავი. ამ სასწავლებლის არსებობის მანძილზე არაერთი კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდა. ის დღემდე სახელოვნად განაგრძობს მასზე დაკისრებული მისიის აღსრულებას და შესაბამისად, ამითაც მიაგებს ღირსეულ პატივს მელიტონ ბალანჩივაძისა და ზაქარია ფალიაშვილის ღვაწლს — იმ ადამიანებისა, რომელთა თაოსნობითაც დაარსდა სასწავლებელი. საიუბილეო საღამომ მართლაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭა.

P. S. **მსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მესამე სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელობას, კოლექტივს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს ამ სასწავლო კერის სახელოვან იუბილეს. ჭეშმარიტად დიდია მისი ღვაწლი ქართული კულტურის განვითარებაში, მომავალი თაობების აღზრდისა და ჩამოყალიბების მამულიშვილურ საქმეში. არსებობის მანძილზე ამ სასწავლებელმა ქართულ კულტურას არაერთი სახელოვანი მუსიკოსი აღუზარდა. ბევრი მათგანი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს შემოქმედებით თუ პედაგოგიურ ასპარეზზე. გილოცავთ და მომავალ წარმატებებს, შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

პატივისცემით,
ზურაბ ოიკაშვილი.

სულიერება

# ჭეშმარიტების პირველი მაცნე

(პირველი გვერდიდან)

მოციქული ანდრია მოწამეობრივად აღესრულა ქალაქ პატრაში 62 წელს. საკლესიო კალენდრით წმინდანის მოსახსენებელი დღეები დადებულია ახალი სტილით 12 მაისსა და 13 დეკემბერს.

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგებას არაერთი ძველი მწერალი ადასტურებს. ამის თაობაზე ცნობები IV-V საუკუნეების ავტორებთან, ევსევი კესარიელთან და თეოდორიტე კვირელთანაც, მოიპოვება. დოროთეოს ტვირელის (IV ს.) ანალოგიური შინაარსის შემცველი საკითხავი შეტანილია ქართულ ჰომილეტიკურ-ლიტურგიკულ კრებულში — კლარჯული მრავალთავი (X ს.), რომელიც საქართველოს ეკლესიის VI-VIII საუკუნეების ლიტურგიკულ პრაქტიკას ასახავს. ფართოდაა გავრცელებული ზემოთ დასახელებული თხზულების („მიმოსლვათათვის“) ორიგინალური ქართული ვერსია, რომელიც ლეონტი მროველს XI ს-ში შეუტანია სამატიანო კრებულში „ქართლის ცხოვრება“. მასში მოთხრობილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ანდრია მოციქულის ქადაგებაზე, მისი მესამედ მოგზაურობის დროს.

მოციქული ანდრიას საქართველოში მოვლინება ღმრთის განგებულებით აღსრულდა. სულთმოფენობის შემდეგ მაცხოვრის მოწაფენი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელთან ერთად შეიკრიბნენ და წილი ყარეს, თუ რომელი მათგანი ქრისტიანობის საქადაგებლად სად წავიდოდა. ჩვენი ქვეყანა წილად ხვდა თვით ღმრთისმშობელს, მაგრამ მას უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და, რადგან წმიდა მარიამის მიძინების ჟამი ახლოვდებოდა, დაავალა, მის წილხვდომილ ქვეყანაში ანდრია გაეგზავნა. ღმრთისმშობელმა მოციქულს მოუწოდა, თავისი ხელთუქმნელი ხატი უბოძა და ღმრთის ნების აღსასრულებლად აკურთხა.

ანდრია მოციქულმა სიმონ კანანელსა და მატათასთან ერთად საქართველოს მრავალ კუთხეში, მათ შორის — აჭარაში, სამცხეში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და ქართლში იქადაგა და ეკლესიები დააფუძნა, მღვდლები და დიაკვნები დაადგინა, სასწაულებითა და საღმრთო სიტყვით ბევრი წარმართი მოაქცია და დასაბამი მისცა იმ ნათელ გზას, რომელსაც ქართველი ერი დღემდე მიჰყვება.

როგორც აღვნიშნეთ, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოციქულებრივი მოღვაწეობა ყოველთვის უცილობელი ფაქტი იყო, რომლის საფუძველზეც ჩვენს წინაპრებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები არაერთხელ დაუცავთ. მაგალითად, როცა XI ს-ში წმიდა გიორგი მთაწმინდელს ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან ქართველთა ეკლესიის დამოუკიდებლობაზე კამათი ჰქონდა, მან საბუთად მოიყვანა „წიგნი მიმოსვლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ“, ჯერ საჭირო ადგილები წაიკითხა და შემდეგ პატრიარქს მიმართა: „წმიდაო მეუფეო, შენიტყუ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ჰზიო. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს **აფხაზეთს,** რომელსა **ნიკოფსი** ეწოდების“; შემდეგ კი ესეც დაამატა: „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ“.

ქართლის მოქცევის საკითხებს ღირსმა ეფრემ მცირემ (XI ს.) სპეციალური შრომა მიუძღვნა, რომელშიც წამოაყენა არგუმენტები საქართველოს ორ ეტაპად გაქრისტიანების შესახებ — მოციქული ანდრია პირველწოდებულისა და მოციქულთასწორი წმიდა ნინოს მიერ, რაც 1105 წელს რუის-ურბნისის ცნობილ კრებაზე დაკანონდა კიდეც. დაბოლოს, წმიდა ნინოს მეტაფრასული „ცხოვრების“ ავტორს არსენი ბერსაც (XI-XII სს.) მოვიხსენიებთ, რომელმაც ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგებაზე მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა.

აღნიშნული ფაქტების მოხმობითა და ანდრია პირველწოდებულის ღვაწლის მცირედი აღწერით, შევეცადეთ, უფრო ცხადად წარმოგვეჩინა მნიშვნელობა ქრისტეს მოციქულის ქადაგებისა, რომელიც ყოველი ავტოკეფალური ეკლესიისთვის განსაკუთრებულ ფაქტს წარმოადგენს.

წერილს დავასრულებთ წმინდა ანდრიას სიცოცხლეში წარმოთქმული ბოლო სიტყვებით, რომლითაც მან აღსასრულის წინ, როცა ჯვარზე სამი დღის განმავლობაში დაკიდული უფალს სულს ავედრებდა, მართალი კაცის ტანჯვით შემრწუნებულ ერს მშვიდად მიმართა: „არა ჯერ არს შიში სიკუდილისაგან, არამედ გეშინოდეთ ყოველთა ცოდვისაგან, რამეთუ რომელთაცა იღვაწონ ამას სოფელთა კეთილად, განსასვენებელად მივლენ საუკუნოდ, აღთქმისაებრ უტყუველისა მის პირისა საუფლოსა; ხოლო რომელნი დაემონნენ ცოდვასა, იცინი მიეცნენ სატანჯველსა საუკუნესა. აწ, უკუე, ძმანო, შეიტკბეთ სარწმუნოება წმიდისა სამებისა და მცნებანი უფლისანი დაიმარხენით, რათა მიემთხვივნეთ ნეტარებასა მას საუკუნესა“.

გრიგოლ რუხაძე.

დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს ორდენებით, მედლებით დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ

საქართველოში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ფუნქციონირებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მამაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით და გამოეცხადოთ მადლობა:

### ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

**ოთარ ცინცაძე** — პოლიციის პოლკოვნიკი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსი.

### ღირსების ორდენით:

**უშანგი ანუაშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილე; **ფრიდონ რეხვიაშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსი.

### მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

**დათო გელაშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს სამსახურის უფროსი; **პაშა იუსუბოვი** — პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, მარნეულის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსი; **თენგიზ ლაშხი** — პოლიციის პოლკოვნიკი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს სამსახურის უფროსი; **ავთანდილ ყორჩიშვილი** — პოლიციის პოლკოვნიკი, რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსი.

### მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

**გენადი გობრონიძე** — პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსი; **ბორის მაკალათია** — პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებული ქალაქ ფოთის ნავსადგურის დამცავი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსი; **ანატოლი ჩაკვეტაძე** — პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს სამსახურის უფროსის მოადგილე; **თენგიზ ხაზალია** — პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსი.

### გამოეცხადოთ მადლობა:

**ელგუჯა აკობიას** — პოლიციის მაიორს, ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსის მოადგილეს; **კობა ბრეგვაძეს** — პოლიციის უფროს ლეიტენანტს, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსს; **ომარ დარასელიას** — პოლიციის სერჟანტს, ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის მძღოლს; **ზაზა ზაზაშვილს** — პოლიციის უმცროს სერჟანტს, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმში შემავალი პირველი ნაწილის მეხანძრეს; **ელგუჯა კაპანაძეს** — პოლიციის ზემდეგს, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის ათეულის მეთაურს; **ნუგზარ ლობჟანიძეს** — პოლიციის კაპიტანს, ამბროლაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსს; **დემურ მებონიას** — პოლიციის მაიორს, სენაკის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროსს; **მარინე მესხიშვილს** — პოლიციის მაიორს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსს; **ჯუმბერ ოდიკაძეს** — პოლიციის სერჟანტს, გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს გასამხედროებული ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის უფროს მეხანძრეს; **დავით ხუციშვილს** — პოლიციის კაპიტანს, იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სპეციალისტს.

ედუარდ შევარდნაძე.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ექსკლუზივი

საარჩევნო ბატალიების პიკი ჯერ შორსაა, მაგრამ პოლიტიკური ძალების გადანაწილების პროცესი კარგა ხანია დაიწყო. ეს მოვლენა ბუნებრივი იქნებოდა, რომ არა ფორმა, რომლითაც ეს პოლიტიკური გადაჯგუფებები მიმდინარეობს: ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიები გამმაგებით იბრძვიან პოზიციების შესანარჩუნებლად. ეს „გამმაგება“ ლამისაა სალანძღავ სიტყვად იქცეს იმ დროს, როდესაც იგივე ოპოზიცია თავგამეტებით იბრძვის გამარჯვების მოსაპოვებლად. ამ სიტუაციაში, რატომღაც, ყველას ავიწყდება, რომ უბედურება გამარჯვებისათვის (ყველასათვის სრულიად გასაგებ) ბრძოლაში კი არა, ამ ბრძოლის ღირსების ფარგლებს გარეთ გადატანაშია. ნებისმიერი სახის დაპირისპირებისას ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორის მოწმენიც ყოველდღიურად ვხდებით, დაუშვებელია, რადგან იკარგება მთავარი მიზანი – ქვეყნის ინტერესებზე ზრუნვა, რაც ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ერთნაირად უნდა ამოძრავებდეს. მაშინ კი, როდესაც დაპირისპირებისას ურთიერთლანძღვა ხდება მთავარი არსენალი, ნაკლები ადგილი რჩება კონსტრუქციულ კრიტიკას და, საბოლოოდ, საქვეყნო ინტერესები ზარალდება.

უკვე ხმამაღლა გაცხადდა იმის შესახებ, რომ საქართველოში ამოქმედდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ხელისუფლების შეცვლის მიზნით დაგეგმილი სპეცოპერაცია კოდური დასახელებით „კმარა“. იმის შემდეგ, რაც სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა ამგვარი გეგმის შესახებ ხმამაღლა განაცხადა, საკვირველია, მაგრამ ოპოზიციის მხრიდან არავის უცდია თუნდაც იმის თქმა, რომ ასეთ ინფორმაციას საფუძველი არ გააჩნია. ასეთ სიტუაციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთი ნაწილის „ბუნტი“ ბუნებრივ ადგილს პოულობს ზემოხსენებულ კონტექსტში და გამოდის, რომ „ცოდნის თეთრი ტაძრის გადასარჩენად“ შემართული ახალგაზრდობა, ფაქტობრივად, სულ სხვა მიზნის მისაღწევად არის მომზადებული.

კაცმა არ იცის, ზუსტად რა ერქვა სპეცოპერაციას ე. წ. ნოემბრის მოვლენების დროს. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ იმ დღეების გმირები მიზანს ასცდნენ, თუმცა გენერალური რეპეტიციის პირობაზე ბუნტს, რომ იტყვიან, არა უშავდა. შესაბამისად, ხელისუფლებისადმი დაპირისპირებებმა კულუარებიდან ღია სცენაზე გადაინაცვლა, ბრძოლის მეთოდები კი უპირველესად მორალური თვალსაზრისით დამძიმდა.

ასეა თუ ისე, ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“ წევრობა, შემდეგ კი ხელისუფლების მხარდამჭერთა რიგებში დგომა პოლიტიკოსებისთვის დიდად სახარბიელო მდგომარეობა ვერ არის. ამისდა მიუხედავად, ასეთები მაინც მრავლად არიან, ამიტომ საინტერესოა, რა გამართლება აქვს მათ თვალში პოლიტიკური ალბათობის ასეთ არჩევანს. „საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია კასპის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკის და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ქარუმიძე:

# საბოლოოდ ყველას ისტორია და ღმერთი გვასამართლებს

## გულახდილი დიალოგი წინასაარჩევნო ბატალიების ფონზე

**– ბატონო ზურაბ, იყო დრო, თქვენ გამარჯვებული პარტიის თანამდგომი პოლიტიკოსი გერქვათ. მას შემდეგ მმართველი პარტიის ბუდიდან არაერთი „ბარტყი“ უკანმოუხედავად გაფრინდა და ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაც ბევრს შეეცვალა, თქვენ კი, როგორც ვიცი, ძველებურ პოზიციაზე დგომას ამჯობინებთ. ამიტომ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ჩვენი საუბარი ცოტა შორიდან დაგვეწყო და თქვენთვის ასეთი კითხვა დამესვა: ნათქვამია, რომ „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“. მეტსაც ვიტყოდი – არათუ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ადამიანები, როგორც წესი, არც იმის გარკვევას ცდილობენ, რატომ არ ასამართლებენ გამარჯვებულებს. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?**

– იმიტომ, რომ დამარცხებულებს უჭირთ აღიარონ, მარცხის მიზეზი უპირველესად საკუთარ სისუსტეში რომ არის საძიებელი. აქედან გამომდინარე, გამარჯვებული გასამართლებას იმიტომაც არ ექვემდებარება, რომ ძლიერის გასამართლება ძნელი, ხშირ შემთხვევაში კი, შეუძლებელია. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გამარჯვებით მოპოვებულის შენარჩუნება ადვილი არ არის, რადგან წარმატებას თუ წარუმატებლობას მილიონი ფაქტორი განაპირობებს, რაც, სხვათა შორის, ხალხს არ აინტერესებს – ხალხს დაპირებულის მიღება უნდა. თუ სიმართლეს შევხედავთ თვალებში, გამოვა, რომ დღეს ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური პარტიების დანაპირები წინა არჩევნების დროს ნაკლებად დაიჯერეს და სწორედ ამიტომ გაცილებით უადვილდება ცხოვრება ოპოზიციას. ფაქტობრივად, მას მომავალ არჩევნებამდე გაუთავებლად მხოლოდ იმის მტკიცება ევალება, საკუთარი გამარჯვების გარდა, რისი გაკეთება ვერ შეძლო გამარჯვებულმა. საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა (მხედველობაში მაქვს თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები) ცხადყო, რომ ხელისუფლებაში ყოფნა და პრაქტიკული საქმიანობა იმ პოლიტიკურ ძალებსაც ფრიად გაუჭირდათ, რომლებმაც (ასეთი თუ ისეთი) საშუალებებით მოახერხეს და ქართველი ხალხის ნა-



წილის ცნობიერებაში ქვეყნის ბედზე ხელისუფლებაზე მეტად მზრუნველის იმიჯი დაიმკვიდრეს.

**– რომ გაუჭირდათ, მართლა ფაქტია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ახლა ამის აღიარება არავის უნდა, არ მეთანხმებით?**

– ასეთი ფაქტების აღიარება მაღალმორალური საზოგადოების წევრების პრეროგატივაა. იქ კი, სადაც ასეთი კატეგორიები ძველმოდურად ითვლება, არავის არაფერში სჭირდება ობიექტური განსჯა თუ მეტოქის ღირსების ღირსეულად აღიარება. ეტყობა, გაცილებით ადვილია ცხოვრება, როდესაც „აგერაა“ სალანძღავი და განტევების ვაცად ადვილად გამოსაცხადებელი ხელისუფლება – თავისი არაერთი წარმატებითა თუ წარუმატებლობით.

**– თუ გულწრფელი ვიქნებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხალხს (იგივე ელექტორატს) ნაკლებად აინტერესებს ამ წარუმატებლობების მართლაც ობიექტური მიზეზებიც კი. მას შედეგები უნდა, რომელიც ჩვენს შეჭირვებულ ცხოვრებას, ვაღიაროთ, რომ არ ეტყობა...**

– გეთანხმებით და, მეტსაც გეტყვით: სწორედ ჩვენმა გაჭირვებამ განაპირობა ის, რომ ხელისუფლების მთელი გამეტებით და თავგანწირვით ლანძღვა (და არა – კონსტრუქციული კრიტიკა) ოპოზიციისათვის ხალხის გულის მოგების შესანიშნავ შანსად იქცა, რომელსაც ჩვენში ხელიდან არავინ უშვებს. თუ კრიტიკაზე იქნებოდა საუბარი, დამერწმუნეთ, ხელისუფლებას უამრავი არგუმენტი გააჩნია იმის სამტკიცებლად, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ დგას ერთ ადგილზე. პირიქით – საქართველომ მსოფლიოში შეიძინა უპირველესად ჩვენთვის ასე საჭირო პოლიტიკური ფუნქცია, რაც პატარა საქმე ნამდვილად არ არის. ამ დროს კი ყველას „ავიწყდება“, რომ პოლიტიკა (ერთი კაცის მართლა მოხდენილად თქმისა არ იყოს) „კიტრის მოსავლის მოყვანა არ არის, რომ შედეგი ერთ წელიწადში მოგვცეს“. ჩვენი ხელისუფლების სათავეში მდგომი პრეზიდენტისათვის ამ ხნის მანძილზე მხოლოდ იმიტომ არის საგარეო პოლიტიკა პრიორიტეტული, რომ ქვეყანას ასაყვავებლად ჯერ დაცვის სერიოზული მექანიზმები სჭირდება. მოდით, ჩვენი საუბარი ერთი წუთით სულ სხვა სიბრტყეში გადავიტანოთ და ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: უპირველესად რისი გაკეთება გახდება საჭირო, თუკი ადამიანი სახლის აშენებას დაიწყებს? დამეთანხმებით, რომ ასეთ დროს ჯერ მტკიცე ზღუდის (ღობის) აშენებაა აუცილებელი, რომ ეზო-კარმიდამო და მომავალში – სახლი დაცული იყოს. სწორედ ამ ზღუდეს აშენებდა და აშენებს ახლაც ჩვენი პრეზიდენტი, რადგან მხოლოდ დაცულ ქვეყანაში შეიძლება ზრუნვა ამ ქვეყნის კეთილმოწყობაზე!

**– ბატონო ზურაბ, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები შედეგად რომ პოლიტიკური ძალების ხელახალ გადანაწილებას მოიტანს, ბავშვმაც კი იცის, თუმცა „წიწილების დათვლის“ პროცედურის მომავალ შემოდგომამდე გადატანა, ფაქტია, არავის უნდა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას კი, არჩევნებიდან არჩევნებამდე, ძირითადად იმის მოსმენა უხდება, რა ცუდია ხელისუფლება და რა კარგი იქნებოდა, ამ ხელისუფლების სათავეში სხვა რომ ყოფილიყო. ხალხი არ გეცოდებათ?**

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ოპოზიციის დაპირებები დიდად არაფრით განსხვავდება ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური ძალის დაპირებებისაგან, ადვილი გასაგები იქნება, რომ ნებისმიერი დაპირების შესრულება ასეთივე ძნელია, როგორც – ზოგადად რეალობის შეცვლა. აქედან გამომდინარე, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ვინმე ამ რეალობას არსებულ ხელისუფლებაზე უკეთ შეცვლიდა, თუმცა ეს თეორიაა და თეორიად დარჩება, სანამ ხალხი ხელისუფლებას ახალ პოლიტიკურ ძალას არ გადააბარებს, დრო არ გავა და იგივე ხალხს ახლებური თავის მართლების მოსმენა და გაგება არ მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ მშვენივრად უწყის – მოვა დრო და მასაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, ხალხის წინაშე თავის მართლება მოუწევს, ხელისუფლებაში მოსვლას ყველა ესწრაფვის...

იხ. მე-5 გვ.

ფინანსები

# გეოპოლიტიკური დაძაბულობის მოხსნამ სამომხმარებლო ნდობა აამაღლა

***გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენას ფედერალური სარეზერვო სისტემის ღია ბაზრის კომიტეტის სხდომა წარმოადგენდა, რომელმაც როგორც საფინანსო ბაზრებისათვის იყო მოსალოდნელი უცვლელ დონეზე დატოვა რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი.***

ფედერალური სარეზერვო სისტემის ღია ბაზრის კომიტეტის სხდომის დამთავრების შემდეგ, სამშაბათის სავაჭრო სესიაზე საფონდო ინდექსები ქვემოთ წავიდა, მაგრამ კომიტეტის მხრიდან გაკეთებული კომენტარების შემდეგ ინდექსებმა აღიდგინეს დაკარგული პოზიციები და ვაჭრობა პოზიტიურ ტერიტორიაზე დაასრულეს. Dow Jones-ის ინდექსი 56.79 პუნქტით, ანუ 0.7%-ით გაიზარდა 8588.36-მაჩვენებლამდე. Nasdaq-ის ინდექსი კი ახალ 11 თვიანი მაქსიმუმის 1523.71-ის დონეზე განისაზღვრა. ბოლო პერიოდის ტენდენციის თანახმად, გამოკვეთილი ლიდერი ტექნოლოგიური სექტორი იყო, რაც ნაწილობრივ დაუკავშირდა იმედიან განწყობას, რომლითაც ინვესტორები მსოფლიოში უმსხვილესი კომპიუტერული ქსელების საკომუნიკაციო აღჭურვილობის მწარმოებელი კომპანიის Cisco-ს კვარტალურ რეზულტატებს ელოდებოდნენ.

სამშაბათის სესიის მონაცემებით, Nasdaq-ის ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 2.14 მლრდ. აქცია შეადგინა. დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ვაჭრობის მაღალი მოცულობა და ინდექსის დადებითი დინამიკა ინვესტორების მზარდ ოპტიმიზმზე მიანიშნებს. შედარებისათვის ნიუიორკის NYSE-ის სასაქონლო ბირჟაზე და Nasdaq-ის ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თებერვალ-მარტში დღეში საშუალოდ 1.2 მლრდ აქციას შეადგენდა. გასული კვირის დასაწყისში ვაჭრობის მოცულობა NYSE-ის ბირჟაზე Nasdaq-ის ბაზართან შედარებით გაცილებით დაბალ, მაგრამ მაინც მაღალ დონეზე (1.60 მლრდ. აქცია) იმყოფებოდა. „ცისფერი კოჭების“ სექტორში ზრდის ლიდერებს ტექნოლოგიური გიგანტები წარმოადგენდნენ: Hewlett-Packard, Mikrosoft, Intel, IBM.

როგორც მოსალოდნელი იყო ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უცვლელ დონეზე დატოვა რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი, მაგრამ ფსს-ის ღია ბაზრის კომიტეტმა გააკეთა საინტერესო განცხადება, რომელსაც მთელი კვირის მანძილზე ხანგრძლივ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ ეკონომისტები და ანალიტიკოსები. კერძოდ, კომიტეტმა მიიღო დასკვნა, რომ დროის მიმდინარე მონაკვეთში, ამერიკულ ეკონომიკაში სჭარბობს მისი განვითარების შემაფერხებელი რისკები. ასეთმა დასკვნამ, ბუნებრივად წარმოქმნა ვარაუდი, რომ მორიგ, 25-26 ივნისის სხდომაზე ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შესაძლოა, ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შემცირების გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა ანალიტიკოსების სოლიდური ნაწილი არ იზიარებს ამ მოსაზრებას, ფედერალური სარეზერვო სისტემის განცხადებამ, საფინანსო ბაზრების თვალში გაზარდა განაკვეთის შემცირების ალბათობა.

მნიშვნელოვან წილად კომიტეტმა გაიმეორა ალან გრინსპენის მოხსენების ძირითადი აქცენტები:- გეოპოლიტიკური დაძაბულობის მოხსნამ, რამაც ნავთობის ფასების ვარდნა გამოიწვია სტიმულირება გაუკეთა სამომხმარებლო ნდობის ამაღლებას და გაამყარა აქციებისა და ობლიგაციების ბაზარი. ამან მონეტარული პოლიტიკის მხარდამჭერ კურსთან და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად გარკვეული დროის მანძილზე ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესება უნდა განაპირობოს.

ამასთან, კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმ განწყობას, რომელიც საფინანსო ბაზრებზე სამეწარმეო აქტივობის აპრილის ინდექსის მაჩვენებელმა განაპირობა. ალან გრინსპენისა და საქმიანი საზოგადოების მოსაზრების შესაბამისად, ფედერალური სარეზერვო სისტემის ღია ბაზრის კომიტეტმა განაცხადა, რომ აპრილის თვის ნეგატიური მაჩვენებლები ძირითადად ერაყში ომის დასრულებამდე, ანუ ამ ომით გამოწვეული გაურკვევლობის პერიოდის დაძაბულ განწყობას გამოხატავს, რითაც მიანიშნა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური მონაცემების სერიოზულ გაუმჯობესებას ელოდება. ასეთივე იმედით აღენთო ბოლო პერიოდში შეერთებული შტატების საფონდო ბაზარი, არ დაემორჩილა რა არასახარბიელო სტატისტიკას.

ოთხშაბათს, კორპორაცია Cisco-ს ფრთხილმა საპროგნოზო მაჩვენებლებმა ინვესტორებში იმედგაცრუება და საფონდო ინდექსების შემცირება განაპირობა. თუმცა ვარდნა არ იყო დიდი და საფონდო ინდექსებმა დიდწილად მოახერხეს წინა დღეს მოპოვებულის შენარჩუნება.

კვირის ბოლო სავაჭრო სესია ზედიზედ ორდღიანი ვარდნის შემდეგ, საფონდო ინდექსებმა პოზიტიურ ტერიტორიაზე დაასრულეს Dow Jones-ის ინდექსი 113.38 პუნქტით, ანუ 1.34%-ით გაიზარდა 8604.60 -მდე, ხოლო მაღალტექნოლოგიების Nasdaq-ი 30.46პუნქტით, ანუ 2.04%-ით 1520.15 მაჩვენებლამდე.

გასულ კვირაში მსოფლიოში უმსხვილესმა ოქროსმომპოვებელმა კომპანიამ Newmont Mining Corp-მა განაცხადა პირველ კვარტალში მაღალი მოგების შესახებ, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიური პერიოდი კორპორაციამ სერიოზული ზარალით დაასრულა. დენვერის კომპანიის სუფთა მოგებამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 117.3 მლნ, ანუ აქციაზე 29 ცენტი შეადგინა. 2002 წლის ანალოგიურ პერიოდში კი კომპანიის ზარალი 8.7 მლნ. დოლარით, ანუ აქციაზე 3 ცენტით განისაზღვრა. მოგების ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, დაძაბული გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო, სპარსეთის ყურეში ომის მუქარისა და გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის ფონზე, ოქროს ფასის მრავალწლიანი მაქსიმუმის დონეზე ზრდამ განაპირობა.




იხ. მე-5 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## უნდა ვიცოდეთ

**საქართველოს საპატრიარქოში ამ დღეებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია — გზა ქრისტიანობისა დასავლეთ საქართველოში“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, ისე მეცნიერები და პოლიტიკოსები. როგორც ითქვა, კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო გამოევლინა და საერთაშორისო ასპარეზზე გამოეტანა ის ისტორიული სინამდვილე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორიის გრძელი და ეკლიანი გზა ძირითადად მე-9 საუკუნიდან იწყება. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ პოლიტიკური სახელმწიფოებრიობა გაუქმდა, შემდეგ — ეკლესიური. ასევე მოხდა დასავლეთ საქართველოშიც. აი, რას ამბობენ ამის შესახებ მეცნიერები:**

# „აფხაზეთში საქართველოს სასულიერო პირები უნდა დაბრუნდნენ, რათა მათ იქადაგონ შემრიგებლობა“

## ისტორიის გაყალბება უბედურების სათავეა

**მარიკა ლორთქიფანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:**

— უწინარეს ყოვლისა, ყველას გვაღელვებს ის, რომ დღესდღეობით, აფხაზეთის ეკლესია, ფაქტობრივად, დაკარგული გვაქვს. ამჟამად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკლესიებში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მაშინ, როდესაც ადრე ეს ქართულად ხდებოდა. როგორც ჩანს, რუსეთის საპატრიარქოს ამ ტერიტორიაზე თავისი უფლებების დამკვიდრება სურს. ასეთ ვითარებაში გასაგები და მისასალმებელია საქართველოს საპატრიარქოსა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სურვილი მეცნიერულად დასაბუთდეს, თუ როგორი იყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა გაქრისტიანების შემდეგ. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც წმინდა ნინომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, დასავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი, საკუთრივ აფხაზეთი, ეკლესიურად კონსტანტინოპოლის სამწყსოს იურისდიქციას ეკუთვნოდა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილი მე-6 საუკუნიდან მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდა და წირვალოცვაც ქართულად აღევლინებოდა. დასავლურ ქართულ სახელმწიფოს (აფხაზეთის სამეფო), სათავეში აფხაზთა მეფეები ედგნენ და მათი წარმოშობის მიუხედავად, თავიანთი ეროვნული თვითშეგნებით ქართველები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ, რომ აფხაზეთის სამეფოს დასავლეთ ნაწილის ეკლესია გამოყოფილიყო კონსტანტინოპოლის სამწყსოსაგან, დამოუკიდებელ ეკლესიად ჩამოყალიბებულიყო და დაქვემდებარებოდა მცხეთის ტახტს. ბერძნული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში არსდება ახალი ქართული საეპისკოპოსო ცენტრები, ფაზისისა და ცხუმის ეკლესიები აღარ ექვემდებარება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შედის მცხეთის ტახტის იურისდიქციაში. ამის შემდეგ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის ბოლომდე, დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელსაც აფხაზთა კათალიკოსი უდგას სათავეში, ექვემდებარება მცხეთის კათალიკოსს. მე-15 საუკუნის შემდეგ კი, როდესაც საქართველო დაიყო, დასავლეთ საქართველო ეკლესიურად გამოეყო მცხეთის ტახტს. მე-19 საუკუნეში, როცა ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, კვლავ დაიწყო ბრძოლა იმის თაობაზე, თუ ვის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო აფხაზეთის ეკლესია. ბოლოს, ქართული და აფხაზური ეკლესია ისევ ერთ ორგანიზმად ჩამოყალიბდა.

ეს მკვლევართა ერთი ნაწილის აზრია.

არსებობს მეორე ვერსიაც, რომ უკვე მეოთხე საუკუნიდან დასავლეთ საქართველო ეკლესიურად მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდა და იქ წირვა-ლოცვა თავიდანვე ქართულად აღევლინებოდა. არაბთა შემოსევის შემდეგ ურთულესი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა და ბიზანტიამ შეძლო დასავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილის თავისი ეკლესიისათვის დაქვემდებარება. მეცხრე საუკუნიდან ამ შემთხვევაშიც მიმდინარეობს იგივე პროცესი — აფხაზეთის ეკლესიის მცხეთის ტახტისათვის დაქვემდებარება. ეს მკვლევართა მეორე ნაწილის აზრია. თუმცა ამ ვერსიაში გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები. საქართველოში მხოლოდ მე-5 საუკუნეში ჩანს საღვთისმეტყველო ლიტერატურა ქართულ ენაზე, ბიზანტიელი კათალიკოსები მე-6 საუკუნეში იცვლებიან ქართველი კათალიკოსებით.



ბიჭვინთის მონასტერი.

ეს ფაქტები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. 523 წელს, მაშინ, როდესაც ეგრისის სამეფოში უნდა აღმდგარიყო ქრისტიანობა და ბიზანტიასთან ურთიერთობა, ეგრისის მეფე თავისი ტიტულის დასამტკიცებლად ბიზანტიაში მიდის და იქ ქრისტიანდება. თუ მისი ეკლესია ამ დროისათვის მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდა, უფრო ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ იგი მოსანათლად მცხეთაში უნდა ჩასულიყო. ამავე დროს, ბერძნული სარწმუნო წყაროებიდან გვაქვს ცნობა, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ, რომელიც 527-565 წლებში მეფობდა, აბაზგები გააქრისტიანა და ტაძარიც აუგო. ასე რომ, იყვნენ თუ არა ისინი მანამდე ქრისტიანები უცნობია.

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ბერძნულ და ამავე პერიოდის ქართულ ისტორიულ წყაროებში აბაზგების (აფხაზების) ეთნიკური კუთვნილების საკითხი სადავოა და ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ამაზე დღესდღეობით ძნელია. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ აბაზგები ისეთივე ქართველური ტომები იყვნენ, როგორებიც მათ გვერდით მოსახლე სვანები, ეგრები და სხვები. ზოგს მიაჩნია, რომ ისინი ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით პირველ საუკუნეში ჩამოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან და შავი ზღვის სანაპიროზე დასახლდნენ. უდავოა მხოლოდ ერთი რამ — ისინი, ვისაც ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში ბერძნული წყაროები აბაზგებად მოიხსენიებენ, ხოლო ჩვენ აფხაზებს ვუწოდებთ, თავიანთი ეროვნული თვითშეგნებით იყვნენ ქართველები. საქართველოში ოდითგანვე ბევრი მაგალითი გვაქვს მთიდან ბარში ჩამოსახლებისა, მაგრამ იმ პერიოდში საქართველო ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, კულტურული აღმავლობის გზას ადგა და აფხაზები კიდეც თუ არ იყვნენ ეთნიკური ქართველები, მათი გაქართველება მოხდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, **რომ ტერიტორია, რომელზეც აფხაზები სახლობდნენ, ქართული მიწა-წყალია, უძველესი დროიდან ქართულ სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მასზე მოსახლე აფხაზებს კი, უფლება აქვთ იცხოვრონ ამ ტერიტორიაზე, რადგან, ისინიც, ქართველთა მსგავსად, მკვიდრი მოსახლეობაა და თავიანთი კულტურა, ენა, დამწერლობა აქვთ. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ მკვიდრი ქართული მოსახლეობის ამ მიწიდან გამოდევნის უფლება აქვთ.**

**მეუფე დანიელი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი:**

— აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ისტორიული სინამდვილის გაყალბება. ამიტომ მიზნად ვისახავთ დასაბუთებულად ვამხილოთ უარყოფითი მოვლენები, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა არა მარტო აფხაზები, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობაც; ისტორიული სინამდვილის გაშუქებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აფხაზებისათვის და ქართველებისათვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის. ევროპაშიც არიან მეცნიერები, რომლებიც გაყალბებული და მცდარი ინფორმაციის საფუძველზე ამართლებენ აფხაზი ხალხის მოქმედებას. ქართული მოსახლეობისათვის კი ინფორმაციული აგრესიის განეიტრალებისა და ჭეშმარიტების დადგენის გარდა მეტად მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ისტორიის საფუძველზე შეიძენენ იმ სულიერ იარაღს, რომლითაც სამართლიანობის აღსადგენად შეძლებენ ბრძოლას. აშკარაა, რომ, სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესია ცდილობდა და ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ქართულ ეკლესიაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთში ღვთისმსახურება რუსულ ენაზე მიმდინარეობს, რუსეთის საპატრიარქოს არაერთი საპროტესტო წერილი გავუგზავნეთ. თავის მხრივ, ისინი თავს იმართლებენ და აცხადებენ, რომ ეს მათგან არ მომდინარეობს და მათი ნებართვის გარეშე ხდება. თუმცა, არის ისეთი ფაქტებიც, რომელთაც გვერდს ვერ აუვლიან და პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან.

**ზაზა არველაძე, საქართველოს საპატრიარქოს სამეცნიერო-საენციკლოპედიო ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი:**

— მოგეხსენებათ, რომ, როდესაც აფხაზეთი პოლიტიკურად გამოეყო ქვეყანას და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, რასაკვირველია, მან საქართველოდან საეკლესიო გამოყოფაც მოინდომა. ამ თვალსაზრისით, აფხაზებმა კონკრეტული მოქმედებაც დაიწყეს, თუმცა, ყოველივე ეს, საეკლესიო კანონის დარღვევით ხდება. სამწუხაროა, რომ სწორედ ისტორიის არცოდნამ მიგვიყვანა სავალალო მდგომარეობამდე. ისტორიული წყაროების გაუთვალისწინებლად ძნელია დაუპირისპირდე სრულიად უაზრო, ყოველგვარ მეცნიერულ აზრს მოკლებულ დებულებებს, რომლებიც დღესდღეობით მართლაც ხშირია. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით არც ერთი პოლიტიკოსი არ აწარმოებდა მოლაპარაკებას სეპარატისტებთან. არადა, ისტორია საოცარ არგუმენტებს გვთავაზობს. აფხაზეთის კათალიკოსები, ბიჭვინთის, დრანდის, მოქვის ეპისკოპოსები ოდითგანვე ქართველები — გურიელები, აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები ერისთავები იყვნენ. ეს ფაქტები არავის გამოუყენებია, რადგან ცნობები ამის შესახებ ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი არ არის. **ის, რომ წირვალოცვა აფხაზეთში ქართულ ენაზე აღევლინებოდა, იმას მოწმობს, რომ იქ ქართული კულტურული და ენობრივი სამყარო იყო. საეკლესიო ტრადიციით ბიჭვინთის ტაძარი ანდრია პირველწოდებულის საყდარი იყო. ჩვენს ეკლესიას სამოციქულო იმიტომაც ჰქვია, რომ ანდრია პირველწოდებულმა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იქადაგა, სიმონ კანანელი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეა დასაფლავებული.** ერთ-ერთი კათალიკოსი თავის ტიტულატურაში წერს: „მე კათალიკოსმან და პატრიარქმან ბიჭვინთისა და საიმერეთოსი და აფხაზეთისა სრულიად, მჯდომარემან წმინდისა ანდრია პირველწოდებულის საყდარსა ზედამან“. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ის იყო სამოციქულო ტახტის საყდრის მემკვიდრე. ეს ცნობები ჩვენ რატომღაც დავიწყებული გვქონდა და როცა ქრისტიანობაზე ვლაპარაკობდით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მოვიხსენიებდით. დასავლეთ საქართველო კი უყურადღებოდ რჩებოდა როგორც მისი საკათალიკოსოს ისტორია. ყოველივე ეს აუცილებელია გავაცნოთ როგორც საერთაშორისო, ისე რუსეთის საზოგადოებრიობასაც.

**ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი:**

— რუსეთის სამღვდელოება ცდილობს, რომ უკანონოდ დამკვიდრდეს აფხაზეთში. პირადად მე არაერთხელ მივწერე რუსეთის პატრიარქს, რომ ეს მიზანშეწონილი არის, რის გამოც ურთიერთობა დაიძაბება არა მარტო ქართველებსა და აფხაზებს შორის, არამედ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორისაც, მაგრამ რუსი სასულიერო პირები პატრიარქის ნების საწინააღმდეგოდ მაინც ასრულებენ მღვდელმსახურებას, რაც ძალიან სამწუხაროა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწორი ინფორმაცია გავრცელდეს ჩვენი საკათალიკოსოს ისტორიის შესახებ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ და, ვფიქრობ, პირველი საქართველოს სასულიერო პირები უნდა დაბრუნდნენ აფხაზეთში, რათა მათ იქადაგონ შემრიგებლობა.

**მაია კობახიძე,**
**საქინფორმის კორ.**

## მსოფლიო შტრიხებში

### ენამ გინესის წიგნამდე მიიყვანა

**უჩვეულო რეკორდებს გინესის წიგნში კიდევ ერთი მიემატა — 36 საათის განმავლობაში ლაპარაკობდა ზიმბაბვეში 35 წლის მადალჩინოსანი ბანკის მოხელე იონა მუნგოში, რითაც მან დაამხო მსოფლიო რეკორდი ლაპარაკის ხანგრძლივობაში.**

**როგორც თავად ზიმბაბველი აღნიშნავს, მას მაინცდამაინც არ უჭირს ასე ხანგრძლივად განუწყვეტელი ლაპარაკი, თუმც ზოგჯერ ძალზე ეძინება, კლიენტებთან საუბარი ხომ მისი სამუშაო დროის დიდ ნაწილს მოიცავს.**

**ამ სიტყვიერ ნიაღვარს ერთმანეთის მონაცვლეობით აკონტროლებდა 6 მსაჯი. მუნგოშის დღენახევრიანი მონოლოგის ძირითადი თემა იყო მისი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ამიტომაც კონტროლიორები ძლივს იკავებდნენ თავს, რომ ორატორის გაუთავებელ მსჯელობაში არ ჩაბმულიყნენ.**

**რეკორდი ოფიციალურად რომ ეღიარებინათ, მის მაძიებელ ორატორს მხოლოდ თხუთმეტწამიანი პაუზის ნება ეძლეოდა, აგრეთვე, ყოველი რვა საათის შემდეგ შეეძლო 10-წუთიანი შესვენება ჭამისა და საპირფარეშოში გასასვლელად.**

### 10 მილიონი არც კი დაესიზმრებოდათ!

**ლეგენდარული მსახიობის მარლენ დიტრიხის ქალიშვილმა მარია რივამ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა დედამისისა და ასევე ლეგენდარული ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის ინტიმური მიმოწერა.**



**ლიტერატურათმცოდნეები, კარგა ხანია, ამტკიცებენ, რომ ამ სახელოვან ადამიანებს აკავშირებდათ პლატონური დამოკიდებულება.**

**თუმცა, ახლა გასაყიდად გამოტანილი უცნობი წერილები ცხადყოფენ, რომ თითქმის ათი წელი მათ სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ თვით აქციონის მონაწილეებსაც კი არ გააცნეს წერილების შინაარსი — თითქოს და მიმოწერა ძალზე მოურიდებელია, მასში უამრავი ვულგარული და უწმაწური გამოთქმაა, რაც განსვენებულთა სახელს ჩრდილს მიაყენებსო.**

**პროგნოზის მიხედვით, „რომანი წერილებში“, რაც 10 წელიწადს გრძელდებოდა, დაახლოებით 10 მილიონი დოლარი ეღირება — თითო მილიონი მათი ურთიერთობის თითოეული წელიწადისათვის. ასეთი ჰონორარი კი არც ლეგენდარულ გერმანელ მსახიობს დაესიზმრებოდა და არც მის თაყვანისმცემელს — ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსს.**

**მოამზადა**
**ვლადიმერ სიმონიშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ექსკლუზივი

# საბოლოოდ ყველას ისტორია და ღმერთი გვასამართლებს

(მესამე გვერდიდან)

**– უკაცრავად, გაწყვეტინებთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი ლტოლვა იმ პეპელას თავგანწირვას ჰგავს, რომელიც სინათლის წყაროსაკენ მიიწევს და ვერ ამჩნევს, როგორ დაიღუპა მიზანს მიღწეული მისი წინამორბედი. არის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ ხელისუფლება (იგივე ძალაუფლება) ერთგვარი „ნარკოტიკია“ და ვისაც ერთხელ მაინც უგემია, რას ნიშნავს ბერკეტების ფლობა, მას ამ ბერკეტების ხელიდან გაშვება სიცოცხლის ფასადაც არ უნდა, ასე არ არის?..**

– შესაძლოა, ასეცააა და სწორედ ამიტომ ბრძოლა ხელისუფლებისათვის წმინდად მიწიერი ფენომენია. ამ ბრძოლის ქინის საწყისი კაცობრიობის შორეულ, გნებავთ – პრეისტორიულ წიაღშია საძიებელი. აქედან გამომდინარე, იგივე კაცობრიობას (ქვეყნებს, რეგიონებს, ქალაქებს, უბნებს თუ ოჯახებს) ამ ბრძოლისაგან დასვენება არც სურს და არც უწერია! მხოლოდ ისტორიის პრეროგატივაა შეაფასოს, ამა თუ იმ დაპირისპირებისას ვინ მართალი იყო და ვინ – მტყუანი. მხოლოდ გარკვეული (და ხშირად დიდი) დროის გასვლის შემდეგ ეძებნება ობიექტური ახსნა პოლიტიკურ მოვლენებს და ნაბიჯებს, რის შემდეგაც ერთი ობიექტური ჭეშმარიტება უცვლელი რჩება: დიდი საქმეების ავკარგიანობის შეფასებას, შესაბამისად, დიდი დრო სჭირდება და გაცილებით ადვილია, ნებისმიერმა პენსიონერმა გაიგოს, რომ სამი ლარით მეტი ფული უკეთესია... იმ დიდ გაწამაწიაში, რასაც ადამიანის ცხოვრება ჰქვია, სამწუხაროდ, ცოტა დროღა რჩება მარადიულ ღირებულებებზე საფიქრებლად და იმის გასაცნობიერებლად, რომ ამქვეყნად ხელშესახებთან ერთად, ხელშეუხებელი, გარკვეული თვალსაზრისით ტაბუირებული და გნებავთ – საკრალური ცნებები და ღირებულებებიც არსებობს. მარტივად ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაკრიტიკოთ მავანი მინისტრის არაპროფესიონალური ნაბიჯი, მაგრამ არ შეიძლება ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ ამ ნაბიჯების გადამდგმელი ღირსებაშელახული კაცია; შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ვიღაცამ კანონი დაარღვია და ამისათვის კაცი დავსაჯოთ კიდეც, მაგრამ უფლება არა გვაქვს, დანაშაულის გამო მსჯავრდებულის ღირსება შევლახოთ. ადამიანისათვის სასჯელი (საჯაროდ განკიცხვა, კრიტიკა, მოხსნა-დაქვეითება, დაპატიმრება და მისთანანი) უკვე გულისხმობს, რომ კანონიერ სივრცეში არავის არაფერი შერჩება და ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა მოელის, მაგრამ იგივე სასჯელი არ ნიშნავს, რომ დასჯილი მთელი ცხოვრება დასჯილად დარჩეს. ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანული (და არა მხოლოდ ქრისტიანული) რელიგია ხშირად გარკვეული სასჯელის (ლოცვები და კანონების აღსრულება) შემდეგ აძლევს ადამიანს რაგინდ რა მძიმე ცოდვის მონანიების საშუალებას. ეს ნიშნავს, რომ სიყვარულით მითითებულ ნაკლს ადამიანი სინანულამდე მიჰყავს, ხოლო მონანული კაცი უფლისათვის დაკარგული კი არა, პირიქით – ნაპოვნია! თუ საკითხს ამ კუთხით შევხედავთ, დავინახავთ, რომ უფლისაკენ სავალი გზის დაკარგით ადამიანებმა ერთმანეთისაკენ სავალი გზებიც ავრიეთ: დიდი თუ პატარა მიზეზით, ისე ადვილად შეგვიძლია ღირსება და პატივი შევულახოთ ერთიმეორეს, ალბათ, საამისო ნამუსი აღარ შემოგვრჩა თორემ, ხვალ ერთმანეთის თვალებში შეხედვისაც უნდა გვრცხვენოდეს.

**– არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ და ერთი სამწუხარო ფაქტიც არ აღვნიშნო: ამგვარმა ყოფამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, სამწუხაროდ, მიაჩვია, რომ ყოველი დღე ვიღაცის ლანძღვით იწყება და ვიღაცის „მიწაში ჩადებით“ მთავრდება. მიაჩვია კი არა, ჩვენი მოსახლეობა ნეგატიურ ინფორმაციაზე ისეთივე „დამოკიდებული“ გახდა, როგორც – ნარკომანი წამალზე. საზოგადოების ასეთი განწყობა ყველაზე უკეთ ჩვენს მედიაში დამკვიდრებულ ერთ სტერეოტიპში აისახება: ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ გამომცემლებს ყოველდღიურად უნდათ სკანდალი, რადგან, თურმე, ის „კარგად იყიდება“!**

– ქათმისა და კვერცხის ამბისა არ იყოს, დღეს უკვე ძალიან ჭირს გავაცნობიეროთ, ვისი ბრალია, რომ ხალხი სკანდალს კარგად ყიდულობს: თუ კარგად დავუკვირდებით, ადამიანი იმას ყიდულობს, რის მოხმარებასაც მიეჩვია. მაგალითად, საქართველოში უკვე წარმოუდგენელია დღის დაღამება პურის გარეშე მაშინ, როდესაც შეიძლება წლები გავიდეს და ჩვენს მოსახლეობას ქოქოსის კაკალი არც კი გაახსენდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სკანდალის მოხმარებას ჩვენი მოსახლეობა ისე მიეჩვია, ზოგი მის გარეშე ველარ ძლებს, მაგრამ ნამდვილად არის ხალხი, ვისაც უკვე ნერვებს უშლის ამდენი დაპირისპირება და ურთიერთლანძღა. ხალხს მშვიდად დაძინების უფლება აქვს და იგივე ხალხს სადარდებლად თავისი პირადი პრობლემები ეყოფა. სხვათა შორის, ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სხვისი პრობლემებით (სკანდალებით და ასე შემდეგ) სწორედ ისინი ინტერესდებიან, ვისაც თავისი პრობლემები თავზე საყრელად აქვს. ასეთი ხალხისათვის სხვისი განქიქება „წამალია“, რომელიც საკუთარ თავის ტკივილს ან ამა თუ იმ მიზეზით შელახულ თავმოყვარეობას შესანიშნავად აამებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სხვა პრობლემების გარდა, აშკარად ფსიქოლოგიური პრობლემები აღენიშნება მას, ვინც სხვისი ლანძღვით იოკებს საკუთარი სადარდებლით აფორიაქებულ გულს. ასეთ დავიდარაბულ ყოფაში გამოჭყლეტილ ჩვენს ფსიქიკას უკვე უჭირს გააცნობიეროს, რომ სხვისი ლანძღვით (და მხოლოდ ლანძღვით, რასაც ობიექტურ კრიტიკასთან საერთო არ გააჩნია) თავის დამამკვიდრებელი ადამიანი უბრალოდ, საშიშია: საშიშია იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ასეთ ადამიანს სხვათა დასამარების მეტი საქმე და სათქმელი არ გააჩნია, თორემ ნამდვილად იტყოდა; საშიშია იმიტომაც, რომ ადამიანი, რომელიც ბუზის ხასიათს ატარებს და მარტო წყლულებზე ჯდება (უკაცრავად, მაგრამ), ბინძურია. ამას გარდა, ასეთი ადამიანისათვის თავდასხმა თავდაცვის ხერხია. ეს ნიშნავს, რომ თუკი ვინმე სხვის ოჯახს და პიროვნებას შეურაცხყოფისათვის იმეტებს, ამას გაუთავებლად მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ მისთვისაც არ მოიცალონ. ნუ გეგონებათ, რომ მათ, ვისაც ადამიანის ღირსებისა და პატივის შელახვა, სხვისი ოჯახის შეურაცხყოფა და მისთანანი ეადვილება, არ ესმოდეთ, რომ ეს აკრძალული ზონაა და „ქამრის ქვევით დარტყმაა“, რაც ყველა ნორმალურ სარბიელზე დანაშაულია. თუკი ნებისმიერი ასეთი დაპირისპირებისას „ალხანას“ „ჩალხანა“ გამოუჩნდა, ანუ – საპასუხოდ ახლა „ალხანას“ ოჯახი და პიროვნული ღირსება შეილახა, იხილეთ ამ „ალხანების“ განრისხების ხარისხი და მიხვდებით, რომ ყველამ მშვენივრად იცის, რისთვის იმეტებენ ისინი ადამიანებს, როდესაც მათ „ქამრის ქვევით“ ურტყამენ.

**– ბატონო ზურაბ, ამბობენ, მომავალ საარჩევნო ბატალიებში ბევრი ისეთი ძალა ჩაერთვება, რომელიც თავს პოლიტიკურს მხოლოდ იმიტომ უწოდებს, რომ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა და სახელისუფლებო ბერკეტები ხელში ჩაიგდოსო. თუ ელექტორატის სრულიად გასაგებ დაბნეულობას გავიხსენებთ, საკითხავი გახდება, რამდენად მოახერხებს ხალხი სწორი არჩევანის გაკეთებას?**

– უკაცრავად შედარებისათვის, მაგრამ ასეთი ძალებისათვის პოლიტიკა იგივეა, რაც ვირისთვის ხურმა და ეს ძალიან მალე გამოჩნდება ხოლმე – ზუსტად მაშინ, როდესაც „ბარიერგადალახულები“ პულტებს და იმუნიტეტებს ხელში ჩაიგდებენ და საკუთარ ბიზნეს-ინტერესებს გაუმაგრებენ სახურავებს. ამის შემდეგ კი მიხვდება ეს საწყალი ხალხი, რომ „შენ გაიწი – მე უნდა მოვიდე“-სათვის გამართულ ბრძოლაში სათავისოდ გამოიყენეს, მაგრამ რომ მიხვდება, მერე ამ ხალხისათვის რა ხეირი?

**– ამდენი დაპირისპირების შემყურე ხალხი იმას კი ნამდვილად ხვდება, რომ მართლაც დიდი შანსია, ეს საარჩევნო ბრძოლა ჩვენში წესების გარეშე წარიმართოს, არ მეთანხმებით?**

– თუ ღმერთმა არ დაგვიფარა და მართლაც ასე მოხდა, ასეთ ბრძოლაში გამარჯვებულობა ნიშნავს, რომ გამარჯვებული, ლოგიკის კანონის გათვალისწინებით, ყველა უწესოზე უფრო დიდი უწესო იქნება, რომელმაც სხვათა გამოცდილებით იცის, რომ გამარჯვებულებს თანამედროვენი უბრალოდ, ვერ ასამართლებენ. იმის გათვალისწინებას კი, რომ საბოლოოდ ყველას ისტორია და ღმერთი გვასამართლებს, ცოტა უფრო მეტი რამეების ცოდნა სჭირდება!

ესაუბრა
**ელზა ჯმუხაძე.**

## ფინანსები

# გეოპოლიტიკური დაძაბულობის მოხსნამ სამომხმარებლო ნდობა აამაღლა

(მესამე გვერდიდან)

ძვირფასი ლითონების ბაზარზე თებერვალში ოქროს ფასი ექვსწლიანი მაქსიმუმის დონეზე განისაზღვრა, შეადგინა რა უნციაზე 380 დოლარი. გასული კვირის ბოლოს კი ერთი უნცია ოქრო 341.10 დოლარი ღირდა.

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად 627 და 4.71 დოლარი შეადგინა.

სავალუტო ბაზრებზე გასულ კვირაშიც გაგრძელდა ერათიანი ევროპული ვალუტის მიმართ დოლარის კურსის შესუსტების ტენდენცია.

აპრილში შეერთებული შტატების საფონდო ბაზრის ზრდის მიუხედავად, რომლის განწყობამაც ფორექსის ბაზრისაგან მკვეთრად განსხვავებული მიმართულება მიიღო, დოლარმა ვერ მოახერხა პოზიციების აღდგენა ევროსთან. ანალიტიკოსების შეფასებით, ამგვარ ტენდენციას დროის მოცემულ მონაკვეთში ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთებს შორის მნიშვნელოვანი ცვლილება განაპირობებს. ეს განსხვავება ქმნის უპირატესობას ევროპული საფინანსო ინსტრუმენტებისათვის და შესაბამისად, ერთიანი ევროპული ვალუტისათვის. დღეისათვის, ევროპის ცენტრალური ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი 2.5%-ია, მაშინ როდესაც ანალოგიური განაკვეთი შეერთებულ შტატებში ორჯერ ნაკლებია და 1.25%-ს შეადგენს, ხოლო იგივე განაკვეთი დიდ ბრიტანეთში 3-ჯერ აღემატება ამერიკულს. და მაინც შეერთებული შტატების მიმდინარე საგადამხდელო ბალანსის დიდი დეფიციტის და ევროზონაში რეფინანსირების მაღალი საპროცენტო განაკვეთის უპირატესობის მიუხედავად, სავალუტო ბაზრის ბევრი ანალიტიკოსი გაოცებულია თუ რატომ არიან „დათვები“ ასე ძლიერად განწყობილნი დოლარის წინააღმდეგ, და მიიჩნიათ, რომ ამგვარი ტენდენცია ეწინააღმდეგება ეკონომიკის ფუნდამენტალურ მაჩვენებლებს. კერძოდ, როიტერის ინფორმაციით, ევროზონის სამეწარმეო აქტივობის ინდექსი PMI აპრილში 47.8 დონემდე დაეცა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2002 წლის იანვრის შემდეგ. ამასთან, უმუშევრობის დონემ აპრილში, ევროზონის ორ უმსხვილეს სახელმწიფოში გერმანიასა და საფრანგეთში შესაბამისად, 10 და 9 %-ს გადააჭარბა, მაშინ როდესაც შეერთებულ შტატებში ამ მაჩვენებელმა 6% შეადგინა. ფორექსის ბაზრის ანალიტიკოსების შეფასებით, ამერიკული ეკონომიკის განვითარების დინამიკა ყველა მიმართულებით უკეთესია ევროპულთან შედარებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2002 წელს ევროზონის ერთობლივი შიდა პროდუქტი 0.9%-ით, ხოლო შეერთებულ შტატებში 2.4%-ით გაიზარდა.




კვირის ბოლო დღეს, ამერიკულ სესიაზე ევრო/ დოლარის კურსმა 1999 წლის იანვრიდან, მაქსიმალური დონის 1.1534 მიღწევის შემდეგ, თითქმის 100 პუნქტით დაიწია და 1.1437 მაჩვენებელზე განისაზღვრა. მაგრამ მალე კურსი ისევ გაიზარდა და 1.1491-ის დონეზე დასტაბილურდა.

გასული კვირის დასაწყისში ნავთობის ფიუჩერსების ბაზარზე კოტირებების ზრდა დაფიქსირდა. ორშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ნიუ-იორკის NYMEX-ის სასაქონლო ბაზარზე WTI-ის მარკის ნავთობის ფასი 82 ცენტით გაიზარდა ბარელზე 26.49 დოლარამდე, რაც დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, მსხვილი სპეკულაციური ფონდების მიერ „მოკლე“ პოზიციების დახურვის შედეგია გავრცელებული მოსაზრების ფონზე, რომ შესაძლოა ბაზარმა უკვე მიაღწია „ფსკერს“. ინგლისში სადღესასწაულო გამოსასვლელი დღის გამო ლონდონის ბირჟა ორშაბათს დაკეტილი იყო.

მეორე დღეს ბაზრის „დათვური“ განწყობის შესაბამისად ნიუ-იორკის ბაზარზე WTI-ის ნავთობის ფასი 77 ცენტით გაიფდა 25.72 დოლარამდე.

სამშაბათის ვაჭრობა ლონდონში წინა დღეს „გამოტოვებულის აღსადგენად“ ზრდით დაიწყო, მაგრამ ვაჭრობის დასასრულისათვის მათ მხოლოდ მცირე ნაწილის შენარჩუნება მოახერხეს. დღის შედეგებით, ლონდონის ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 5 ცენტით გაიზარდა ბარელზე 23.57 დოლარამდე.

ამასთან, ოპეკის სამდივნომ გამოაქვეყნა მორიგი მონაცემები „ნავთობის კალათის“ საშუალო ფასის შესახებ. 2 მაისს დამთავრებული კვირის შედეგებით, კარტელის „კალათის“ ფასი, რომელიც 7 ხარისხის ნავთობისაგან შედგება ბარელზე 23.79 დოლარით განისაზღვრა. იმის წინა კვირაში იგივე მაჩვენებელმა 25.49 დოლარი შეადგინა. ოპეკის „ნავთობის კალათის“ ფასი ალჟირის, ინდონეზიის, ნიგერიის, საუდის, გაერთიანებული არაბეთის ემირატების, ვენესუელასა და მექსიკის ნავთობის საშუალო ფასის მიხედვით გამოიანგარიშება. აპრილში „კალათის“ საშუალო ფასმა 25.34 დოლარი შეადგინა, რაც 14.9%-ით დაბალია მარტის მაჩვენებელთან შედარებით.

ოთხშაბათს, საერთაშორისო ბაზრებზე კვლავ მოიმატა ნავთობის ფასმა, რაც შეერთებულ შტატებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის შემცირებას დაუკავშირდა. შტატების ენერგეტიკის სამინისტროსა და ნავთობის ამერიკული ინსტიტუტის API-ის მიერ გამოქვეყნებულმა მორიგმა ყოველკვირეულმა მონაცემებმა ტრეიდრებისათვის მოულოდნელი დინამიკა აჩვენა, მაშინ როდესაც დარგობრივი ანალიტიკოსები ამერიკაში ნავთობის იმპორტის მაღალი დონის გათვალისწინებით, მარაგის ზრდას დაახლოებით, 2.5-3 მლნ-ით ბარელის ფარგლებში ვარაუდობდნენ. დღის შედეგებით, Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 54 ცენტით გაიზარდა 24.11 დოლარამდე, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობის ფასი 51 ცენტით-26.23 დოლარამდე.

როგორც როიტერის სააგენტოს ამერიკული ადმინისტრაციის მიერ დანიშნულმა ერაყის ნავთობის სექტორის ხელმძღვანელმა ტამირ გადბანმა განუცხადა, მაისის ბოლოსათვის ერაყის ნავთობის წარმოება, რომელიც დღეისათვის დღეღამეში 200 ათასს შეადგენს, 1.5 მლნ ბარელამდე გაიზრდება. მაგრამ მოპოვებული ნავთობი ჯერჯერობით მხოლოდ ქვეყნის შიდა საჭიროებას მოხმარდება. ტამირ გადბანს სადამ ჰუსეინის მთავრობაში, ერაყის ნავთობის სამინისტროს კვლევისა და დაგეგმარების განყოფილების გენერალური დირექტორის პოსტი ეჭირა. მისი თქმით, ექსპორტს, ტექნიკურად არაფერი უშლის ხელს, რადგან საექსპორტო ნავთობსადენები და ასევე სპარსეთის ყურეში მინა-ალ ბაკრის ნავთობის პორტი, რომელიც ერაყის სანაპიროზე მდებარეობს, არცთუ ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

ამასთან, გასულ კვირაში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ამ დღეებში ამერიკული ადმინისტრაცია გაეროს უშიშროების საბჭოს ერაყისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზე, რეზოლუციის პროექტს წარუდგენს. რეზოლუცია ერაყის საკითხებში გაეროს სპეციალური კოორდინატორის დანიშვნას ითვალისწინებს.

წინა დღეს დაწყებული ზრდა ნავთობის ბაზარმა მეორე დღესაც გააგრძელა. ხუთშაბათის ვაჭრობის შედეგებით, Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 54 ცენტით გაიზარდა 24.65 დოლარამდე, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობის ფასი 75 ცენტით – 26.98 დოლარამდე.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მსოფლიო შტრიხებში

## სამეფო კარის შეჭირვებანი

### „ომში წასვლა მინდა“...



— ასე განუცხადა თავის მშობლებს შვედეთის პრინცესამ ვიქტორიამ. ტახტის მემკვიდრე აპირებს ოფიცრის წოდების მიღებასა და პლანეტის ცხელ წერტილებში სამშვიდობო ჯარებში სამსახურს.

25 წლის ვიქტორიამ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც სამხედრო მომზადების კურსი გაიარა და ერთკილომეტრიან მარშ-ნახტომში მიიღო მონაწილეობა სრული აღჭურვილობითა და დაწესებული დროის მონაკვეთში. პრინცესა ქალიშვილის გადაწყვეტილებამ მშობლები შოკში ჩააგდო. ვიქტორია ხომ ტახტის პირველი პრეტენდენტია, თანაც დედ-მამა აპირებდა სამუშაოდ გაეროში მის გაგზავნას, სადაც უკვე იყო სტაჟირებაზე. მათ გაუჭირდათ შვილის დარწმუნება, რომ მეფის გვირგვინი ოფიცრის სამხრეულებზე უფრო მნიშვნელოვანია.

ჭორებს თუ დავუჯერებთ, ვიქტორიას განცხადება ეშმაკური პოლიტიკური ხრიკია — მას არ უნდა გაიზიაროს უმცროსი დის — პრინცესა მადლენის ბედი. მშობლებმა მას აუკრძალეს თავის რჩეულზე გათხოვება და ლონდონში გააგზავნეს სასწავლებლად. ამბობენ, რომ ვიქტორიაც აპირებს გათხოვებას, მისი საქმროა შვედეთის არმიის კაპიტანი ლარს ვეტერსკუგი, რაც მაინცდამაინც არ სიამოვნებთ სამეფო კარზე. მაგრამ პრინცესის ასეთი დემარშის შემდეგ, შეიძლება, მშობლები ყველაფერზე დათანხმდნენ, ოღონდ მან უარი თქვას სამხედრო კარიერაზე.

### ბავშვი არ დაბადებულა და...

მხოლოდ დღეს თუ ხვალ ქვეყანას უნდა მოევლინოს ნორვეგიის პრინცესას მარტა-ლუიზასა და მისი მეუღლის ანრი ბენის გოგონა, მაგრამ მან უკვე მოასწრო ხელმწიფე პაპის განრისხება.

ნორვეგიის მეფე ჰარალდი იმან გააბრაზა, რომ მისმა ქალიშვილმა უარი თქვა სამეფო კარის ექიმების სამსახურზე, იმის ნაცვლად, რომ კლინიკაში დაწოლილიყო უსაფრთხოების მიზნით, ის ქმართან ერთად ლილეჰამერის სამთო-სათხილამურო აგარაკზე გაემგზავრა. მშობიარობა შემთხვევით მთებში რომ დაეწყოს, პრინცესა სასწრაფოდ უნდა გადაიყვანონ უკან, ოსლოში.



შეურაცხყოფილმა მეფემ ისიც განაცხადა, რომ თუმცა გოგონას დაბადების დღეს ყველა ოფიციალურ დაწესებულებაზე ეროვნულ დროშებს გამოჰკიდებენ, მაგრამ მას არ გამოაცხადებს საერთო სახალხო დღესასწაულად.

იმასაც ამბობენ, რომ მეფე განარისხა იმან, რომ მთავარი სამეფო ექიმი ის ქალბატონია, რომელიც წლების მანძილზე მონარქის ფარულ საყვარლად ითვლება და როცა მისი არ სწამთ, ამას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევს. ნათესავ-ახლობლებს სჯერათ, რომ გოგონას დაბადების შემდეგ მეფე რისხვას მაინც შეცვლის მოწყალებით.

მოგონებათა ყულაბა

# ალიართალი–ბალიართალი

## გამიაშვილი კი არა, ჭამიაშვილი!

თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. მე ჩემს სამსახურში მივიჩქაროდი, ის — თავისაში. თუმცა, სულაც არ ჩქარობდა, დინჯად ირჯებოდა. მოდიოდა და მოარწევდა ფართო ბეჭებს, თითქმის არ ატოკებდა მხრებში ღრმად ჩამჯდარ ბუღასავით კისერს. თავს მხოლოდ მაშინ მიატრიალ-მოატრიალებდა, როცა ნაცნობს უნდა მისალმებოდა. მოდიოდა თავის თავთან განმარტოებული. ისე მძიმედ მოაბიჯებდა, გეგონებოდა, სადაც არის, მიწას ჩაანგრევსო.

როგორც კი ვნახე, მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. რაღაც არქაული იყო მასში. დევების ქვეყნიდან გადმოხვეწილ გოლიათს მაგონებდა. ვინ არის-მეთქი, ვკითხე მეგობარს. გამიაშვილია, სახანძროში მუშაობსო. „ეს რომ ადგილზე მივა, ჩასაქრობი, ალბათ, აღარაფერი დახვდება“.

გამიაშვილის საარაკო ჯანზე ზღაპრებს ყვებოდნენ, მაგრამ უფრო მეტად უზომო მადისთვის აქილიკებდნენ.

— ჩემს სიცოცხლეში სამჯერ თუ გავმძღარვარ, სულ მშია და მშია, — ასე ამბობსო.

— ერთი ჭედილა მაგისთვის ისეა, როგორც ჩემთვის კვერცხი...

— მივიდა, ერთხელ, შინ. მარცხენა ხელი საქამრეზე მიუდვია. ცოლი ეკითხება, ხომ არაფერი გტკივა, მაგრე რათა გაქვსო.

დაიხედა გამიაშვილმა და — ვახ, კაცოო! — თავში ხელი შემოიკრა, თურმე, სამი „ბუხანკა“ პური მიჰქონდა შინ და სამივე გზაში შემოსჭმია!

— ეგ გამიაშვილი კი არა, ჭამიაშვილი ყოფილა, — ვუთხარი სიცილით მეგობარს.

## მერამდენედ...

ეზოს მხრიდან ჩემს ეზოს მთელ სიგრძეზე მავთულბადის ღობე გასდევს. წითლად ღაღანებს ამოყელყელავებული ასკოკორა. ღობის გასწვრივ ერთმანეთს მისდევენ ტყემლები, ალუბლები, ლეღვები, გვერდზე რაღაცნაირად წაფერდებული და მიწაზე ტოტებდაბჯენილი კაკალი. მოვიდოდა მოკრძალებით რომელიმე ქალი, ბატონებიან ბავშვს მოიყვანდა და დედაჩემს სთხოვდა:

— თინავ, ჰა თინავ, შეიძლება ბალღი კაკლის ქვეშ გავაძვრინო? — გააძვრენდა და სულ ლოცვა-კურთხევით მიდიოდა.

ის კაკალი მშობლების გარდაცვალებიდან მეორე წელს გახმა...

...შებინდდა და მეზობლის სახლები გაბრდღვიალდა. აივანზე ავედი და ჩამრთველის ღილაკს თითი დავაჭირე.

ნათურა არ ანთებულა.

— ამას წინათ მანტიორმა ჩამაიარა, ბევრი ვექაქანე, მაგრამ მაინც ჩაჭრა, ეგეთი ბრძანებააო, — მეუბნება გუმარი პაპა და თვალს მარიდებს.

ეს უკვე მერამდენედ მომიკლეს ჩემი მოხუცები...

## უხმაურო ჭიქები

ბანერას საკუთარი ღვინის ქარხანა აქვს.

— სამუშაო კიდე ვერ იშოვნე? — ეკითხება ხუსკიას. ამათი ბიჭები მეგობრობდნენ და როგორც იქნა, გაჭირვებული კაცის დახმარება გადაწყვიტა.

— ვერ ვიშოვნე. ან, აბა, რაზე უნდა ვიმუშაო?

— ჩემთან გამუშავებ, ოღონდ...

ბანერა სათქმელს არ ამთავრებს, მაგრამ ხუსკია ცოტა მოგვიანებით მაინც მიხვდება, იმ „ოღონდში“ რასაც გულისხმობდა.

ბანერამ ერთ დღეს კრება მოიწვია. მთელი საათი იქაქანა და თავისი მოხსენება იმით დაამთავრა, რომ შესვენებაზე, თურმე, ერთი ჭიქა ღვინის დალევაც არ შეიძლება.

— კაცო, ეს იგრეა, ზღვაში იყო და წყურვილი გახრჩობდეს, — დაიჩივლა ჭამპურამ.

— მაი, აღარ დავლიოთ ხოლმე? — კეფა მოიფხანა პეტომ. ის ხომ ქარხანაში ღვინის ხათრით მუშაობდა.

— ნუ გეშინია, ჭამპურ, რაღაცას მოვიფიქრებ, — დააიმედა ხუსკიამ.

— აბა, შენ იცი, მაგხელა გოგრა განა ტყუილად გაბია, — გახალისდა ჭამპურა.

— თქვენ პლასტმასის ჭიქები მაიტანეთ, დანარჩენი ჩემზე იყოს.

მეორე დღეს პლასტმასის ჭიქები ყველამ მოიტანა.

— ეს ჭიქები რაღად გვინდოდა, თახჩაში ცოტა გვიწყვია? უკვირს ჭაჭოს.

— ეე, ბეჩაო, ეგენი ძაანა წკრიალებს, რომ მივაჭახუნებთ, ბანერა გაიგებს, ესენი კიდე, რამდენიც გინდა, აჭახუნე! — იცინის ხუსკია. და ჭიქებში ღვინო ჩამოასხა.

— ამ ჭიქით ჩვენი დირექტორის მეორე ნათლიას გაუმარჯოს, — თქვა ხუსკიამ და ჭიქა ჭიქას მიარტყა.

მაგრამ, ეტყობა, ბანერამ უხმაურო ჭიქების ამბავი მაინც შეიტყო. ყურძენი მიიღო, დაწურა, დააბინავა და ორიოდე დღის მერე ხუსკია სამსახურიდან დაითხოვა...

## ქუდი

სოფლის ერთი უშნო, პატარა ბუდრუგანა სადალაქო მილეთის ხალხს იტევდა. იაფფასიანი თუთუნის კვამლით, რაგინდარა სურნელითა და ყაყანით სავსე სადალაქოში რაღას არ გაიგონებდით! ვისაც ახალი ამბების მოსმენა სურდა, უეჭველად აქ უნდა მობრძანებულიყო.

თავბერა იშვიათად მოდიოდა ხოლმე. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ მხრებზე ნამეტანი რწყვით გალაღებული საზამთროსავით თავი ედგა და შიგ ბევრი არაფერი ეყარა.

ერთხელაც ეს ჩვენი თავბერა ქუდის საყიდლად ქალაქში წასულა. თან ბაწარი წაუღია — თავის ზომა. აიღებდა ქუდს, მიაზომებდა იმ ბაწარს, მაგრამ თავისი სარგო ვერა და ვერ შეურჩევია. შეწუხებულან ორთაჭალელი მექუდეები, ეს კაცი ამდენსა წვალობს, როგორ ვერ უნდა მივეხმაროთო.

— ვისთვის გინდა, ძმობილო, ეგ ქუდი? — როდის-როდის უკითხავს ერთს.

— ჩემთვის...

— მერე, შე მამაცხონებულო, მაგ ბაწარს რო დაათრევ, თავი წამოგეღო, არ გერჩია?

— თავი ხო აქა მაქვსო! — გახსენებია თავბერას.

მოუძებნიათ ორი თუ სამი წლის წინათ შეკერილი, გაჭვარტლულ-დაობებული ქუდი, გაუბერტყ-გაუჯაგრისებიათ და თავბერასთვის თავზე ჩამოუმხიათ, როგორც ქვევრი, საფარებელიც ისეთიო.

დღესაც იმ ქუდით დადის...

## პეტიო

ოტროველა ერთი ახმახი ვინმეა, ერთმანეთზე უკეთესი ოთხი გოგო ჰყავს. სუ ბიჭის იმედით დააკეთა. ბიჭი კი არა და არ ჩანდა.

სამაგიეროდ, ოტროველას მეზობელ ბანცალასა ჰყავდა ოთხი მალხაზივით ბიჭი. ბანცალა ბედისგან დაჩაგრული კაცი იყო. ბალღობაში სახადი შეჰყროდა, გადარჩენით კი გადარჩენილა, მაგრამ ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა. მთვრალივით დაბორიალობდა და ზოგჯერ ისე ჩააზლაყუნებდა, გეგონებოდა, ჭანჭიკებში დაიშლებაო. სახე მარტის დღესავით წამდაუწუმ ეცვლებოდა. ყურებამდე ახეული პირი ებრიცებოდა, თვალებს ქლორით გაბრუებული თევზივით ამოატრიალებდა და უაზროდ შემოგაჩერდებოდა.

— ბანცალ, მოდი, ამაღამ ჩემთან წამო. კარგად გაპურმარილებ, კარგ ღვინოსაც დაგალევინებ. მერე ჩემ დედაკაცთან დაგაწვენ და ერთი ბიჭი გამიკეთე, — გაეხუმრა ერთხელ ოტროველა.

ბანცალამ პირი დაბრიცა, თავი ჩახარა. სულელი კი იყო, მაგრამ რაც უთხრეს, ძალიან კარგად ჩახვდა. ყველა გაისუსა, რა პასუხს გასცემსო. იმან კი თავი დაიფასა:

— აარა ღირს, პეტიოი დამალეინებ! — ამოიბლუკუნა და ოტროველას ზურგი შეაქცია (პეტიოს შაქარწყალა ღვინოს ეძახიან კახეთში).

## სასიძოები

ჩიშკართან სამი ხანდაზმული მამაკაცი იდგა. წვერგაპარსული, საგულდაგულოდ გამოწყობილები იყვნენ.

— მიდი, დაიწყე, — ალექსა პაპას მუჯლუგუნი წაჰკრა ნიკო პაპამ.

— კაცო, აი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რო ჩვენ გასაჭირს შენს მეტი ამ სოფელში ვერავინ უშველის. უნდა დაგვეხმარო...

— ბრძანეთ და, თუ რამე შემიძლია, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, — პასუხობს მამაჩემი.

— გეტყვით, მიხაკო, მაი არ გეტყვით? აბა შამოგვხედე, ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით და ვიხრუკებით. არც ერთს აღარა გვყავ დედაკაცი. სუ მარტონი დავრჩით... გაგვიგონია, რაჭველი ქალები ყოჩაღები და გამრჯეები არიანო. იქნებ წამოგვყვე რაჭაში, გზის ხარჯებს ჩვენ ვიკისრებთ. იქაური კაცი ხარ, მოგისმენენ, დაგიჯერებენ...

მამაჩემი გაოგნებულია. რა უნდა უპასუხოს ამ ბერიკაცებს, რომელთაც გასასესხებელი ჭკუაც აღარ შერჩენიათ?

— შინ ხმის გამცემი დაგვენატრულა, კაცო. შვილებმა თავთავიანთი გზა მონახეს, აღარავის ვუნდივართ. ცხელი კერძი, სუფთა ტანსაცმელი და თბილი ლოგინი გვენატრება, დედაკაცებ სხვა რამეზე კი არ შავაწუხებთ, — ნაბდის ქუდი მოიხადა ალექსა პაპამ.

— მე, ჩემო ალექს, ოციან წლებში წამოვედი და რაჭისკენ პირი აღარ მიქნია. ვიღას ვიცნობ, ვიღას ვახსოვარ...

— ჩვენ კიდე გვეგონა... — სათქმელი აღარ დაამთავრა ალექსა პაპამ. — შაგაწუხეთ...

აღარც მამაჩემის თხოვნა შეისმინეს, თითო ჭიქა დავლიოთო. როგორც შემოლაგდნენ, ეზოდანაც ისე სათითაოდ გავიდნენ.

## მედღეხვალიე

ვინ იცის, ლაპარაკის საღერღელაშლილები რაღას არ გაიხსენებდნენ, დიპლიპიტო რომ არ გამოჩენილიყო. კი არ მოდიოდა, ქარისაგან აფრიალებული ცელოფანის პარკივით ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს.

— გადაუყლურწყავს. ეხლა, ალბათ, ქვეყანა თავისი ჰგონია, — თქვა ფურფუტამ.

— ეე, ბეჩავებო, სუ ეგრე უნდა ეყარნეთ? წადით, კატა ააყენეთ და გვერდები მაინც გაითბეთ! — არეულად წამოიძახა დიპლიპიტომ.

— ვინ ჩაგაცეცხლა, ვინ გააფუჭა ღვინო? — უკბინა ფურფუტამ.

— გაფუჭებულები თქვენა ხართ. თქვენი იმედით უნდა იყოს ქვეყანა, არა?

— რათა, შენ აქ არა გვყეხარ?

— მე? მე ეხლა ყველაფერი ფეხებზე მკიდია, ყოველ შემთხვევაში, ხვალამდე მაინც... თქვენ იკითხეთ...

— შე მედღეხვალიე შობელძაღლო, შენა, ჩაცეცხლე და ყველაფერი ეხლა დაიკიდე ფეხებზე, არა? — მიალანძღა წიფლიჩიტამ.

მაგრამ დიპლიპიტოს მისი სიტყვები აღარ გაუგონია — უკვე შორს მიირწეოდა და ვიღაცას დედ-მამის სულს უტრიალებდა.

## ჩამოვყალიბდეთ...

— კაცო, გამოვლენ პარლამენტში, ერთ ვაი-უშველებელს ატეხავენ. ხან ბორჯომითა წუწაობენ, ხან ერთმანეთს დედ-მამის სულს უტრიალებენ და გვერდებს უზელავენ. მერე დაშოშმინდებიან და გადაწყვეტენ, ჩამოვყალიბდეთ და საკითხი ისე განვიხილოთო. თუ იციან, ჩამოუყალიბებლები რო არიან, პარლამენტში რაღას გარბოდნენ, ჰა?

## სამძიმარი

ვანო ძიას ვირი ფრიად ამაგიანი ვინმე ბრძანდებოდა. დილით იმის ყროყინზე ვიღვიძებდით და სკოლაშიც დროზე მივდიოდით. ერთ დღესაც თქვენი ჭირი წაიღო. გავიხედეთ და საღამოთი მანქანა მანქანაზე მოგრიალდა. გადმოლაგდნენ ვანო ძიას ბიჭის ჩაგალსტუკებული, შეზარხოშებული ძმაკაცები. ერთი მათგანი ვანო ძიასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა, თავი მდაბლად დაუკრა და სამძიმარი უთხრა.

ვანო ძიამ ანიშნა, წამომყევითო. წაყვნენ. სახედარი ჯერ კიდევ იმ ადგილზე ეგდო, სადაც სული ამოსვლოდა.

— ვირი კი იყავი, მაგრამ ასეთი ერთგული მეგობრები თუ გყავდა, არ ვიცოდი, ესენი აქედან ისე არ წავლენ, რომ პატივი ბოლომდე არ მოგაგონ, — თქვა ვანო ძიამ და ახალგაზრდებს ორმოს გასათხრელად ნიჩბები ჩამოურიგა.

## კუჟალა

ერთი თვის წინათ თვითმცლელებით ღორღი მოზიდეს და მინგრეულ-მონგრეულ ასფალტზე დაყარეს. მისდგნენ მერე, თან ბულდოზერებით ასწორებდნენ, თან საძეკი მანქანებით ტკეპნიდნენ. ჩამოივლიდა ავტობუსი და ზუსტად კუჟალას სახლთან შეჩერდებოდა. ადი-ჩადიოდნენ მგზავრები — კაცები, ქალები, ბალღები. ავტობუსი კი დღეში რატო ორმოცჯერ მაინც არ გაივლ-გამოივლიდა. კუჟალა ქუჩაში პატარა სკამს გამოიტანდა, იჯდა და ცელსა წკეპავდა. ერთ დღეს უყურეს მუშებმა, ორ დღეს უყურეს. მერე მივიდა ერთი ჯიბიდან გავარდნილი ჯეილი ბერიკაცთან, წინ დაეყუდა და ეუბნება:

— ჰაბაბაბა! არ იშლი, ეხლაც ძველებურად კაბის კალთებს ათვალიერებ, არა? ნეტავი, რამე მაინც გახსოვს?

კუჟალა პაპა რისი კუჟალა პაპაა, აბეზარს რამე შეარჩინოს! მეხივით კაცია. ცელსა და ჩაქუჩს გვერდზე მიაგდებს, ჯეილი რომ არ ელოდება, ისეთი სიჩაუქით წამოიჭრება და სანამ აზრზე მოვა, ტალამაში კაი სილას აჭმევს: — ყველაფერი ძაან კარგა მახსოვს! თუ არა გჯერა, დედაშენსა ჰკითხე!

ჯეილი აწითლებულ ლოყას იფშვნეტს, გზის მუშები კი მუხლებზე ხელებს იტყაპუნებენ და სიცილით ბჟირდებიან...

ელგუჯა ლებანიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

### მხოლოდ შედეგები

## ევროპული საფეხბურთო ჩემპიონატების ტაბლო



**საქართველო.** VII-XII ადგილები. „გორდა" – „დილა" 1:0, „მერანი-ოლიმპი" – „მეტალურგი" 6:0, „მილანი" (წნორი) – „ბათუმი" 1:0.

**იტალია.** „იუვენტუსი" – პერუჯა" 2:2, „ინტერი" – „პარმა" 1:1, „ბრეშია" – „მილანი" 1:0, „ბოლონია" – „ლაციო" – 0:2, „ემპოლი" – „ატალანტა" 0:0, „რომა" – „ტორინო" 3:1, „კომო" – „კიევო" 2:4, „უდინეზე" – „მოდენა" 2:1, „პიაჩენცა" – „რეჯინა" 2:2.

**ესპანეთი.** „უელვა" – „რეალი" 0:0, „მალაგა" – „დეპორტივო" 0:2, „ესპანიოლი" – „ოსასუნა" 0:0, „ატლეტიკო" – „ალავესი" 0:1, „ბილბაო" – „ვალიადოლიდი" 0:0.

**გერმანია.** „ჰერტა" – „ბაიერნი" 3:6, „მიუნხენი" – „კოტბუსი" 3:0, „ვოლფსბურგი" – „კაიზერსლაუტერნი" – 2:2, „ჰამბურგი" – „ლევერკუზენი" 4:1, „შტუტგარტი" – „ვერდერი" 0:1, „ბორუსია" – „ნიურნბერგი" 4:1, „გლადბახი" – „ჰანზა" 3:0.

**საფრანგეთი.** „მონაკო" – „მონპელიე" 3:1, „ბორდო" – „ჰავრი" 2:0, „სედანი" – „ბასტია" 2:2, „ნანტი" – „გენგამი" 0:4, „სოშო" – „მარსელი" 3:0, „ოსერი" – „ლილი" 0:0, „აიაჩო" – „ნიცა" 2:0, „რენი" – „სტრასბური" 2:3, „ლანსი" – „ტრუა" 1:0.

**პორტუგალია.** „ბელენენსეში" – „ბენფიკა" 2:4, „მორეირენსე" – „გიმარაეში" 1:2.

**ჰოლანდია.** „ეინდჰოვენი" – „ექსელსიორი" 7:0, „ბრედა" – „უტრეხტი" 2:0, „ტვენტე" – „ზვოლე" 0:0, „ალკმაარი" – „ტილბურგი" 3:2.

**ბელგია.** „ლომელი" – „ანდერლეხტი" 0:5, „ლუვიე" – „შარლერუა" 2:2, „ვესტერლო" – „ანტვერპენი" 2:1, „სტანდარდი" – „გენკი" 0:1, „სენტ ტრუიდენი" – „ლიერსი" 2:1, „მეხელენი" – „გენტი" 1:0.

**შოტლანდია.** „სელტიკი" – „ჰართსი"– 1:0, „დანდი" – „დანფერმლაინი" 2:2, „ჰიჰერნიანი" – „მოზერუელი" 1:0, „ლივინგსტონი" – „დანდი იუნაიტედი" 1:2, „აბერდინი"– „პარტიკი" 2:1.

**რუსეთი.** „სატურნი" – ცსკა 2:2, „დინამო" – „ზენიტი" 7:1, „კრილია" – „ლოკომოტივი" 3:0, „როტორი" – „ურალანი" 2:0, „ჩერნომორეცი" – „ალანია" 3:0, „რუბინი" – „ტორპედო" 3:1, „როსტსელმაში" – „ტორპედო-მეტალურგი" 1:0.

**პოლონეთი.** „პოგონი" – „პოლონია" 0:2, „რუხი" – „გარბარნია" 1:1, „ვისლა" – „ოდრა" 4:0, „ოსტროვეცი" – „ამიცა" 0:2, „ზაგლემბიე" – „ლეხი" 1:1.

**ავსტრია.** „რაპიდი" – „რიდი" 3:2, „ბრეგენცი" – „ადმირა" 0:1, „პაშინგი" – „კერნტენი" 1:1, „ზალცბურგი" – „აუსტრია" 1:0.

**ჩეხეთი.** „ბრნო" – „სლავია" 0:0.

**თურქეთი.** „ადანა" – „ბეშითქაში" 0:1.

**საბერძნეთი.** „პანიონიოსი" – „პრუდეფტიკი" 2:0, „ოფი – „ქსანთი" 2:0.

**ნორვეგია.** „ვიკინგი" – „რუსენბორგი" 0:2.

**დანია.** „ფორუმი" – „კოპენჰაგენი" 0:1.



### სამბო

## ტრადიციის ერთგულება



**ცნობილია, რომ საქართველოს სამბისტები ბოლო წლებში ნებისმიერი ტურნირიდან უხვი ნადავლით ბრუნდებიან. ასე იყო ამჯერადაც. როგორც უკვე გაუწყეთ, მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის ხელმძღვანელობით ჩვენმა მოჭიდავეებმა ბულგარეთის ქალაქ ალბენაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზეს. 27-კაციანმა (29-ის ნაცვლად) ნაკრებმა 19 მედალი დაიმსახურა.**

ყველაზე უკეთ ჭაბუკები გამოვიდნენ. დავით სვიმონიშვილმა (60 კგ, ფოთი), გიორგი ბაინდურაშვილმა (75 კგ, მცხეთა) და დავით ბარამიამ (81 კგ, თბილისი), პირველი ადგილები დაიკავეს; მეორე იყო დავით შენგელია (70 კგ, ფოთი), მესამე ადგილები ხვდათ ზურაბ ოდოსაშვილს (52 კგ, კასპი), გელა სანიკიძეს (56 კგ, ქუთაისი), დავით უძილაურს (65 კგ, თელავი) და მიხეილ თურქაძეს (87 კგ, რუსთავი).

ახალგაზრდებში მეორე ადგილი დაიკავა ლევან წიკლაურმა (82 კგ, დედოფლისწყარო), კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდნენ უშანგ კუზანაშვილი (52 კგ, საგარეჯო), ავთანდილ ცინცაძე (57 კგ., თბილისი), ნიკოლოზ ელჩიევი (62 კგ, მარტყოფი), ლევან მარკოზაშვილი (68 კგ, გორი), დავით ტერტერაშვილი (90 კგ, კასპი).

დიდებში განსაკუთრებით ისახელა თავი რუსთაველმა ზვიად ჩინჩალაძემ (მძიმე წონა), რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლის მედალი მცხეთელმა მირიან პავლიაშვილმა (90 კგ.) დაიმსახურა. ბრინჯაოს მედლები ხვდათ ბადრი ჯანიაშვილს (68 კგ., კასპი), ნიკოლოზ ბიბილაშვილს (82 კგ., გორი) და კახაბერ მამულაშვილს (62 კგ., კასპი).

– ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, – მითხრა ოლეგ იაძემ, – თუმცა, სათანადო მოსამზადებელი პირობები რომ გვქონოდა, უფრო მეტ ნადავლს მოვიხვეჭდით. უცხოელ სპორტსმენებს ფინანსური პრობლემები არ აწუხებთ, მე კი ყოველ შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ გაფიცვამიტინგების მოწყობა მიხდება. ამის მიუხედავად, მადლობა მინდა ვუთხრა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელმაც შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი თანხა გამოგვიყო წლეულს.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ანგარიშზე მხოლოდ იმდენი ფული დაგვრჩა, ეროვნულ გუნდს რომ ეყოფა შემოდგომით მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. რა ვქნათ, ახალგაზრდები და ჭაბუკები არ წავიყვანოთ? მომზადებაც ხომ გვინდა? ისევ მთავრობის შეწუხება მომიწევს. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და მიზანს მაინც მივაღწევ...

**გიორგი გაგუა.**

**სურათზე: საქართველოს სამბისტთა ნაკრები ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

### „მუნდიალი — 2006"

## გერმანიამ იყიდა მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის უფლება?

**პარიზის გაზეთ „ეკიპის" ცნობით, მოულოდნელი სკანდალი ატყდა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის გარშემო – მიუნხენის „ბაიერნსა" და მედიამაგნატ ლეო კირხის კომპანიას ამტყუნებენ, რომ მათ თანხები შესთავაზეს ოთხი ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციებს, თუკი ისინი გერმანიას მისცემდნენ ხმას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლის შერჩევისას.**

„ბაიერნი" ამ ხმების სანაცვლოდ ამხანაგურ მატჩებს გამართავდა მალტაზე, ტაილანდში, ტუნისში, აგრეთვე ტრინიდადსა და ტობაგოში (რაც ამ ქვეყნებს დიდ შემოსავალს მოუტანდა), ლეო კირხის კომპანია კი ამავე ქვეყნის ფედერაციებს მატჩების ტელეგადაცემის უფლებას მისცემდა. ყოველივე ეს კირხს 3,5 მილიონი დოლარი დაუჯდა.

გაზეთის ცნობით, ამ მაქინაციების შედეგი იყო, რომ გერმანიამ სულ ერთი ხმის უპირატესობით (გერმანია 12 ხმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 11) მიიღო ჩემპიონატის გამართვის უფლება.

ამ ბრალდებებს მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა სრულიად უსაფუძვლო უწოდა.

### ჭადრაკი

## გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები



**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 63-ე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში ორ-ორი პარტია საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ 5 მეოთხედფინალისტის გამოსავლენად.** მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება თამაზ გელაშვილმა, მიხეილ კეკელიძემ, ბაადურ ჯობავამ, ზვიად იზორიამ და ხვიჩა სუპატაშვილმა მოიპოვეს. გუშინდელი ტაი-ბრეიქების შემდეგ მათს რიგებს კიდევ სამი მეოთხედფინალისტი შეემატა. პირველ ნომრად განთესილმა დიდოსტატმა გიორგი ყაჭეიშვილმა კონსტანტინე შანავასთან შეხვედრისას მეორე ტურში აღადგინა წონასწორობა, გუშინ კი ახალგაზრდა მოჭადრაკეს ორივე 25-წუთიანი პარტია მოუგო და გაიმარჯვა საერთო ანგარიშით – 3:1.

დიდოსტატ ზურაბ სტურუას და ლევან აროშიძის პირველი დამატებითი ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, მეორეში კი სტურუამ სძლია მეტოქეს. ანალოგიურ წარმატებას მიაღწია 16-წლიანთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ლევან ფანცულაიამ, რომელმაც შეჯიბრებიდან დიდოსტატი ვალერი გაფრინდაშვილი გამოთიშა.

დღეს ასპარეზობის მონაწილენი ისვენებენ. ხვალ ოთხტურიანი მეოთხედფინალის პირველ პარტიებს ითამაშებენ: **ყაჭეიშვილი – კეკელიძე, სტურუა – გელაშვილი, ჯობავა-სუპატაშვილი, იზორია – ფანცულაია.**

**ნათია თედორაძე.**

### ძიუდო

## ბორჯომში ემზადებიან

**შარშან საქართველოს ძიუდოისტებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. ისინი არც წლეულს აპირებენ პოზიციების დათმობას. დასტურად სალიცენზიო ტურნირებზე მოპოვებული გამარჯვებებიც კმარა.** ახლა ჩვენი ნაკრები ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატისათვის მზადების ბოლო ეტაპს გადის ბორჯომში. ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით ნაკრების წევრების – ნესტორ ხერგიანი (60 კგ), დავით მარგოშვილი (66 კგ.), დავით ქევხიშვილი (73 კგ.), მინდია ბოდაველი (81 კგ.), ზურაბ ზვიადაური (90 კგ.), ივერი ჯიქურაული (100 კგ.), ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა) და რამაზ ჩოჩიშვილი (აბსოლუტური) დიუსელდორფს (გერმანია) გაემგზავრებიან და 16-19 მაისს კონტინენტის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.



აი, ახალგაზრდებმა კი ახლახან 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე იასპარეზეს ერევანში. კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ მინდია ხომეზური (66 კგ.) ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონა), ბრინჯაოს მედლები კი გრიგოლ მამრიკიშვილმა (81 კგ.) და ლაშა ფეიქრიშვილმა (100 კგ.) მოიპოვეს.

**მამუკა ძოზალავა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ჩემპიონი

# ათენის გზა ნიუ-იორკზე გადის

**რამდენიმე დღის წინათ ლატვიის დედაქალაქ რიგაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში კონტინენტის ჩემპიონობა საქართველოს ნაკრების წევრმა რევაზ მინდორაშვილმა მოიპოვა.**



## საცნობარო ბარათი

**დაიბადა 1976 წლის 1 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. უცოლოა.**

**ჭიდაობა 1990 წელს დაიწყო დავით გონაშვილის ხელმძღვანელობით. 1994 წლიდან მარლენ ოსეყმაშვილთან ვარჯიშობს. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. ოთხჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა (2000-2003 წ. წ.), სამჯერ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ევროპის ჩემპიონატებში 2000 წლიდან მონაწილეობს. პირველად 76 კგ წონით კატეგორიაში VII ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს ორი საფეხურით დაწინაურდა, შარშან ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა 84 კილოში, წლეულს კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.**

**2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეშვიდე იყო, შარშან მე-6 ადგილი დაიკავა.**

ყველაფერი კი ნახევრხმოყრილ სარბიელზე ქართული ჭიდაობით დაიწყო.

— ჩვენს სოფელში ყოველ შაბათკვირას დიდი შერკინებები იმართებოდა, — მითხრა რევაზ მინდორაშვილმა, რომელიც რედაქციაში გვესტუმრა. — დოლისა და ზურნის ხმას გავიგებდით თუ არა, პატარა ბიჭები ღია საჭიდაოსკენ გავრბოდით, სადაც მეზობელი სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსული ფალავნებიც ცდილნენ მკლავისა და მუხლის ძალას. ბავშვებსაც არაერთხელ გვიჭიდავია უფროსების წაქეზებით. ჯანი კი მერჩოდა, მაგრამ თავისუფალ ჭიდაობაში წვრთნა მხოლოდ 14 წლისამ დავიწყე, ჩემმა ბიძაშვილმა თემურ მინდორაშვილმა მიმიყვანა დავით გონაშვილთან. სამი წელი ვივარჯიშე მასთან. ერთხელ მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონიც გავხდი.

**— მარლენ ოსეყმაშვილთან როგორ მოხვდი?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვედი. ინსტიტუტში შესასვლელად ვემზადებოდი. ძალიან მომენატრა ჭიდაობა და ერთ დღეს ფალავანთა კლუბში ბატონ მარლენს მივაკითხე. ვივარჯიშებ-მეთქი, ვთხოვე. ნება დამრთო და იქიდან მოყოლებული დღემდე ერთად მოვდივართ.

**— როგორც ვიცი, თავიდან ხშირად აცდენდი მეცადინეობებს...**

— ჰო, ეგრე იყო. ვხედავდი, რომ ბიჭები ჩემზე უკეთ ჭიდაობდნენ და საკუთარი ძალების არ მჯეროდა. ბატონ მარლენს რამდენჯერ უსაყვედურია, შენი მონაცემების პატრონი როგორ უქმად კარგავ დროსო. მწვრთნელის მეხათრებოდა, თორემ ჭიდაობისთვის თავის დანებებაც კი მინდოდა.

**— რამ განაპირობა შენი მობრუნება?**

— 1996 წელს საქართველოს ნაკრების წევრები ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდნენ. მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა გია გალდავამ, ბატონ მარლენის რჩევით, საწვრთნელ შეკრებაზე წამიყვანა, ჯანიანი ბიჭი ხარ და სპარინგ-პარტნიორად გამოგვადგებიო. მეც სტიმული მომეცა. იმ შეკრების შემდეგ დავიწყე სერიოზული ვარჯიში.

**— სპორტული კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად რომელი ორთაბრძოლა დაგამახსოვრდა?**

— შარშანწინ მსოფლიო ჩემპიონატს სოფიამ უმასპინძლა. პირველი ორთაბრძოლა გერმანელ ალექსანდრ ლაიპოლდთან მომიწია. ალბათ, გახსოვთ, სიდნეიში იგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მაგრამ დოპინგზე ამხილეს და ოქროს მედალი ჩამოართვეს. მერე გაირკვა, რომ ექიმების ბრალი ყოფილა — აკრძალული პრეპარატი მიუციათ სამკურნალოდ. დაძაბულ პაექრობაში ლაიპოლდს 3:2 მოვუგე. მერე ორი მეტოქეც დავამარცხე და მეოთხედფინალში ატლანტის ოლიმპიადის გამარჯვებულს, სამგზის მსოფლიო და ოთხგზის ევროპის ჩემპიონს ბუვაისა საიტიევს შევხვდი. ტოლ-სწორად ვეჭიდავე ცნობილ ფალავანს. ანგარიში 2:2 იყო, როცა მსაჯებმა გაუმართლებლად მისცეს მას ქულა და დავმარცხდი. ბუვაისამ მერე დანარჩენი ორთაბრძოლებიც მოიგო და მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი...

შარშან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, წონითი კატეგორიები შეიცვალა. რევაზ მინდორაშვილმა 76-დან 84 კილოში გადმოინაცვლა. არც შემცდარა, რადგან გაზაფხულზევე ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მერე ბაქოში ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. არც ირანში მსოფლიო ჩემპიონატზე უჭიდავია ურიგოდ. სამი წრე წარმატებით განვლო, მეოთხედფინალში კი კუბელ მსოფლიო ჩემპიონთან, სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან რომეროსთან დამარცხდა — 2:3. რომ არა მიკერძოებული მსაჯობა, არავინ იცის, ეს პაექრობა როგორ დამთავრდებოდა (საგულისხმოა, რომ, სიდნეის ოლიმპიადის მსგავსად, ირანშიც ადამ საიტიევმა ფინალში შეხვედრა მოუგო რომეროს და კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გახდა).

წლევანდელი სეზონიც წარმატებით დაიწყო რევაზ მინდორაშვილმა. ჯერ დამაჯერებლად მოიგო ეროვნული ჩემპიონატი, მერე თურქეთის საერთაშორისო ტურნირში აჯობა ყველას, 4 მაისს კი რიგაში ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი: ნახევარფინალში რუსეთელ ვადიმ ლალიევს სძლია 4:1, ხოლო ფინალში სომხეთის სახელით მოასპარეზე მამედ აგაევს დააყრევინა ფარ-ხმალი (5:1).

— იმ დღეს ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა, — მითხრა რეზომ. — ფინალური ორთაბრძოლა რომ მოვიგე, ჩვენი გუნდის ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა საქართველოს დროშა შემომახვია და ასე, გახარებულმა, საპატიო წრე დავარტყი დარბაზში. გულშემატკივრები ოვაციებით შემხვდნენ. ეს გამარჯვება მარტო ჩემი დამსახურება არ არის, მასში უდიდესი წვლილი მიუძღვით ამაგდარ მწვრთნელს მარლენ ოსეყმაშვილს, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს, ბატონ გია გალდავას, ჩვენს დასტაქარს ზურაბ კახაბრიშვილს, საქართველოს ნაკრების წევრებს და იმ ადამიანებს, ვინც მქომაგობდა. ყველას დიდი მადლობა თანადგომისა და დახმარებისთვის.

**— ლატვიური ბატალიები, ალბათ, დიდხანს გემახსოვრება?**

— იმ დღეებს, ცხადია, რა დამავიწყებს, მაგრამ გამარჯვებით გამოწვეულმა ეიფორიამ უკვე გამიარა. ორშაბათიდან ისევ წვრთნას ვიწყებ, მოდუნების უფლება არა მაქვს, რადგან წლის ყველაზე დიდი გამოცდა წინ არის — სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც გათამაშდება. მინდა, რომ ნიუ-იორკშიც ავიდე კვარცხლბეკზე და ელადის საგზურიც მოვიპოვო, რათა კიდევ ერთხელ გავახარო ჩემი გულშემატკივრები.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემპიონო!

**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: 2003 წლის ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი; ქართველი ფალავნისა და ბუვაისა საიტიევის 2001 წლის ორთაბრძოლის მომენტი.**



ნუთუ?

## გრანდი ძარცვავს... საკუთარ სახელმწიფოს?!

მიუნხენის „ბაიერნი“, რომელიც ამ დღეებში კიდევ ერთხელ გახდა გერმანიის ჩემპიონი, 3 მილონი ევროთი დაჯარიმდა.

რატომ?

იმიტომ, რომ, როგორც ცნობილი გახდა, 1999 წელს საიდუმლო ხელშეკრულება დადო ამჟამად გაკოტრებულ ტელემაგნატ ლეო კირჰთან და ამით 21 მილიონზე მეტი ევრო მიიღო, რითაც ბუნდესლიგის სხვა კლუბებმა დიდი ფინანსური ზარალი ნახეს.

რა თქმა უნდა, მიუნხენელების დასჯა აუცილებელი იყო — ფიქრობენ გერმანელი კომენტატორები — მაგრამ „ბაიერნისათვის“ უფრო დიდი თანხა უნდა გადაეხდევინებინათ. რას ჰგავს, როცა ასეთი გრანდი გადასახადს არ იხდის და ძარცვავს საკუთარ სახელმწიფოს, 3 მილიონი ევრო რა არის?!

## ბექჰემი? მას ჩვენთან არ იცნობენ!

დევიდ ბეკჰემი, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი კია, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, მას თითქმის არავინ იცნობს... ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამის გამო ტელესერიალ „სიმპსონების“ რეჟისორებმა უარი თქვეს, მისთვის დაეთმოთ ეპიზოდური როლი.



როგორც პროექტის აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, ვერ მიანდობს როლს ადამიანს, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ცოტა ვინმე თუ იცნობს. დირექტორმა თქვა: მისი სახელი იმიტომ გავიგე, რომ ჩემი ქალიშვილი ფეხბურთს თამაშობს.

## ციხე ან ჯარიმა

ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, განთქმული სპრინტერი და მხტომელი კარლ ლუისი მალე სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს.

საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი მეგობრული შეხვედრის დროს ლუისი ძალიან დათვრა, შემდეგ თავის მანქანას მოახტა და ლოს-ანჯელესის გარეუბანში პოლიციელებს „ჩაუვარდა“ ხელში. პოლიციის წარმომადგენლების განცხადებით, მას სერიოზული სასჯელი ელის — როგორც მინიმუმი, ნეხევარი წლით პატიმრობა, ან დიდი ფულადი ჯარიმა.

## ფორვარდი უჩინმაჩინის ქუდით

მიხაილ მიხოლაპი, რომელსაც თავის დროზე რიგის „სკონტოში“ რევაზ ძოძუაშვილი ავარჯიშებდა, ახლა, როგორც მოგეხსენებათ, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში“ თამაშობს და ამავე მწვრთნელის ხელმძღვანელობით წარმატებებიც აქვს — რუსეთის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთი სნაიპერია.

მაყურებლები ამბობენ, რომ ხშირად ვერ გაუგიათ, რას აკეთებს მინდორზე მიხოლაპი. შეუძლია ზოგჯერ ისე გაჩერდეს, თითქოს ის რაც ხდება, მას არ ეხებაო. ამასთან რაღაც შინაგანი გრძნობით, შეუძლია შეარჩიოს დრო, გავიდეს წინ და გოლიც გაიტანოს. შემდეგ კი ისევ უჩინმაჩინის ქუდი დაიხუროს...

— ნუ ელით მიხოლაპისაგან ლამაზ და ეფექტიან თამაშს. იგი ასეთი ტიპის თავდამსხმელი არ გახლავთ — თქვა ერთხელ რევაზ ძოძუაშვილმა. მოთამაშეების აზრით, მიხაილ მიხოლაპი, უბრალოდ რომ ვთქვათ, სხვა არა არის რა, გარდა „იღბლის თაიგულისა“:

კარგი „თაიგულია“, ღმერთმანი, ახლა მისი ყველა მცველს ეშინია...

## მიწაზე დაგდებული ფული თუ ნახოთ, არ აიღოთ!

ამას წინათ მოსკოვში ორი ჰოლანდიელი მოჭადრაკე ჩამოვიდა, რომლებიც თურმე რუსეთში ადრე არასოდეს ყოფილან. საერთაშორისო არბიტრ გერტ გიისენს, რომელიც ხშირად იყო რუსეთის დედაქალაქში გამართული შეჯიბრებების მთავარი მსაჯი, მათ ჰკითხეს:

— რისი დათვალიერება შეიძლება მოსკოვში?

— აქ ბევრი რამ არის საინტერესო. ოღონდ, თუკი ქუჩაში მიწაზე დაგდებულ ფულს ნახავთ, არ აიღოთ. ამას თაღლითები განზრახ აკეთებენ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ თქვენი ფულიც კი წაგართვან.

ჰოლანდიელები დღის განმავლობაში ქალაქში სეირნობდნენ. საღამოს კი, როცა ჭადრაკის სათამაშოდ მივიდნენ, მთავარ მსაჯს მადლობა გადაუხადეს. თურმე გამვლელებს მათ დასანახად ქუჩაში ორჯერ „დაუვარდათ“ ფული.

## ჯერ ბავშვი, მერე — ოჯახი

არა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი სპორტის მიტოვებას არ აპირებს. პირიქით, როცა დრო დადგება, იგი განაახლებს ვარჯიშს და გაისად, 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე მიიღებს მონაწილეობას.

მანამდე კი... ივლისში განთქმული მძლეოსანი დედა უნდა გახდეს. შეიძლება იკითხონ, ვინ არის ბავშვის მამაო? ეს არის აშშ-ს მძლეოსანთა ნაკრების კიდევ ერთი წევრი ტიმ მონტგომერი. ამასთან, მარიონ ჯონსი აცხადებს, რომ იგი ჯერ სულაც არ არის მზად ოჯახის შესაქმნელად (ასევე ფიქრობს მონტგომერიც) და ამას შემოდგომისათვის გადადებს.

## რაც მთავარია, ხალხი ცოტაა

ჩინელი მოჭადრაკეები ამ ბოლო ხანებში სისტემატურად ჩადიან მოსკოვში.

— როგორ მოგწონთ ჩვენი დედაქალაქი? — ჰკითხეს მასპინძლებმა.

— ყველაფერი მოგვწონს! სისუფთავეა, სიწყნარე და, რაც მთავარია, ცოტა ხალხია...

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 122, ორშაბათი, 12 მაისი, 2003 წელი.
სპორტი



## თაობა

**ამას წინათ გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა სომხეთის ეროვნულ გუნდთან და გაიმარჯვა – 3:0.**

**– უსაზღვროდ ბედნიერი ვარ დღეს, რადგან სპორტის სასახლეში გადაჭედილი ტრიბუნების წინ ვიდექი ეროვნული ნაკრების ფორმით, ვისმენდი საქართველოს ჰიმნს და შევყურებდი, თუ როგორ მიიწევდა მაღლა ჩვენი სამფეროვანი დროშა. მართალი გითხრათ, თავი სიზმარში მეგონა – ბავშვობისდროინდელი ოცნება ამიხდა, – მითხრა შეხვედრის დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა დავით შვანგირაძემ, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საკუთარი გუნდის წარმატებაში.**

# ბავშვობისდროინდელი ოცნება აუხდა



დავით შვანგირაძე 1985 წლის 26 მაისს დაიბადა თბილისში. სწავლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. მისი წონაა 85 კგ, სიმაღლე – 204 სმ. სპორტული კარიერა ათი წლისამ ფრენბურთით დაიწყო.

– ერთ დღეს მამამ მაღაზიაში გამგზავნა მინერალური წყლის მოსატანად, – იგონებს დათო. – გზად უცხო კაცი ამედევნა. შემეშინდა და ნაბიჯს ავუჩქარე. ეზოშიც შემომყვა. მერე ჩემს მშობლებსაც გაეცნო.

ის კაცი ფრენბურთის მწვრთნელი ლეონიდ მარტინოვი გახლდათ. დათოს მშობლებს უთხრა, ვატყობ, ეს ბიჭი მაღალი გაიზრდება, მოქნილიცაა, თანახმა თუ იქნებით, ფრენბურთში ვავარჯიშებო.

ასე მოხვდა ათი წლის ყმაწვილი კიევის ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლის დარბაზში. ყურადღებით უსმენდა მწვრთნელის რჩევა-დარიგებებს და ცდილობდა, ყველა მითითება უნაკლოდ შეესრულებინა.

– ბატონ ლეონიდთან წელიწადნახევარი ვივარჯიშე, – მითხრა დათომ. – მერე „ლენინის დარბაზში“ ალექსანდრ მუხინთან და ოლიმპიურ ჩემპიონ ვაჟა კაჭარავასთან გავაგრძელე წვრთნა. სიმაღლეში ზრდასთან ერთად ვგრძნობდი, რომ გული უფრო კალათბურთისკენ მიმიწევდა. მაშინ ჩემი მეგობრები ბატონ ვაჟა კვარაცხელიასთან ვარჯიშობდნენ სოხუმის უნივერსიტეტის გუნდში. ერთ მშვენიერ დღეს მეც გადამიბირეს. ასე მოვხვდი 58-ე საკალათბურთო სკოლაში.

წელიწადიც არ იყო გასული, რომ საქართველოში სლოვენიელი მწვრთნელი ლოიზე მილოსავლევიჩი ჩამოვიდა. მან სამშობლოში წასაყვანად ოთხი ყმაწვილი შეარჩია – დავით შვანგირაძე (რომელიც უკვე 2 მეტრის სიმაღლისა იყო), გიორგი მამაცაშვილი, დავით ურიდია და ლევან ლუკავა.

– ლიუბლიანაში დავით უგრეხელიძე და კოტე ტულუში დაგვხვდნენ. – განაგრძო თხრობა დათომ. – ისინი „სლოვანის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობდნენ, ჩვენ ახალგაზრდულ გუნდში ჩაგვრიცხეს.

**– ფრენბურთელებთან როგორ აღმოჩნდი?**

– ნოემბერში ლიუბლიანას მისკელი სპორტული მენეჯერი ტატიანა პოლიშჩუკი ეწვია, რომელმაც 2 ბელორუსი კალათბურთელი ჩამოიყვანა „სლოვანში“გასასინჯად. ბიჭები რამდენიმე დღე დარჩნენ ჩვენთან. ერთხელ საუბრისას მათ ვუთხარი, ბავშვობისას ფრენბურთს ვთამაშობდი და ახლა ნოსტალგია მომეძალა-მეთქი.

ბელორუსებს გუნდში მიღებაზე უარი უთხრეს. მათი გამგზავრებიდან თვეც არ იყო გასული, ქალაქ ბლედიდან ფრენბურთელთა კლუბ „მერკური ლიპ ბლედის“ პრეზიდენტი ალეშ ერალა შეეხმიანა დათოს, თქვენზე ტატიანა პოლიშჩუკი მელაპარაკა, თუ სურვილი გაქვს, გასასინჯად ჩამოდიო. ქართველი ჭაბუკი მეორე დღესვე გაემგზავრა ბლედში, რომელიც ლიუბლიანადან ოთხმოციოდე კილომეტრზეა. გუნდის ხელმძღვანელებს მოეწონათ მისი თამაში და თანამშრომლობა შესთავაზეს.

– „სლოვანიდან“ წასვლაზე პრობლემა არ მქონია. ლოიზე გაგებით მოეკიდა ჩემს უეცარ გადაწყვეტილებას, ბლედში ჩასვლისთანავე კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ახალგაზრდულ გუნდში გამოვდიოდი, რომელმაც ოცდასამწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ჩვენი მწვრთნელი ტილენ კოზამერკინი გახარებული იყო. პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, გამარჯვება ქართველმა ლეგიონერმა მოგვაპოვებინაო.

**– თუ ასე კარგად შეეწყვე იქაურობას, საქართველოში შენი ნაადრევად დაბრუნება რამ გამოიწვია?**

– „მერკური ლიპ ბლედის“ სპონსორი იყო სამშენებლო მასალების ფირმა, რომელიც მოულოდნელად გაკოტრდა და, ცხადია, გუნდს დაფინანსება შეუწყდა. პერსპექტივაც არ ჩანდა. ამგვარ სიტუაციაში იქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა. კონტრაქტი ჩაიშალა და შინ დავბრუნდი.

**– და იხეტიალე სხვადასხვა ქვეყანაში ახალი გუნდის საძებნელად...**

– ჰო, ცოტა ხანს იზმირის „სენქოზეფში“ ვიყავი, მერე – ბაქოს „აზნეფტში“, მაგრამ სასურველი კონტრაქტი ვერსად გავაფორმე, სამაგიეროდ, ბედს ვეწიე – აზერბაიჯანის დედაქალაქში გავიცანი მშვენიერი ქართველი ქალიშვილი – 2002 წლის „მის კასპიან“ ლალი ოსაძე. მისი ძმა ედნარიც ფრენბურთელია, ამიტომ უყვარს ლალის სპორტის ეს სახეობა. იგი მეგობარ გოგონასთან ერთად ხშირად მოდიოდა ჩვენი გუნდის ვარჯიშებზე. დავუახლოვდით ერთმანეთს და ცოლად მოვიყვანე.

**– იმედია, შინ ჯდომას არ აპირებ?**

– ახლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობ. მიწვევა მაქვს თურქეთის ერთ-ერთი კლუბიდან. არის შანსი, ისევ სლოვენიაში დავბრუნდე, მაგრამ არ ვჩქარობ. 6-8 ივნისს საქართველოს ნაკრები ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელსაც რიგა უმასპინძლებს. იქაურ ორთაბრძოლებს, ცხადია, უცხოელი მენეჯერებიც დაესწრებიან და, ვნახოთ, იქნებ, უკეთესი ვარიანტი გამოჩნდეს.

**– ლატვიაში როგორი იმედით გაემგზავრებით?**

– მართალია, ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია, მაგრამ ბრძოლის ჟინი და მონდომება არ გვაკლია. ოღონდ ეგ არის, რომ შიშველ ენთუზიაზმზე ვთამაშობთ. მარტო ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია რას გახდება, თუ ვინმე არ დაუდგა გვერდით, არ დააფინანსა. მნიშვნელოვან ტურნირებში გასამარჯვებლად, მოგეხსენებათ, საჭიროა საფუძვლიანი მომზადება, საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, სათამაშო პრაქტიკის მიღება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაკრების წევრთა უმრავლესობას ოჯახი ჰყავს სარჩენი. ამდენი პრობლემის მოგვარებას კი, როგორც გითხარით, მარტო ფრენბურთის ფედერაცია ვერ გაწვდება.



რაც შეეხება რიგაში თამაშს, ლატვიელებთან და ესტონელებთან წარმატების მიღწევა თითქმის წარმოუდგენელია, აი, აზერბაიჯანელებთან კი შარშან პირველ წრეში დამარცხებისთვის რევანშის აღება შეიძლება. ამ ეტაპზე თუნდაც ეს, როგორც დღეს სომხეთის ნაკრებთან გამარჯვება, ქართული ფრენბურთის აღორძინების საფუძველი გახდება, თუკი ვინმე დახმარების ხელს გამოგვიწვდის.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: დავით შვანგირაძე მეუღლესთან ერთად; სლოვენიის ჩემპიონი „მერკური ლიპ ბლედი“.**

## ჯანსაღი ცხოვრების წესი

# სტუდენტთა რაიონულ სპარტაკიადაზე

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გაიმართა 2003 წლის სპარტაკიადა კერძო სასწავლებლების წარმომადგენელთა შორის.** გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მინიფეხბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში, ტყვიის სროლაში, ბაგირის გადაძალვაში, მკლავჭიდში, დარტსში და გირების აწევაში. შეჯიბრებაში ჩაებნენ სამედიცინო ინსტიტუტი „დასტაქარი“ (რექტორი – აკადემიკოსი ირაკლი ფაღავა), საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემია და კოლეჯი (რექტორი – ზაურ ამილახვარი), საქართველოს საბაჟო აკადემია (რექტორი – აკაკი ნიშნიანიძე), თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერია-2“ (რექტორი – აკაკი იობაშვილი), ნიკიფორე ირბახის სახელობის ინსტიტუტი (რექტორი – ჯემალ ჭელიძე) და ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი (რექტორი – გურამ ხაჭაპურიძე). მათი ხელშეწყობითა და მონდომებით ამ საინტერესო შეჯიბრში ჩაება 200-მდე სტუდენტი.





სპორტის 9 სახეობაში საერთო ნადავლით **I ადგილი** მოიპოვა საბაჟო აკადემიამ (წარმომადგენელი – ლერი სარაიდანოვი).

**II ადგილი** – თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიის“ ნაკრებმა გუნდმა (წარმომადგენელი – შალვა ოქრიაშვილი).

**III ადგილი** – საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემიის და კოლეჯის ნაკრებმა (წარმომადგენელი – სერგო ნოზაძე).

ასევე კარგად გამოვიდნენ და ცალკეულ სახეობებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ნიკიფორე ირბახის სახ. ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტ „დასტაქარისა“ და ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტსმენები.

მოპოვებული შედეგების შესაბამისად მოასპარეზე გუნდებს გადაეცათ თასები და ფასიანი საჩუქრები.

სპარტაკიადა კარგად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელს გიორგი ჩაჩანიძეს, სპორტის მთავარ სპეციალისტს ნუხა გაგოშიძეს და სპორტის წამყვან სპეციალისტს ომარ ჩხაიძეს.

## მსოფლიო შტრიხებში

# ახალი პრიზი – „ოქროს ფეხი“

**ფეხბურთის ჯადოქრებისათვის მრავალი ჯილდოა დაწესებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოქროს ბურთი“ და „ოქროს ბუცი“, რომლებიც სეზონის საუკეთესო მოთამაშეებს გადაეცემათ ხოლმე გარკვეულ კენჭისყრის შემდეგ, ახლა ამ საპატიო პრიზებს კიდევ ერთი ახალი დაემატა – კომპანია World Champions Cchib, იტალიური გაზეთის La Gazzetta dello Sport მონაწილეობითა და მონაკოს პრინცის ალბერის აქტიური მხარდაჭერით დააწესა პრემია Golden Foot ანუ „ოქროს ფეხი“.**

**როგორც მილანში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, წლეულს, ზაფხულში მონტე-კარლოში შეიქმნება ფეხბურთის ვარსკვლავების ხეივანი, დაახლოებით ისეთი, ჰოლივუდში კინო-ვარსკვლავების უკვდავსაყოფად რომ არის.**

**ვინ და როგორ მოხვდებიან ამ ხეივანში?**

**ყოველწლიურად ჩვენი პლანეტის ერთი მოქმედი ფეხბურთელი მიიღებს ამ ახალ პრიზსა და მასთან ერთად უფლებას – თავის ნაკვალევი დატოვოს ხეივანში, რომელიც მონტე-კარლოს სანაპიროზე შეიქმნება. სპეციალური ჟიური, რომლის თავმჯდომარეობა წლეულს La Gazzetta dello Sport-ის მთავარმა რედაქტორმა პიეტრო კალაბრეზემ იკისრა, უახლოეს დროში შეარჩევს 10 ყველაზე ღირსეულ კანდიდატს პირველი პრიზისათვის, 5 ივნისისათვის სია საბოლოოდ დაზუსტდება, რის შემდეგ ორი თვის განმავლობაში, 5 აგვისტომდე ფეხბურთის გულშემატკივრებს მსოფლიოს ყველა კუთხეში შესაძლებლობა ექნებათ ინტერნეტის საიტით www.golden-foot.com ხმა მისცენ მათთვის ყველაზე ძვირფას და ღირსეულ კანდიდატს.**




**ამავე დროს ჟიური შეარჩევს წარსულის ერთ ან რამდენიმე სახელოვან ფეხბურთელს, რომლებიც ასევე დატოვებენ თავიანთ ანაბეჭდს ვარსკვლავთ-ხეივანში.**

**ახალი პრემიის გადაცემისა და ანაბეჭდის უკვდავყოფის ცერემონია გაიმართება 26 აგვისტოს მონტე-კარლოში.**

**ახალი პრიზი-პრემიის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, ყოველწლიური საზაფხულო გალა-წარმოდგენის შემოსავლის ნაწილი გადასცენ რომელიმე საქველმოქმედო პროექტს. პირველი არჩევანი ერგო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონს, ბრაზილიელ დუნგას, რომელმაც შეკრებილთ აცნობა, რომ აგვისტოში შემოსული ფული მოხმარდება Resting olympic village-ს უჩვეულო მინი-ქალაქის მოწყობას. ის ხუთ ჰექტარზე გაშენდება პორტუ-ალეგრის მახლობლად და ის 6-17 წლის ბრაზილიელი ღარიბი ბავშვების მეორე მშობლიურ სახლად იქცევა.**

**ზოგ-ზოგი ფიქრობს, რომ ახალი პრემია მეტოქეობას გაუწევს „ოქროს ბურთს“, რომელიც „ფრანს ფუტბოლის“ ეგიდით გადაეცემა ხოლმე. მაგრამ როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადეს, 10 კანდიდატი შეირჩევა არა ერთი რომელიმე სეზონის შედეგების მიხედვით, არამედ ფეხბურთელის მიერ კარიერის მანძილზე მოპოვებული წარმატებებისათვის.**

**ორგანიზატორებმა მიმართეს სხვადასხვა ქვეყნების პრესის ორგანოებს, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ვარსკვლავები

# შარშანდელი ლაურეატის წლევანდელი იმედები

**ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ მეტად თავისებური კონკურსი მოაწყო. უნდა შერჩეულიყო ის 8 გულშემატკივარი, რომელიც ყველაზე საინტერესო შეკითხვებს მისცემდა ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელ რონალდოს. როცა ეს კონკურსი დამთავრდა, „ფრანს ფუტბოლმა“ გამარჯვებული გულშემატკივრები რედაქციაში მიიწვია და რონალდოსთან შეახვედრა. ჩვენ ამ გაბაასებიდან რამდენიმე საყურადღებო კითხვა-პასუხი შევარჩიეთ.**

**— თქვენ, ასაკის მიუხედავად, ძალიან გამოცდილი მოთამაშე ხართ. რას ურჩევდით ახალგაზრდა ბრაზილიელებს, ისეთებს, როგორიც ვთქვათ, რონალდინიოა?**

— დარწმუნებული ვარ, რომ რონალდინიოს დიდი მომავალი აქვს. იგი უკვე შესანიშნავ კლუბში თამაშობს და, როგორც მეჩვენება, ბევრი თვალსაზრისით ჩემს გზას იმეორებს. მან თავისი კარიერა არც ისე ძლიერ ევროპულ ჩემპიონატში დაიწყო, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ჰოლანდიისა, სადაც დასაწყისში მე ვთამაშობდი. საფრანგეთში რონალდინიო გამოცდილებას შეიძენს და შეძლებს ღირსეულად დაუპირისპირდეს ევროპის უძლიერეს კლუბებს. ყოველივე ეს ჩემს იმ ყველა თანამემამულესაც ეხება, რომლებიც ევროპაში თამაშობენ.

**— თქვენი აზრით, ევროპის ქვეყნების რომელ ჩემპიონატშია ყველაზე მაღალი დონე?**

— იტალიის ჩემპიონატში, თუმცა სანახაობითი თვალსაზრისით იგი ჩამოუვარდება ესპანეთისას.

**— მადრიდის „რეალი“ მსოფლიოში უდიდესი კლუბია. ვინ შეიძლება, თქვენი აზრით, მას შევადაროთ?**

— რა თქმა უნდა, არიან სხვა გრანდებიც: „მილანი“, „ინტერი“, „ბარსელონა“, „იუვენტუსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ვერც ერთი ამ გუნდთაგანი „რეალს“ ვერ შეედრება.

**— მოგწონთ თუ არა ინგლისის ჩემპიონატი, სადაც თავდამსხმელებს მეტი თავისუფლება აქვთ, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის პირველობაზე?**

— ვფიქრობ, თქვენ არასწორი წარმოდგენა გაქვთ ინგლისის პირველობაზე. ფეხბურთი ყველგან ერთნაირია.

**— რას ფიქრობთ დევიდ ბექჰემის შესაძლო გადმოსვლაზე მადრიდის „რეალში“?**

— გულახდილად გეტყვით, ჩემთვის ამას რაიმე მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთან ყველა ფეხბურთელი, ვინც თამაშობს, ვარსკვლავია. თუკი ხელმძღვანელობას სურს გუნდში ახალი მოთამაშეების მოწვევა, მისი ნებაა.

**— ამბობენ, რომ თქვენთან კლუბში ყველა საქმეს წყვეტენ იერო, ფიგუ და რაული. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მათთან?**

— ძალიან კარგი.

**— მსოფლიოს კიდევ რამდენ ჩემპიონატში აპირებთ მონაწილეობის მიღებას?**



— როგორც მინიმუმი, მომდევნოში მაინც. 2010 წელს უკვე 30 წელზე მეტის ვიქნები. არ ვარ დარწმუნებული, რომ კვლავ მაღალ დონეზე შემეძლება თამაში.

**— 2014 წელს ბრაზილიას თვითონ აქვს მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის პრეტენზია. გული არ დაგწყდებათ, რომ ვერ შეძლებთ მასში მონაწილეობას?**

— (იცინის). იმედი მაქვს, რომ იმ დროისათვის მედიცინა დიდ წარმატებებს მიაღწევს და ისეთი ფეხბურთელებიც კი გამოვლენ მინდორზე, რომლებიც 40 და მეტი ხნის არიან.

**— რომარიოს 37 წლის ასაკშიც კი ჰქონდა ნაკრებში გამოძახების შესაძლებლობა. ისე რომ, არაფერი არ არის გამორიცხული. ასეა, ხომ?**

— ვნახოთ, ვნახოთ.

**— ბევრს ძალიან სურს კვლავ იხილოს რონალდო-რომარიოს წყვილი. თქვენ რას იტყოდით?**

— ძალიან კარგი იქნებოდა. რომარიო დიდი ფეხბურთელია. ცხადია, მე მაქვს სურვილი მასთან ერთად თამაშისა.

**— აქვს თუ არა ბრაზილიას სახსრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მოსაწყობად?**

— დღეისათვის არა აქვს, მაგრამ 2014 წლამდე ხომ შორსაა. თუკი მთავრობა აქტიურად დაგვეხმარება, სათანადო თანხებს გამონახავს, მაშინ ჩვენთანაც შეიძლება საფეხბურთო დღესასწაულის გამართვა.

**— შარშან ბრძოლა „ოქროს ბურთისათვის“, რომელიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს მიენიჭება, ძალიან მწვავე იყო. თქვენი აზრით, რომელი ფეხბურთელი იყო ღირსი იმისა, რომ ეს ჯილდო თქვენს ნაცვლად მიეღო?**

— მე ვიცი, რომ არჩევანი მართლაც ძნელი იყო. ბევრს, საკმაოდ საფუძვლიანად, მისი მიღების იმედი ჰქონდა: პირველ რიგში რობერტო კარლოსს, ფიგუს, რაულს, ზიდანს. ისინი ხომ ყველანი „რეალის“ ვარსკვლავები არიან.

**— როგორ ფიქრობთ, ჯილდო თქვენ მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე თამაშისა და იქ გატანილი 8 გოლის გამო მიიღეთ?**

— რა თქმა უნდა! მთავარი როლი სწორედ იმან ითამაშა, რომ მე ჩემი ნაკრებისა და საერთოდ მთელი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო სნაპიერი გავხდი. რამდენადაც ვიცი, 8 ბურთზე მეტის გატანას ამ შეჯიბრებაში საერთოდ ვერავინ ახერხებს.

**— როგორ შეხვდით თქვენთვის „ოქროს ბურთის“ მინიჭებას?**

— ჩემთვის ეს იყო იმ დიდი სიყვარულის აღიარება, რომელიც ფეხბურთისადმი მაქვს. ამ სიყვარულის გარეშე ვერასოდეს შევძლებდი გამომჯობინებას უმძიმესი ტრავმის შემდეგ. იყო დრო, როდესაც სერიოზულად ვაპირებდი ფეხბურთისათვის თავის დანებებას. ეს უკვე ჩემი მეორე „ოქროს ბურთია“ და 1997 წლის პირველ ჯილდოსგან განსხვავებით, იგი ოფლითა და სისხლით მოვიპოვე.

**— ვინ არის, თქვენი აზრით, ფავორიტი ამ პრიზისათვის წლევანდელ ბრძოლაში?**

— რა თქმა უნდა, მეც მინდა თავისებური ჰეთ-თრიკის გაკეთება, — პრიზის მესამედ მოპოვება. ვფიქრობ, წელსაც მაქვს ამის შესაძლებლობა. სხვა პრეტენდენტებიდან დავასახელებდი რობერტო კარლოსსა და ზიდანს.

მოამზადა
**გივი თორელმა.**

# ეს განუმეორებელი რაული

*პარიზის გაზეთ „ეკიპის“ კორესპონდენტები ამ დღეებში ეწვივნენ პოპულარულ თავდამსხმელ რაულ გონსალეს ბლანკოს, ანუ უბრალოდ რაულს. აი, რამდენიმე ნაწყვეტი ამ საინტერესო ინტერვიუდან.*

**— როდის ვნახულობთ ნამდვილი „რეალის“ თამაშს: მაშინ, როცა მან ფანტასტიკური სტილით დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი“, თუ როცა წააგო „რეალ სოსიედადთან“ და სრულიად უფერული თამაში ფრედ დაასრულა „ბარსელონასთან“?**

— ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, სადღაც შუაშია. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი, 100 პროცენტი. სან სებასტიანელებთან, რა თქმა უნდა, ნაკლები მოტივაცია გვქონდა. მეტოქეს ამ შეხვედრაში ჩვენზე უფრო სჭირდებოდა მოგება. აქ „თავისი სიტყვა“ თქვა სწრაფმა გოლმა, ჩვენს კარში რომ მივიღეთ. საერთოდ, ჩვენ მასპინძლებზე უარესად არ ვთამაშობდით, აი, გოლები კი ვერ გავიტანეთ.

**— „ბარსელონასთან“ ფრეზე რაღას იტყვით?**

— არ გამოგვივიდა ის, რასაც შემოქმედებითი თამაში ჰქვია. ბურთს ძალიან ხშირად ვკარგავდით, რაც მეტოქემ ძალიან კარგად გამოიყენა.

**— რა სჭირდება სამეფო კლუბს იმისათვის, რომ ყველა დროის უდიდეს გუნდად იქცეს?**

— (იცინის). ყველაფერი ძალიან მარტივადაა. წელს ესპანეთის ჩემპიონები უნდა გავხდეთ და ჩემპიონთა ლიგაც მოვიგოთ. გაისად — მეორე დუბლს მივაღწიოთ და ასე — ყოველწლიურად...

**— მადრიდის შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თქვენ ორი გოლი გაუტანეთ ბარტეზს. ხომ არ დაგავიწყდათ ამან ის გამოუყენებელი პენალტი ბარტეზის კარში ევროპის 2000 წლის პირველობაზე საფრანგეთი-ესპანეთის შეხვედრის ბოლო წუთზე? (2:1 ფრანგების სასარგებლოდ).**

— არა, მე სულაც არ მამოძრავებდა ბარტეზისადმი შურისძიების გრძნობა. ამასთან, მაშინ მას კი არ მოუგერიებია 11-მეტრიანი, მე თვით ვერ გამოვიყენე.

**— წელს თქვენ „ოქროს ბურთის“ მიღების კარგი შესაძლებლობები გაქვთ.**

— შესაძლოა, ასეც იყოს. რაც შემეხება მე, მაინც ვამჯობინებდი ჯილდო ესპანეთის ნაკრებთან ერთად მიმეღო გაისად ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიაში.



**— არ გწყინთ, რომ „რეალის“ მოთამაშეების ჩამოთვლას თქვენით კი არ იწყებენ, არამედ რონალდოთი, ზიდანით, ფიგუთი. თქვენ კი მხოლოდ შემდეგ გასახელებენ.**

— არა, სულაც არა მწყინს. რონალდო და ზიდანი მსოფლიო ჩემპიონები არიან. მათ ისევე, როგორც ფიგუმ „ოქროს ბურთიც“ მოიპოვეს. ეს ხომ ბევრს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, „რეალი“ ძლიერია, პირველ რიგში, როგორც ერთიანი კოლექტივი.

**— ვინ არის თქვენი აზრით, უძლიერესი გოლეადორი მსოფლიოში?**

— ყოველ შემთხვევაში, მე არ გახლავართ. ჩემთვის გოლის გატანა თვითმიზანი არ არის. რონალდო და ვან ნისტელროი ყოველთვის კარის ასაღებად არიან შემართულნი. მე კი ამასთან ერთად მინდორზე სხვა ფუნქციებიც მაქვს. თუკი ჩემი გუნდი იგებს, მე გაუტანელი გოლის შემთხვევაშიც დიდი კმაყოფილებით ვტოვებ მინდორს. ზოგჯერ გადამწყვეტ გადაცემასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აი, ამის უნარი კი ზიდანს აქვს.

**— გთხოვთ, ჩამოგვითვალოთ თქვენი ამპლუის ის მოთამაშეები, რომლებიც ყველაზე მეტად მოგწონთ?**

— ასეთი ბევრია. შემიძლია დავასახელო ანრი, მორიენტესი, კრესპო, ვიერი.

**— შეგიძლიათ თუ არა, „რეალის“ გარდა, რომელიმე სხვა კლუბში ითამაშოთ?**

— ასეთი აზრი არასოდეს მომსვლია თავში. მე ძირძველი მადრიდელი ვარ, „რეალში“ უკვე რვა წელზე მეტია ვთამაშობ და წასვლას არსად ვაპირებ. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ სამეფო კლუბი ჩემი პირველი და ერთადერთი გუნდია.

საინტერესოა, რომ „რეალში“ რაული შვიდი ნომრით გამოდის, ნაკრებში კი ათი ნომრის მაისური აცვია, რომელიც მან თავისი კერპის — დიეგო მარადონას პატივისცემით აირჩია.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მაღალ ოსტატად აკაურთხებენ









თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის ნაკრები გუნდი ძირითადად ეროვნული და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებით არის დაკომპლექტებული. მათ შორის, ვინც, ალბათ, უახლოეს მომავალში შეასრულებს ამ ნორმატივს და სანუკვარ წოდებას მიიღებს, დავასახელებთ **ვაჩე გულარაშვილს** — თსუ მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც სულ ახლოსაა სპორტის ოსტატის ნორმატივის დაძლევასთან წოლჭიმში და დამხმარე ვარჯიშებით ცდილობს აღმოფხვრას მცირეოდენი ხარვეზები ძალისმიერ მომზადებაში.

**გთავაზობთ დამხმარე ვარჯიშებს ვაჩე გულარაშვილის შესრულებით**

**1. წოლჭიმი ვიწრო ჭიდით (სურ. 1,2).** სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

**2. ორძელზე აზიდვა ქამარზე დამაგრებული წონით (სურ. 3,4).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

ორივე ეს ვარჯიში ანვითარებს მხრის სამთავა კუნთებს — ტრიცეპსებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ წოლჭიმის შესრულებისას.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
თემო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სხვისი თვალით

**ჟურნალისტი ალექსანდრე ნიკონოვი ესაუბრება ფილოსოფოსს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის პოლიტფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომელს პაველ მალინოვსკის.**

# ძალაუფლების ფსიქოლოგია

## ცხოვრების აზრი და ეროვნული იდეა პოლიტიკური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით

**— თავდაპირველად მცირეოდენი განმარტება ჩემთვის: რას შეისწავლის პოლიტიკური ფსიქოლოგია?**

— ამ კითხვას ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა აქვს. არსებობს ძალაუფლების ოთხი მსხვილი კონცეფცია. და იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანით ხელმძღვანელობთ, მიიღებთ კიდეც ოთხ სხვადასხვა პასუხს.

**პირველი კონცეფცია:** ძალაუფლება ადამიანის თანდაყოლილი ინსტინქტია, რომელიც ქვეშემეცნებაში ძევს. აქედან ჩვენ გადავდივართ ფროიდის ვერსიაზე, ამ სუპერეღოს მთელ მსოფლიოში პროექციაზე. შესაბამისად, აქ ფსიქოლოგია უნდა ჩაწვდეს ადამიანის პიროვნების სიღრმეს, გაარკვიოს, რა ბედი ეწიათ და როგორები იყვნენ მისი მშობლები, რა არქეტიპები აქვს ჩადებული, გაიგოს, თუ სინამდვილეში რისი მიღწევა სურს ამ პიროვნებას, გააანალიზოს მოტივები...

**მეორე კონცეფცია:** ძალაუფლება ეს არის იმ საშუალებათა შენარჩევი, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია მოვახდინოთ ზემოქმედება ადამიანებზე, ვაიძულოთ ისინი გააკეთონ ის, რაც გვსურს. და აქაც ვიღებთ მეცნიერების განსხვავებულ სურათს, ჩნდება ადამიანებით, მათი შეგნებით მანიპულირების ტექნოლოგიები.

**მესამე კონცეფცია:** ძალაუფლება ეს არის ერთგვარი ინსტიტუტი, ლეგიტიმურობის გარკვეული დონის პოლიტიკურ სტრუქტურათა ერთობლიობა. ლეგიტიმურობის დონეს კი განსაზღვრავს ის, თუ ადამიანები რამდენად ენდობიან ხელისუფლებას, გრძნობენ მას და, შესაბამისად, არიან თუ არა მზად, ფეხი აუბან. ეს ამოცანა, სწორედაც რომ, ფსიქოლოგიისათვის არის. პოლიტიკაში ისიც საჭიროა, რომ მეფე ამალის წინამძღოლი იყოს.

და ბოლოს, **მეოთხე კონცეფცია:** სიმბოლური ხელისუფლება. ეს არის როცა ადამიანებს თავს ახვევენ აზრებს, სიმბოლოებსა და იდეებს, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენელი ატარებს. ძალაუფლების იდეა ყველაზე მეტ ეფექტს მოიტანს მაშინ, როცა პირველი, მეორე და მესამე კონცეფციები ვერ მოქმედებს. თუ ადამიანები იწამებენ ჩვენს იდეებს, აღიქვამენ მათ როგორც საკუთარს და მზად იქნებიან თავიც კი გასწირონ ამისათვის, თქვენ სრულ ძალაუფლებას დაამყარებთ ასეთ ხალხზე. მაგალითი, 1996 წელი. ელცინის იანვრის რეიტინგი ორი პროცენტია. ასეთ შემთხვევაში არ კმარა მხოლოდ ადამიანებზე ზემოქმედების ტექნიკის გამოყენება, საჭიროა კიდევ ისეთი იდეის გამოგონება, რომელსაც ისინი უანგაროდ მიჰყვებიან. იდეათა ტიპური შენარჩევი ცნობილია. ამ შემთხვევაში აიღეს მოახლოებული კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა, რომელმაც მიიყვანა ადამიანები არჩევნებზე და აიძულა ისინი მიეცათ ხმა ელცინისათვის. ეს არის კლასიკური გაერთიანება რომელიღაც მტრის წინააღმდეგ. მტრის ხატი, სხვათა შორის, ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იდეაა. პუტინის საარჩევნო კამპანიის დროს მტერი იყო ჩეჩნეთი. ბუშ-უმცროსის რეიტინგმა მკვეთრად მოიმატა 11 სექტემბრის მოვლენებისა და ერაყის შემდეგ.

**— ალბათ, დადგა დრო, რომ კაცობრიობა გაერთიანდეს არა რაღაცის „წინააღმდეგ“, არამედ „რაღაცისათვის“.**

— დიახ, მაგრამ საამისოდ უნდა იყოს კონსტრუქციული იდეები, რომლებიც აღმშენებლობისათვის გააერთიანებენ ადამიანებს. მეოცე საუკუნის ისტორიაში იყო ასეთი მაგალითები: ომისშემდგომი გერმანიისა და იაპონიის ეკონომიკური სასწაული. იქ სპეციალისტებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საზოგადოებრივი შეგნების გარდაქმნის საკითხებს. შემუშავებული იყო დიფერენცირებული პროგრამები, რომლებიც სპეციალურად იყო გამიზნული მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის — ახალგაზრდებისათვის, ბავშვებისათვის, ხანდაზმულთათვის... ყველა კატეგორიის ადამიანებამდე სხვადასხვაგვარად მიჰქონდათ ერთი და იგივე იდეა. გამოიყენეს მონანიების მოტივი. **მონანიება, რომელსაც აღორძინება მოჰყვება. „მონანიების“ პროდუქტი სხვადასხვაგვარი „შეფუთვით“ მიჰყიდეს მოსახლეობას. ბავშვებს, მაგალითად, სასკოლო ისტორიის სახით... ათი წლის შემდეგ, ერმა მიიღო ეს იდეა — აღორძინება მონანიების მეშვეობით, და ამით უზრუნველყოფილი იყო კიდეც ეკონომიკური სასწაული.**



**— შესაძლებელია რუსეთში გამოჩნდეს ასეთი გამაერთიანებელი იდეა?**

— რუსეთი ამჟამად განიცდის ცივილიზაციურ კრიზისის — იდეურობის კრიზისს.

— როგორც შენიშნეს, საკონცენტრაციო ბანაკებში გადარჩნენ და ადამიანებად დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც შეგნებული ჰქონდა, თუ რა იყო მათი ცხოვრების აზრი. ისინი კი, ვინც ჰკარგავდა ცხოვრების აზრს, რამდენიმე დღეში იღუპებოდნენ, თუ მოქალაქეებს შეუძლიათ პასუხი გასცენ კითხვას, თუ რისთვის ცხოვრობენ და რატომ მუშობენ, მაშინ ქვეყანა არსებობს. თუ არა — არ არსებობს.

**— დილ-დილაობითა და საღამოობით მოსკოვის ავტომანქანებით ჩახერგილი ქუჩებით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანები რაღაც გარკვეულ პასუხს მაინც სცემენ ამ კითხვას.**

— მთელი პრობლემა ის არის, რომ რაიმე საერთო მაკონსოლიდირებელი იდეა არ არსებობს...

**— გვჭირდება კი იგი საერთოდ, თუ ადამიანები ისედაც დადიან სამსახურში? ან იქნებ გინდათ, რომ ყველამ მხოლოდ ერთი მიზეზით იაროს სამსახურში?**

— არა. მე მინდა, მათ იცოდნენ, თუ რისთვის ცხოვრობენ. ახლა ვეცდები განგიმარტოთ... თუ ადამიანები მხოლოდ დადიან სამსახურში და შემდეგ ბრუნდებიან შინ, წარმოიქმნება ეფექტი, რომელსაც უჩიოდა კასიანოვი: თითქოს, ყველაფერი კარგადაა, აი, შრომის ნაყოფიერება კი ჩვენთან ძალზე დაბალია. რატომაა იგი დაბალი? იმიტომ, რომ სამსახურში ადამიანები დადიან, მუშაობა კი არ სურთ. არ ესმით, რატომ უნდა იმუშაონ.

**— როგორ თუ არ ესმით? რა არის აქ გაუგებარი? თუ იგი დღეს იმუშავებს, ხვალ იყიდის ახალ მანქანას...**

— ვთქვათ იყიდა მანქანა, მერე?..

**— შემდეგ, მისცემს ბავშვებს კარგ განათლებას.**

— ო! ბავშვებამდეც მივედით. ეს რაღაც ახალია. თქვენ ხომ იცით, რომ 1990-იანი წლების დამდეგს ჩვენს ქვეყანაში შეწყდა ბავშვების გაჩენა.

**— შუა 90-იანი წლებიდან კი, კვლავ იწყო ზრდა შობადობამ. ადამიანები მრავლდებიან. ბუნებას ვერსად გაექცევით.**

— შუა 1990-იან წლებში ეს ეფექტი მოიტანა ეგრეთ წოდებულმა „გადადებული“ ბავშვების დაგროვებამ. მათი მატება ჯერჯერობით არცთუ ისე დიდია საიმისოდ, რომ ვთქვათ — მოსახლეობა სერიოზულად ჩაუფიქრდა მომავალსო. დღევანდელი ბავშვები ეს გუშინდელი ოთახის ფინიები არიან. წინათ ბავშვის ყოლას ძაღლს ამჯობინებდნენ, ახლა კი ბავშვების გაჩენა დაიწყეს. ისევ ის ფსიქოლოგია. ჩვენი მოქალაქეები სერიოზულად რომ ჩაუფიქრდნენ მომავალს, გვარის გაგრძელებას, რუსეთის ხვალინდელ დღეს, მაშინ ერთს კი არა, ორ-სამ ბავშვს იყოლიებდნენ.

**— ეს არ მოხდება. ჩვენი ორიენტირი განვითარებული ქვეყნებია. იქ კი ზუსტად ასეთივე ვითარებაა — ისინი დიდი ხანია აღარ მრავლდებიან. კაპიცას პროგნოზით, XXI საუკუნის დამლევისათვის მოსახლეობა პლანეტაზე 12 მილიარდს მიაღწევს, შემდეგ კი, ისევ მისივე პროგნოზით, ეს რიცხვი არ შეიცვლება.**

— ასე იქნება, თუ მთელს მსოფლიოში მოხდება დემოგრაფიული გადასვლა. ჯერჯერობით კი ჩვენთან სხვაგვარი ვითარებაა: ერთ ცივილიზაციურ არეალში გადასვლა მოხდა, დანარჩენებში კი — არა.

განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია მოხდა სამრეწველო რევოლუცია. იქ კონტრტენდენციებიც კი გაჩნდა: დიდი ქალაქებიდან ადამიანები გარეუბნებში გადადიან. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად მიმდინარეობს არა სამრეწველო რევოლუცია, არამედ რევოლუციის ექსპორტი — იქ წარმოება გადააქვთ განვითარებული ქვეყნებიდან. გლობალური ეკონომიკა შთანთქავს „მესამე სამყაროს“, ხდება ეკონომიკის ექსპორტი და სხვისი ტერიტორიების მიტაცება.

**— ჩვენს სამყაროში მასწავლებლებად გვევლინებიან არა მარტო სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურები, არამედ ყოველგვარი „წითელი ჯვრები“, მოხალისეები, რომელთათვისაც ცხოვრებამ დაკარგა აზრი თავიანთ ქვეყნებში და ახლა უნდათ ამას ჩასწვდნენ აფრიკის ჯუნგლებში, როცა მკურნალობენ ან ასწავლიან აბორიგენებს.**

— სწორედ ისინი ქმნიან ზედაპირულ გლობალიზაციას, აწარმოებენ უბრალო მომხმარებლებს და არა ისეთ ადამიანებს, რომლებიც ჩაუფიქრდებიან ცხოვრების არსს, ექნებათ ლტოლვა თვითგანვითარებისადმი. ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ადამიანის საქმიანობის სტიმულებსა და მოტივებს. მათ შორის — სამეწარმეო საქმიანობისაც! **იცით, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ზედაპირული და სიღრმისეული გლობალიზაცია? ზედაპირულია ის, როცა თქვენ უბრალო მომხმარებელი ხართ და შემოგასაღებენ რაღაც მეორეხარისხოვანს, იმას, რასაც მოიხმართ. სიღრმისეული გლობალიზაციის პირობებში კი, თქვენ ასეთ თამაშს თამაშობთ: შემიძლია თუ არა მოვიგონო რაღაც ახალი და გავაკეთო ისეთი რამ, რაც ჯერ არავის გაუკეთებია, მაგრამ შეიძლება ყველას დასჭირდეს? სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევიან ცივილიზაციური იდენტურობის მქონე ადამიანები იმათგან, ვისაც ეს არა აქვს. განსხვავება მათ შემოქმედებით პოტენციაშია.**

**— ახლა ნორმალური ვითარება შეიქმნა ფულის „არანორმალური“ დაგროვების პერიოდის დასრულებისათვის. ჩვენი ბანდიტების შვილები ინგლისში სწავლობენ, მათი მამიკოები კი მხოლოდ ახლა იბანენ სისხლით მოსვრილ ხელს. სამაგიეროდ, ეს ბავშვები მამებს სულაც არ გვანან. ესე იგი, ნაძარცვი ფული მაინც სასარგებლო საქმეს ხმარდება.**

— ერთ შესწორებას შევიტანდი: ესენი მათი შვილები არ იქნებიან. ეს სულ სხვა ადამიანები არიან. და, შესაძლოა, შერცხვეთ კიდეც თავიანთი მამების გამო. ისინი მშობლებს ხედავენ მხოლოდ ტელევიზორით ან წელიწადში ერთხელ, როცა არდადეგებზე ჩამოდიან. მომიტევეთ, სერ, მამაჩემი ბანდიტი იყო, მე კი მასთან არანაირი ურთიერთობა არა მაქვს, კემბრიჯში, ოქსფორდში, ემ-ბი-ეიში ვსწავლობ, ვიცი, როდის და როგორ უნდა ჩავიცვა ფრაკი. ეს ახლადგამოჩეკილი ბობოლები თავიანთ შვილებს მხოლოდ ქონებას უტოვებენ და მეტს არაფერს. არაფერს საკუთარს.

**— განა არის ჩვენს პლანეტაზე თუნდაც ერთი ისეთი საზოგადოება, რომლეშიც ადამიანები მარტო თავიანთი პროფესიული ზრდისათვის ფიქრობენ?**

— რა თქმა უნდა, მთლიანად ასეთი საზოგადოება არ არსებობს. მაგრამ ყურადღებას იმსახურებს ასეთი ფაქტი: 1990-იანი წლების დამლევს ყოველი მეოთხე თვითმოქმედი ამერიკელი უკვე იყო ტრანსპროფესიონალი, ანუ ისეთი ადამიანი, რომელიც მზად არის მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ადამიანები 5-6 პროცენტს შეადგენენ. ჰოდა, აბა როგორ უნდა ველოდოთ რუსეთში შრომის მაღალნაყოფიერების მიღწევას? მეცნიერებათა აკადემიაში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ განახორციელეს გამოკვლევა, რომლის დროსაც გაირკვა: ხელფასი არ ყოფილა სტიმული რუსი მშრომელისათვის. იგივე პრობლემას გადააწყდა რუსეთის თავდაცვითი კომპლექსიც: ახლა გაჩნდა რაღაც ფული, საწარმოებს აძლევენ შეკვეთებს, ჩვენი ქარხნები, ჩვენი სპეციალისტები კი, რომლებითაც ჩვენ მუდამ ვამაყობდით, ვერაფერს ვერ აკეთებენ და, რაც მთავარია, არც სურთ რაიმეს გაკეთება! ფული მათთვის სტიმული აღარ არის.



**— საუბარს ასე ბანალურად ვერ დავასრულებთ: სწავლა, სწავლა და სწავლა! უფრო დაწვრილებით განმარტეთ, თუ როგორ უნდა ჩავნერგოთ ჩვენს შეგნებაში კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ლტოლვა?**

— მხოლოდ ამერიკული ფილმების მეშვეობით, სხვა საშუალებას ვერ ვხედავ. მხოლოდ ჰოლივუდი ნერგავს საზოგადოებრივ შეგნებაში სწორ სტერეოტიპებს: უნდა იმუშაო საკუთარ თავზე და ყველაფერს მიაღწევ. რა თქმა უნდა, ჰოლივუდის ყველა ფილმი ასეთი არ არის, მაგრამ ბევრი ხომ ასეთია?

მხოლოდ ამერიკულ კინოში შევხვდებით ამას ყველგან, როგორც ცხოვრების ფონს, და ამიტომაც აღიქვამს მას მაყურებელი სიუჟეტის პარალელურად, სურს ეს, თუ არა. ამერიკელები ხომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ არა მარტო იმიტომ, რომ ფული კარგია, არამედ იმიტომაც, რომ ეს პრესტიჟულია! საამისოდ კი ადამიანი მუდამ უნდა იზრდებოდეს საკუთარ თავზე მაღლა. „რა ღირხართ?“ ეს ამერიკული კითხვაა. სცადეთ, საკუთარ თავს გასცეთ პასუხი ამ კითხვაზე.

დიქტატორულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს იმედი ჰქონდათ, რომ საყოველთაო ბედნიერების საწინდარი იქნებოდა ერის მთლიანობა და ერთიანი მონოლითი. ისინი შეცდნენ ორგზის: ბედნიერება ვერ გამეფდა, სისტემის საერთო ევოლუციური პოტენცია კი მკვეთრად დაეცა.

**ერის აღორძინების სიმბოლო შეიძლება გახდეს სპორტი. სპორტი კვაზიომია, ერთი ბრძოლის შეცვლა მეორით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სპორტი ადამიანების უზარმაზარი ენერგიის გამოვლინების საშუალებას იძლევა.**

აკადემიურმა გამოკვლევებმა ცხადყო რომ ქვეყანაში რამდენიმე ხელფასის არსებობამ, უფრო სწორად კი, სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა ხელფასებს შორის დიდმა სხვაობამ, საბოლოოდ მოშალა ღირებულებათა სკალა. მოხდა დეზორიენტაცია. კითხვა ცხოვრების აზრის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე რთული კითხვაა. ამ მავნე კითხვაზე პასუხისათვის თავს იმტვრევდა როგორც ფილოსოფოსების, ისე ახალგაზრდობის არაერთი თაობა. სხვათა შორის კი, ეს ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს.

**„ოგონიოკი №14, 2003 წლის აპრილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 122, ორშაბათი, 12 მაისი, 2003 წელი.

სატირა

**არკადი ინინი**

# ელიტური და პრესტიჟული

ყველგან, საითკენაც კი ნაბიჯს გადავდგამთ, გაჰყვირიან, გვთავაზობენ:

– ელიტური სახლი!
– ელიტური რესტორანი!
– ელიტური დასვენება!

მაგრამ ახლა მოდაში არაა უბრალოდ ადგე და დაისვენო, სასადილოდ სადმე შეიარო ან ბინაში შესახლდე – უკვე ის ვეღარაა, არაპრესტიჟული რამეებია. ეს ორი სიტყვა **„ელიტური"** და **„პრესტიჟული"** ბედნიერი მომავლისკენ მიმავალ გზას ორ შუქურასავით გვინათებს.

ხარისხის ნორმალური და მკაფიო ეპითეტები უკან იხევენ ამ ფორმულირებების – „ელიტურისა" და „პრესტიჟულის" წინაშე. ანუ, ვთქვათ, ბინაზე არ ამბობენ, რომ დიდფართიანი და ნათელია, რესტორანზე – რომ იქ კარგი კერძები კეთდება და სიმყუდროვეა, სანატორიუმზე კი – რომ იქ გულისხმიერი, ყურადღებიანი პერსონალია, და სასარგებლო პროცედურები ტარდება. არა, ყოველივე ამაზე ახლა ამბობენ – ელიტურიაო, მაშასადამე, პრესიტიჟულიაო, და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ეს ტკბილი სიტყვა **„ელიტა"!** ეს სიტყვა მხოლოდ ყბადაღებული ახალი რუსების, ბელორუსების, ყაზახების ყურს როდი ეალერსება... არადა, ამ ანკესზე ეკიდება მთელი ჩვენი გარდაქმნის შემდეგდროინდელი ხალხი, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მალე აფრინდეს პირდაპირ მეცხრე ცაზე.

არავის არ სურს ლაპარაკიც კი კლასიკურ ინგლისურ გაზონზე, რომელიც ასეთი „ელიტური" მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მას სამასი წლის მანძილზე ყოველდღიურად უვლის, კრეჭს.

როგორ შეიძლება იყოს სამასი ან თუნდაც სამი წელი? ჩვენ ვერთგულობთ მხოლოდ ბოლშევიკურ ლოზუნგს: „ვინც არაფერი იყო, ყველაფერი გახდება!" თანაც ერთბაშად, უცბად გახდება, ანუ ღამე ჯერ ისევ პრაქტიკულად **არაფერს** დაეძინება, დილით კი უკვე **ყველაფერს** გაეღვიძება.

მეცხრე ცაზე აფრენას კი ვინ როგორ ცდილობს და ვინ – როგორ. მოქალაქეები შეუდგნენ თავიანთი გენეალოგიური ხეების ხაზვას – ცდილობენ მათი ტოტების ქვეშ თავიანთი არისტოკრატიული ფესვების მოძიებას, რათა თავი მემკვიდრეობით თავადებად, გრაფებად, ან მემამულეებად მაინც გამოაცხადონ.

ისე კი, სულაც არაა აუცილებელი ტოტებგანრთხმული ვარჯების ხაზვა, რაღაც გარკვეული, სავსებით ხელმისაწვდომი თანხით შეიძლება სანუკვარი თავადის ან გრაფის ტიტულის შეძენა. ამ საოცნებო ქაღალდების გამცემი და გამყიდველი სათავადაზნაურო საზოგადოებები და თავყრილობები ყოველდღე ჩნდებიან და მრავლდებიან.

მეტიც, თუ სამშობლოში ელიტარობა გაკლიათ, თქვენ მხსნელად გევლინებათ ის, რომ მიმართოთ სხვადასხვა საზღვარგარეთულ უნივერსიტეტებს, ფონდებს, ასოციაციებს, რომლებიც გულისხმიერად გაუწყებენ, რომ მზად არიან ნებისმიერი რუსეთელი მოქალაქე გამოაცხადონ „საპატიო პროფესორად", „ბიზნესის ვარსკვლავად" და, თუ არ დაწვრილმანდებიან, „წლის ადამიანადაც" კი.

ამისთვის სულაც არაა საჭირო წერო სამეცნიერო შრომები, აღმოჩენები აკეთო, ან რამენაირად გააბედნიერო კაცობრიობა, საკმარისია გულისხმიერ ბატონებს გაუგზავნო გარკვეული, კაცმა რომ თქვას, ხელმისაწვდომი თანხა, რომელშიც მათგან გამოსაგზავნი წერილის ღირებულებაც შევა. და მოქალაქეები გზავნიან ამ თანხას და ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში მოქცეულ ვერცხლის სერტიფიკატს, და მას თავიანთ ბინაში ან სამუშაო კაბინეტში კიდებენ სამამულო და მსოფლიო ელიტასთან თავიანთი თანაზიარობის დამადასტურებელ საბუთად.

საერთოდ კი, ოჟეგოვის ლექსიკონში წერია: „ელიტა – საზოგადოების რომელიმე ნაწილის საუკეთესო წარმომადგენლები". მაგრამ ჯერ შენი უკეთესობა უნდა დაამტკიცო. აქ კი არც არაფერი მაქვს დასამტკიცებელი, გაცილებით უფრო იოლი რამაა ოპერაცია – გადაიხადე და გახდი.

„ელიტური" საცხოვრისი და ხელოვნება, „ელიტური" საბავშვო ბაღები და სკოლები, „ელიტური" მაღაზიები და სპორტკომპლექსები, „ელიტური" ძაღლები, მეძავები... შეიხედე ელიტურ კლუბში, შეხვედი ელიტურ ტუალეტში და შენ უკვე ელიტა ხარ – საზოგადოების ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელი და თუ ელიტურ სასაფლაოზე სუფევაც თუ გარგუნა იღბალმა...

და გასაოცრად ცქვიტად, ერთ საათში გარდავისახეთ – ამხანაგები ვიყავით და ბატონები გავხდით.

და ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს ელიტური სახლის ელიტურ სადარბაზოში ასეთ განცხადებას თუ წაიკითხავთ:

**მცხოვრებლებო!** (გადახაზულია).
**მოქალაქენო!** (გადახაზულია).
**ამხანაგებო!** (გადახაზულია).
**ბატონებო!**
**ლიფტში ნუ მოფსამთ!**

**„ლიტერატურნაია გაზეტადან".**

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს დაბა ვაზიანში ს/ნ № 10143-ის ტერიტორიაზე ყაზარმა № 3-ის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რისთვისაც იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების დამთავრების სავარაუდო ვადაა 2003 წლის 15 სექტემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2003 წლის 27 მაისიდან 30 მაისის 16 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველო, № 507.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1.** __**იურიდიული პირებისათვის:**__

ა. ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეთა ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის.

__**4.2. ფიზიკური პირისათვის:**__

ა. ცნობა, რომ მას სასამართლოს მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ. ლიცენზია სამშენებლო საქმიანობის წარმოებაზე.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 6 ივნისიდან 12 ივნისის 16 სთ-მდე შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველო, ოთახი № 507.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

**ინფრასტრუქტურის მთავარი სამმართველოს პროექტირების განყოფილების უფროსი, ვ/პოლკოვნიკი ფრიდონ ამაშუკელი, ოთახი № 507, ტელ/მობ: 877-76-80-56.**

**თავდაცვის მინისტრის მოადგილე**
**საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში,**
**გენერალ-მაიორი**

**ნ. ძევხიშვილი.**

პოეზია უპირველეს ყოვლისა

# ქართული სუფრის პარადიგმა

## სონეტების გვირგვინიდან

1.

თამადას ხელში ნიამორის უჭირავს ყანწი,
გადმოსდის მინდვრის ყვავილების თაფლი ბაგიდან.
— აკადემია რატომ ჰქვია ქართულ მაგიდას? —
მექორწილეებს ეკითხება უცნობი კაცი.

მეუღლეს თვალებს უბრიალებს, ვითარცა გაცი...
გააწყვეტინებს ინგლისური ლაპარაკი და
თამადამ სტუმარს ალავერდის ტვირთი აჰკიდა, —
კარგად გაიგებს პასუხს, ამ ყანწს როდესაც დაცლის.

უფასოდ ნახავს სილამაზის დღესასწაულზე
იმ ჯიშ-ჯილაგის ქალ-ვაჟების ურთიერთობას,
რამაც გაუძლო გამრავლების მზორკავ პაუზებს.

ყაჩაღობას, სისხლის წვიმებს და ულმერთობას...
ლხინი გრძელდება... მწდე თამადას სასმისს აუვსებს,
რომლითაც უნდა წინაპრების ვბრძანოთ შენდობა.

2.

თუ არ გაგცლია, მზე-პატარძლის მაყარო, ქანცი,
შესანდობარი იმას შენგან უფრო მიუვა,
ვისთვისაც უნდა გადაიქცე დღეს მედიუმად
და შეამოკლებ წარსულისკენ მიმავალ მანძილს.

... ფრანგი სტუმარი იმ ჭკვიან თავს დააღწევს ღრმა მილს,
თელავის ჭადრის ჩრდილს მოძებნის მამა-დიუმა.
შეეფიცება მეგობრობას მარადიულად
ჩვენს ბრძენ რაფიელს, დავიწყების ჯვარზე რომ ვაცვით.

სვამს სადღეგრძელოს ერისთავი: — ალექსანდრესთან
ალავერდსა ვარ! — და ყანწს აწვდის წესების დაცვით.
არ შეუსრია ასი წლის წინ წარბი ადრესატს.

მანაც დაამხო ჯიხვის ყანწი, მასპინძლის ბაძვით.
ბღუჯა მწვანილით დაამთავრებს ფრანგი ამდენ სმას.
ცვლის სადღეგრძელოს სადღეგრძელო — ზეპირი განძი.

3.

ცვლის სადღეგრძელოს სადღეგრძელო — ზეპირი განძი —
სალიბის ეოვლად მეარ ეალიბში ჩასხმული ლოცვა.
შენ არ იქცევი, საქართველოვ, კივად და მოცვად,
შენ ხარ ვენახი და უშენოდ არ თოვს და არ წვიმს.

პანკისში ქისტის გამოსდილი არაყი ანწლის
მე გამახსენა უცხოური წარწერის ბოცამ,
სტუმრად ბუმბერაზ ჯუმბერასთან ვიყავით როცა.
გროზნოში მშვიდად ორთავიანს ემინა არწივს.

ვინ ეკერება სამუდამოდ ცას, სულეიმან?!
მაინც უნდა ვთქვათ, არა ვწუხდით უაზედობას.
ჩვენი თვალების ტბაში რამდენ მერის, ლეილას

გადაქცეოდა აუხდენელ ნატვრად ვედობა.
ჩვენ სიყვარულმა ის საუნჯეც დაგვამღევინა,
რაც არ ეოფილა არასოდეს ფუჭი ებედობა.

4.

რაც არ ეოფილა არასოდეს ფუჭი ებედობა,
ის მახსენდება და რითმებით მინდა შევაქო.
ამ ლექსში უცხო ფრინველივით ჩნდება პლევაკო —
რუსი ვექილი, ვინც ხმარობდა სიტყვას ხელთოფად.

ნემიროვიჩთან და ჩეხოვთან კარტით ერთობა...
იგებს და დგება... ალბათ აღარ მოხვალ შენ აქო,
სად წაგვისვალო, შე სირანო დე ბერჟერაკო,
დაირღვევაო შენს გარეშე ჩვენი ერთობა.

„მღვდელს ვასამართლებთ. სულ ხუთ წუთში გავუშვებ, ოღონდ
სანამდეოზე გიწვევთ ჩემი ლოგოპედობა:
კარგი ვახშამი! ო, ბოდიში, — სამ წუთში! ოპო!

გატეობთ, არ გჯერათ ჩემი პირის უკანფეტობა.
მღვდელს პროცესიდან ისე უმალ გავუშვებ, როგორც
სუფრიდან ფონედ გადააფრენს ნეფე დედოფალს".

5.

თუ რატომ ჰქვია ქართულ სუფრას აკადემია,
მისვდით იმაზეც, რომ სუფთაა და მოვლილია,
საუკუნეთა გულის გულში გამოვლილია
და იქ გაშლილა, სადაც ქართულ გულს უცემია.

წელით სავსე ყანწით (პირკატა რომ ეველას სცემია)
დაულოცია აბაშიძე მემედს ილია:
„წელის მალა მოგცეს!" გაისუსა და გაილია
თურმე, ვინც თვლიდა, ეს მემედი რომ საცემია.

მოქილიკენო, საკუთარი თავები სცემეთ,
ბრძნულად გაგიხსნათ აჭარელმა ვაჟკაცმა კვანძი.
დიდი მადლობა გადუხადა ილიამ მემედს,

სიტყვა-პასუხი შეუქო და საქვეენო ღვაწლი.
ჩვენს ქორწილზე კი აღარაფერს ვიტეოდი მე მეტს,
თამადას ხელში ნიამორის უჭირავს ყანწი.

6.

თამადას ხელში ნიამორის უჭირავს ყანწი,
რომლითაც უნდა წინაპრების ვბრძანოთ შენდობა,
შენთან გადმოვა ის ალავერდს თუკი გენდობა,
თუ არ გაგცლია, მზე-პატარძლის მაყარო, ქანცი.

ცვლის სადღეგრძელოს სადღეგრძელო — ზეპირი განძი,
რაც არ ეოფილა არასოდეს ფუჭი ებედობა.
სუფრიდან ფონედ გადააფრენს ნეფე დედოფალს,
ახალი განძი რათა როკვით დაგვიდგან თვალწინ.

ჯადოსნურ სუფრას ვერ აკეცავს ვერავინ დიდხანს,
მას ნობელისაც არ სჭირდება ნაღდად პრემია.
იგი კვებავდა ათასი მხრით მოსეულ ვირთხას

ცოტაა განა უპატრონო ბედნი დემიან?!
გთხოვთ, ამის შემდეგ ნუღარ დასვამთ უხერხულ კითხვას,
თუ რატომ ჰქვია ქართულ სუფრას აკადემია.

**ჯემალ ინჯია.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

ოჯახი

# ერთად ყოფნის ბედნიერება



ისეთი დრო დადგა ბრილიანტისა კი არა, ვერცხლის ქორწილამდეც კი ვერ ცოცხლობენ წყვილები. ანა მარინდაშვილი და გოგი ყვარელაშვილი ის ბედნიერი გამონაკლისებია, ვისაც განგებამ 60 წლის ერთად ყოფნის ბედნიერება არგუნა წილად.

ბრილიანტის ქორწილში, რომელიც უმცროსი შვილის, დათოს 50 წლის იუბილესთან ერთად ყვარელაშვილებს უზეიმიათ. უფროს ვაჟს გივის უხუმრია: მშობლებს, საქორწინო მოგზაურობაში, პარიზში ვისტუმრებთო.

და მოსდებია მთელ ქალაქს ეს ამბავი. ვინც ამ ოჯახს იცნობს, არ გაკვირვებია, — ისეთი შვილები გაზარდეს, ღირსებიც არიან, პარიზი კი არა, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობასაც კი იმსახურებენო.

ხუმრობა იქით იყოს და როცა ბრილიანტის იუბილარების გასაცნობად მივდიოდი, ვფიქრობდი, მივალ და ალბათ, ერთი გადაღრძუებული ცოლ-ქმარი დამხვდება-მეთქი.

კარი მშვენიერმა, კოპწიად გამოწყობილმა მანდილოსანმა გამიღო.

მობრძანდითო, და ისე გამიღიმა, თითქოს მზის სხივმა გაანათაო იქაურობა, ოთახის სიღრმიდან სწრაფი ნაბიჯით მამაკაცი გამოგვეგება.

— ეს კი მამაჩემიაო — გამაცნო ბატონმა გივიმ.

ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. მე მოხუცებულების შესახვედრად ვიყავი მზად, თურმე ნუ იტყვით, ჩემი „ბრილიანტები“ შემეგებებიან.

მომიტევოს მკითხველმა, თუ შემდეგაც გაოცებას ხშირად გამოვხატავ. ისე როგორც თავად ქალბატონ ანას არ სჯერა, რომ უკვე ოთხმოცს გადააბიჯა და მისმა მეუღლემ ოთხმოცდაათს, მეც არ მჯეროდა, რომ ამ ასაკის ადამიანებს ვესაუბრებოდი.

სასიამოვნო ხმა, ცინცხალი გონება, ყველაფერი დაწვრილებით ახსოვთ, ყველა გვარი და ადგილი, ვის, სად, რატომ შეხვედრიან, სად უმუშავიათ.

სწორედაც მათზეა ნათქვამი: ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთსო. იმ დღიდან, რაც იქორწინეს, არასოდეს ყოფილან უერთმანეთოდ. ორივე კახეთის ულამაზესი სოფლის ხაშმის მკვიდრია.

ქალბატონი ანა, სავარძელში მოკალათდა, ბატონი გოგიც გვერდით მიუჯდა და გაივსო ოთახი მოგონებებით.

## მოგონებები გარდასულ დღეთა

ანა შეძლებული ოჯახის შვილი გახლდათ. ავ თვალს არ ენახვებოდა მარინდაშვილების ეზო-ყურე. მათი აივნებითა და ულამაზესი ჩუქურთმებით დამშვენებული, სამსართულიანი სახლი, თავად ჩოლოყაშვილების მეზობლად იყო აღმართული. ფაიტონი ემსახურებოდა მარინდაშვილებს. იმდროინდელი ინტელიგენცია ხშირად იყრიდა თავს ამ ოჯახში.

ერთხელ მარინდაშვილების ხვავიან ოჯახს მეფე ერეკლე სწვევი დიდი ამალით.

დამშვიდობებისას მეფე შეწუხებულა, პალიკო, შენმა ოჯახმა ასეთი დიდი პატივი მცა, მე კი ისე მივდივარ, შენთვის არაფერი გამიკეთებიაო.

— დიდო მეფეო, სანამ ნადიმს ვამზადებდი, გთხოვეთ ბანზე აბძანებულიყავით და ჩემი ეზო-ყურისთვის იქიდან გეცქირათ. ბანი დასატკეპნი მქონდა და დამატკეპნეთ, ისე რომ, პირიქით, ვალში მე ვარ, მეფეო, — ეშმაკური ღიმილით უპასუხია მარინდაშვილს.

მეფე ერეკლეს გამჭრიახობა შეუქია პალიკოსთვის.

ხშირად უყვართ ამ ეპიზოდის გახსენება მარინდაშვილის შთამომავლებს. ანას, მამიდები — ნუცა გელოვანისა და ვარინკა ბარნოვისა ძალიან ანებივრებდნენ. მათი მზრუნველობისა და გულისხმიერების სხივი აქამდე მათბობსო, მეუბნება ქალბატონი ანა. მესამე მამიდა, ანასტასია, თბილისში ცხოვრობდა, ნათიშვილის და იყო. აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ქალბატონი ანა თავის ცხოვრებაზე საუბარს იმ მოურჩენელი იარით იწყებს ხოლმე, რომლის ტკივილი დღემდე სულის სიღრმეში არ განელებია. ასე იყო ამჯერადაც.

იხსენებს იმ ტრაგედიას, რომელიც მაშინ, 30-იან წლებში, სამწუხაროდ, არც ისე ცოტას დაატყდა თავს ჩვენში: „მერე გავიგეთ მიზეზი მწუხარების, თურმე, გვქონია მსხმოიარე ვაზი, თურმე, უხვად ესხა რქაწითელს, საფერავს — გვწყალობდა ზენა შრომაში დაღლილთ...“ — ლექსად იტყვის მერე თავის სათქმელს ანა.

ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, ქარბუქში, შუა მინდორში გაიყვანეს მარინდაშვილები. მშობლებს ეგონათ აქ დაგვხვრეტენო და ბადრაგს ემუდარებოდნენ, ბავშვები მაინც გადაგვირჩინეთო. მათი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, ეშელონს ყაზახეთში გასამგზავრებლად ამზადებდნენ. თბილისში მამამ როგორღაც მოახერხა ვაგონებს შორის გაძრომა და ალექსანდრე ნათიშვილი მოინახულა. მისი ავტორიტეტის წყალობით ფილიპე მახარაძემ მარინდაშვილები თბილისში დატოვა.

ერთი თვის შემდეგ სოფელში დაბრუნების ნება დართეს. შემაზრზენი სანახაობა დახვდათ ხაშმში დაბრუნებულებს. სახლიდან პირწმინდად გაეზიდათ ყველაფერი.

სიდუხჭირე არ აგრძნობინა ძმისწულს ანასტასია ნათიშვილმა, თბილისში წამოიყვანა და სათუთად უვლიდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ანა სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა.

ინსტიტუტში ანა მარტო გარეგნობით კი არა, სიბეჯითითაც გამოირჩეოდა. ერთ წვეულებაზე, საქვეყნოდ ცნობილი ოპერის მომღერლის, მიხეილ ყვარელაშვილის ყურადღება მიიქცია მარგალიტივით გოგომ.

ჩემი ძმა შენზე უკეთეს ქალს ვერც კი ინატრებსო, უთქვამს ყვარელაშვილს. იმ დღეს გადაწყდა ყველაფერი.

გოგიმაც არ დააყოვნა, ძმის არჩევანი მოიწონა და მარინდაშვილების თვალხატულა გოგო მოიყვანა ცოლად.

— აბა, ერთი ამას დახედე, — საუბარში ჩაერია ბატონი გოგი და მაგიდაზე დრო-ჟამისგან გაცრეცილ-გაყვითლებული გაზეთის ამონაჭრები გამიშალა. ერთზე კოპწია კოკორულვაშა ახალგაზრდა კბილის ექიმი გოგი იყო აღბეჭდილი პაციენტთან ერთად, მეორეზე კი, საგზაო განყოფილების უფროსის გოგი ყვარელაშვილის სასახელო საქმეებზე იყო მოთხრობილი.

— სამედიცინომდე, ჯერ საგზაო-სამშენებლო ტექნიკუმი მქონდა დამთავრებული,— მიხსნის ბატონი გოგი. მთელი კახეთის გზები ჩემი გაკეთებულიაო. სართიჭალის ხიდის მშენებლობაშიც მიუღია მონაწილეობა.

ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა იმ საღამოს.

— მახსოვს, ჩალაუბანში წყალი უნდა გაეყვანათ, ვერა და ვერ შეძლეს ხალხის გამოყვანა. კაკაბეთელი მიხეილ ჯიღაური, ალბათ, გაგიგონიათ, — მეუბნება ბატონი გოგი, — საქვეყნოდ განთქმული მომღერალი იყო. ის რომ შემოსძახებდა, მკვდარს გააცოცხლებდა. ვმეგობრობდი და დახმარება ვთხოვე.

გორაზე გავშალე პურ-მარილი, მოვიწვიე მიხეილი და ვთხოვე — შენ იმღერე და ჩვენ ვიმუშავებთ-მეთქი.

ჯიღაური მღერის, ჯიღაურიო და დაიძრა ნახევარი კახეთი მის მოსასმენად.

უფასო კონცერტს რომ გიწყობთ, ხელიც უნდა გაანძრიოთ-მეთქი და ისეთი შრომა გაჩაღდა, ერთი კვირის საქმე ერთ დღეში გავაკეთეთ.

ჯერ ველოსიპედით, შემდეგ ცხენით და ბოლოს მანქანით დააჯილდოვეს გოგი ყვარელაშვილი.

მანქანას საჩემოდ ვინ გახდიდაო, — ეცინება ბატონ გოგის...

სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ბატონი გოგი სამუშაოდ მოსკოვში გაანაწილეს. მოსკოვში წასვლამდე ნიკო ყვარელაშვილს ესტუმრა ყვარელში. იგი ყვარლის მოსამართლე იყო. ისე მოეწონა ახალგაზრდა ექიმს იქაურობა, რომ მოსკოვს ყვარელი ამჯობინა, ანაც ჩაიყვანა და ყვარელში დაიწყეს ახალგაზრდა ექიმებმა მუშაობა. ყვარელაშვილები ხომ ძირძველი ყვარლელები არიან. ამით ამაყობენ კიდეც. მათი დიდი პაპა გლახო ერეკლე მეფემ თავის მეჭურჭლეთუხუცესად რომ დანიშნა, მაშინ გადასულან ხაშმში საცხოვრებლად, ჩოლოყაშვილების გვერდით. იმდენად საპატიო კაცი ყოფილა გლახო ყვარელაშვილი, რომ დავით გარეჯში დაუსაფლავებიათ.

ტრადიციად დაამკვიდრეს ყვარელაშვილებმა და ყოველ წელიწადს დიდი პაპის საფლავს ეწვევიან ხოლმე გარეჯში.

— მშვიდი წელიწადი თიკო ავაზაშვილის სახლში ვცხოვრობდით — ერთმანეთს არ აცილიან საუბარს ცოლ-ქმარი. ისე შეგვიყვარდა ყვარელი, ხაშმიდან ვერ ვარჩევთ. ანა თერაპევტი იყო, გოგი კბილის ექიმი.

— ხაშმში დედა მარტო ცხოვრობდა და ყვარლიდან დედასთან გადმოვედით საცხოვრებლად, — ჩაერია საუბარში ქალბატონი ანა. მანავში იყო სამედიცინო ცენტრი, ისე შვიდ სოფელს ვემსახურებოდით. მაშინ ძალიან სათაკილო იყო ცხენზე ამხედრებული ქალის მარტო სოფელ-სოფელ სიარული, ამიტომ, ორი ცხენი გამოგვიყვეს და გოგიც თან დამყავდა. ჩვენ ვიყავით ამ სოფლების ქირურგები, გინეკოლოგებიც და სტომატოლოგებიც. ისეთ პატივს გვცემდა ხალხი, არაფერს იშურებდა ჩვენთვის. თვალში რომ ჩავვარდნოდით, თითს არ ამოისვამდნენ. მამა-პაპის ეზოში ავაშენეთ უზარმაზარი ახალი სახლი და ბედნიერად ვცხოვრობდით.

## 40 წელიწადი უბნის ექიმი

ერთხელ, საკავშირო ჯანმრთელობის მინისტრი კავრიგინი ესტუმრათ ხაშმში. როდესაც მათ საქმიანობას გაეცნო, უთქვამს, ასეთი სანიმუშო ექიმები ნამდვილად დაამშვენებენ დედაქალაქსო.

— მაშინ გივი 7 წლისა მყავდა, ასე აღმოვჩნდი ორდინატურაში.

როდესაც ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში გადმოვიდნენ, მარჯანიშვილიდან საცხოვრებლად, აქ აგურის ქარხნის ირგვლივ დასახლებაში, არავითარი სამედიცინო დაწესებულება არ იყო. ქალბატონი ანა მისულა მინისტრთან და უთქვამს, თუ ხელს შემიწყობთ, მე აქ პოლიკლინიკას ავაშენებ და გავხსნიო. მის სურვილს ახდენა ეწერა და მე-18 პოლიკლინიკის მთავარ ექიმადაც აბა სხვას ხომ არ დანიშნავდნენ. 40 წელი ამ უბნის ექიმად იმუშავა.

— სულ ორი-სამი წელია, რაც თავი დავანებეთ ოფიციალურად ექიმობას.

სადაც მე მივდიოდი, გოგიც თან დამყავდაო, გადახედა ქმარს.

აბა, ეგეთ ლამაზ ქალს დაცვა ხომ უნდოდაო, ჩაილაპარაკა ბატონმა გოგიმ.

უმაღლესი კატეგორიის ექიმები დღემდე მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ ავადმყოფს.

როდესაც საოცრად სათნო და მომხიბლავი რძალი თამილა შევუქე, ქალბატონმა ანამ სიამაყით მითხრა, ჩემი არჩეულია რობაქიძის ქალი, ისიც მამამთილივით სტომატოლოგია, კარგი დიასახლისი და კარგი ექიმია. ჩვენ ოჯახსაც მეტი რა უნდა, ამაშიც გაგვიმართლა.

— ჩემი ბიჭი კაცთმოყვარეა, — და ბატონ გივის შეხედა (მასთან ცხოვრობენ მშობლები) — ცოტა ფიცხია, სამსახურში მაჩხუბარაა, მაგრამ გულში ბოღმას სხვებივით ნამდვილად არ იდებს.

— სტუმარს ისე ხომ არ გაუშვებთ, უმღერეთ რამე, — საუბარში ჩაერია ბატონი გივი.

— ვიმღეროთ, გოგი, — ყელი მოიღერება ქალბატონმა ანამ: „სალამი ჩიტუნებო, სიმნო სიყვარულისა, გულჭრელო ყვავილებო, კეკლუც გაზაფხულისა“, — გაისმა ყვარელაშვილების ოჯახში. შემდეგ კი, „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ“, — ისე დასჭექა გოგი ყვარელაშვილმა, რომ ბროლის ჭაღმა თრთოლა დაიწყო, 90 წელს გადაცილებულ კაცის ხმაში ბზარიც კი არ შეინიშნებოდა.

თითქმის ყველა ქართული ოპერა ზეპირად იცისო, სიყვარულით შესცქეროდა მამას ბატონი გივი.

ყვარელაშვილის სახლის ფანჯრიდან „ფალავანთა“ კლუბი მოსჩანს, რომლის გახსნის იდეაც ბატონ გივის ეკუთვნის და რომელიც დღეს მუზეუმია, აქ კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, ყველა ცნობილ მოჭიდავეს აქედან აცილებენ შეჯიბრებაზე და აქ ხვდებიან გამარჯვებულებს.

— მამაჩემი მეოთხე სართულზე, თქვენ რომ ასე გაგიჭირდათ ასვლა, დღეში ხუთჯერ ადის-ჩადის, დედა კი, დღემდე სტადიონზე რამდენიმე წრეს უვლის...

დედაჩემი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს — და ბატონი გივი ლექსების კრებულს მაწვდის — 72 წლისა იყო, როცა გაგვიმხილა, ყველას გაუკვირდა, ვინაიდან არასოდეს ენახათ დედა საწერ მაგიდასთან. თურმე, იგი მაშინ წერდა, როცა ყველას ეძინა...

## შვილები

ქალბატონმა ანამ, უკვე ორი კრებული გამოსცა. მისი ყოველი ლექსის დედაარსი ამ მიწის, ამ ცის, მზის და ყვავილების სიყვარულია, მამულისათვის სიცოცხლე და თავგანწირვაა. მისი ცხოვრების კრედოა. ამასვე უნერგავს მომავალ თაობებს, როცა ამბობს:

**„როცა მამული გიხმობს, სჭირდები,**
**მაშინ ძვირფასო, მე ვიცი ისიც**
**ამგვარ ჭიდილზე არ დაფიქრდები“.**

და მართლაც, ასეთი დედის შვილები გივი და დათო, არც დაფიქრებულან, როცა სამშობლოს უჭირდა. ორივე იბრძოდა სამაჩაბლოში და აფხაზეთში. დედამ მათი მონატრება კვლავ ლექსს გაანდო:

**წუხელის თურმე დარეკა დათომ,**
**ნეტა, რას შვრება,**
**სად იბრძვის გივი!..**
**ვერ ვეგუები სიმშვიდეს, რა ვქნა,**
**დედის გულს შორი სიმშვიდე**
**არ სურს,**
**და მეც იქითკენ მიმიწევს გული,**
**სადაც შვილები იცავენ მამულს.**

მის შვილებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ორივე მათგანი ქვეყნისთვის, მართლაც, სასახელოები არიან. უმცროსმა დავითმა მალე დაანება თავი ჭიდაობას, მაგრამ მაინც შეძლო ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება და კავშირის მასშტაბითაც სამჯერ აჯობა თანატოლებს. მშვენიერი ოჯახი შექმნა, იგი ამჟამად დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსია.

მანანა მშობლების კვალს გაჰყვა, ისიც ექიმია, სასახელო შვილებს უზრდის საქართველოს.

ჩემი გივიკო ჩვენი ბურჯიაო, — სიყვარულით გადახედა უფროს ვაჟიშვილს ქალბატონმა ანამ. მისი უფროსი კი გენერალ-მაიორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი, საერთაშორისო სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, მსოფლიო თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორია. როდესაც გივი ყვარელაშვილი სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა, მთელი საქართველო იმ საქმეებზე საუბრობდა, რომლის მოწყობის იდეაცა და ორგანიზაციაც ბატონ გივის ეკუთვნოდა. სასჯელაღსრულების სამართლის რეფორმა გივი ყვარელაშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

ორგანიზებულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის გივი ყვარელაშვილი დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, და ვახტანგ გორგასლის მე-3 და მე-2 ხარისხის ორდენებით.

თუმცა, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთმა ამბავმა, რაც ბატონ გივის გადახდა, არ შეიძლება ვინმე გულგრილი დატოვოს, აკი თავადაც ამას ამბობს, სანამ ცოცხალი ვარ, არასოდეს დამავიწყდებაო.

ჭიდაობდა ტექნიკურად, მრავალფეროვანი სტილით, ახასიათებდა გამძლეობა, შეუპოვრობა და დახვეწილი ტექნიკური ოსტატობა. ვისაც მისი ჭიდაობა უნახავს, მთლიანად ჩასწვდომია სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის სიდიადესა და მომხიბვლელობას.

ეს იყო თეირანში, შაჰ ფეხლევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე: გივი ირანელ მსოფლიო ჩემპიონს აბაზსს ხვდებოდა.

ის იყო სარბიელზე გამოიძახეს, რომ ... ზურგს უკან ვიღაცის სუნთქვა იგრძნო.

— არ მოიხედო, თორემ ყურადღებას მოგვაქცევენ, — ქართულად უთხრა უცნობმა, — ამ ჭიდაობას ბევრი ირანელი ქართველი ვესწრებით, მაგრამ ჩვენი გულისთქმის ხმამაღლა გამოხატვამ შეიძლება საბედისწერო შედეგი გამოიღოს, ამიტომ, გჯეროდეთ, უხმოდ გქომაგობთ, აბა, თქვენ იცით, თუ არ გაგვაწბილებთ, — ბეჭზე აკოცა და გაუჩინარდა.

— იმ წუთში მამლუქი გამახსენდა, კიდევ ბევრი სამშობლოს მონატრებული ქართველი. გამაჟრჟოლა, თავბრუ დამეხვა, გონს მაშინ მოვეგე, როცა ჩემი გვარი მეორედ გამოაცხადეს... თვალი მოვავლე აბობოქრებულ დარბაზს, რომელიც თავის კერპს ტაშის გრიალითა და სტვენით ამხნევებდა. მხოლოდ ირანელს ვხედავდი და ვიღაცის იდუმალი ხმა ჩამძახოდა, მიდი, მიდიო.

ირანელი ქართველები ხმამაღლა გულშემატკივრობას ვერ ბედავდნენ. ორთაბრძოლა ფრედ დავამთავრეთ. პირველ ადგილზე ის გავიდა. გული მეწვის, ახლაც გულში ვალად მაქვს იმ უცნობი ქართველის წადილი რომ ვერ შევასრულე.

